745/2 ∞ 15741
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №3 (2021) 10.05.2006 • ფასი 30 თეთრი

ესენგელდან არგამოსვლა საქართველოს ღალატია

მე-2-3 გვ.

ბაზების დატოვება 2008 წლამდე საქართველოს ღალატია

მე-2-3 გვ.

რუსეთმა იცის, რომ გიორგაძის ამბოხება ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ გიორგაძეს ამას უმალავს

მე-7 გვ.

მე-15 გვ.

ჩვენი მეზობელი თურქეთი

ეროვნული გამოცდები — მითი და სინამდვილე

მე-11 გვ.



საქონელი „არასასაქონლო კონდიციაში“

მე-10 გვ.

ხაინდრავა — ანგისახელმწიფოებრიობა ოსვის აპოგეაში

მე-4 გვ.



მე-12 გვ.

„ღვინის ოქის“ ეთაფაჩი საიდუმლო

დასავლეთი ალიევის შესახებ

მე-16 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცხადება

შეთანხმების რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“ გამო

1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც რუსეთის შეიარაღებული ძალების მყოფობა საქართველოში დაკვალიფიცირებული იქნა, როგორც ოკუპაცია. 1993 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება №125, რომლის თანახმად საქართველოში რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მყოფობა დაკვალიფიცირებულ იქნა, როგორც 1921 წელს მომხდარი საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობისა და ფაქტობრივი ანექსიის აქტის მექანიკური გაგრძელება, კონსტატირებულ იქნა, რომ მათს საქართველოში მყოფობას არავითარი იურიდიული საფუძველი არა აქვს, და დადგინდა, რომ მათი გაყვანა საქართველოდან უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 1995 წლისა. ამ გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოსვლა 1921 წელს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება იყო სუვერენული ქვეყნის მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის მხრივ საქართველოს სრული ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, ხოლო შემდგომ საქართველოს ძალადობით ჩართვა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, და რომ არც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, არც შემდგომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა აქვს სხვა საფუძველი, გარდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად შექმნილი ზემოხსენებული მდგომარეობის მექანიკური გაგრძელებისა, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები გაიყვანონ საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიიდან უმოკლეს ვადაში; თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან საამისოდ საჭირო მინიმალური ვადის განსაზღვრაზე, ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ექსპერტების მოვლინება სადავო საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველოს რესპუბლიკისათვის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ხელთ არსებული ბაზებისა და იარაღის გადმოცემა დამთავრდეს 1994 წლის პირველ კვარტალში. თუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საქართველოდან გასვლის შესახებ შესაბამისი გრაფიკით, ვადა გაგრძელდეს, მაგრამ არა უგვიანეს 1995 წლისა“.

მიუხედავად ამისა, შევარდნაძის ხელისუფლებამ არ მოახდინა საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს ამ დადგენილების განხორციელება. 2005 წლის 31 მაისის შეთანხმებით საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის *„საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ“* რუსეთის სამხედრო ბაზებს მიეცათ საქართველოში სამნახევარი წლით დარჩენის ვადა გასვლის რეჟიმში და მათი ფუნქციონირება ამ ვადის მანძილზე განისაზღვრა, როგორც ფუნქციონირება გასვლის რეჟიმში. ამასთან ერთად დაფიქსირდა მხარეთა განზრახვა, რომ რუსეთის ერთი სამხედრო ბაზის, სახელდობრ, ბათუმის ბაზის ადგილზე ამ ბაზის პირადი შემადგენლობისა და აღჭურვილობის გამოყენებით შეიქმნას ერთობლივი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრი. ეს შეთანხმება ქვემორე ხელისმომწერებმა მივიჩნიეთ და ახლაც მივიჩნევთ მას საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების არაფრით არგამართლებულ დათმობად რუსეთის ინტერესთა სასარგებლოდ, რასაც რაციონალური მოტივი არ უჩანს და რაც, თავისი ობიექტური იურიდიული შედეგებით, სახელმწიფო ღალატის ტოლფასია: რუსეთის შეიარაღებული ძალების მყოფობას საქართველოში, რასაც არანაირი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა, ამ შეთანხმებით შეექმნა იურიდიული საფუძველი და რუსეთის ბაზებს მიეცათ იურიდიული სტატუსი. ამასთან, გაცხადდა განზრახვა, რომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს მიეცეთ საქართველოში ისეთი საქმიანობის წარმოების უფლება, სახელდობრ, ტერორისტებთან ბრძოლისა, რომელიც შეიარაღებული მოქმედების უფლებას მოიცავს.

საქართველოს ხელისუფლების შემდგომი და ჯერჯერობით უკანასკნელი ნაბიჯი რუსეთის სამხედრო მყოფობისგან საქართველოს ტერიტორიის გათავისუფლების ამოცანათა კონტექსტში – შეთანხმების *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“* ხელმოწერა და მისი ცალმხრივი რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ – უკან გადადგმული ნაბიჯია და არა წინ.

საქართველოდან რუსეთის ბაზების და სხვა სამხედრო ობიექტების გაყვანა არ შეიძლება იყოს საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმების საგანი. მათი გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან არის საქართველოს ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილების საგანი. გადაწყვეტილება და პარლამენტის შესაბამისი დადგენილება საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების, ბაზების ჩათვლით, გაყვანის შესახებ **უკვე** მიღებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ, რისი შეუზღუდველი უფლებაც საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ჰქონდა და აქვს (1993 წლის 1 ივნისის ზემოთ ციტირებული დადგენილება საქართველოს პარლამენტისა). შეთანხმების საგანი საქართველოსა და რუსეთს შორის რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის თემასთან დაკავშირებით ვერ იქნება ამ გაყვანის აუცილებლობა (იგი, როგორც ვთქვით, მხოლოდ საქართველოს ერთპიროვნული ნების საგანია). მისი საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ გაყვანის პროცედურა, სახელდობრ, ის განსხვავება ამოსავალი ფორმისგან – უპირობო გაყვანისგან დაუყოვნებლივ, ანუ ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში, – რაც საქართველომ შესაძლებელია დაუშვას რუსეთის ამა თუ იმ ინტერესებიდან გამომდინარე და რუსეთის მხრიდან ამა თუ იმ სამაგიერო უპირატესობის მიღების სანაცვლოდ. შეთანხმებაში გასათვალისწინებელი პირობა, რომელზეც დამოკიდებულია საქართველოს მიერ რუსეთისათვის მისი ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული ამა თუ იმ შეღავათის მიცემა (ვთქვათ, გაყვანის პროცესის ვადის მოკლე ხნით გაზრდა), არის ის, რომ რუსეთმა თავის მიერ ნაკისრი ესა თუ ის ვალდებულება პირნათლად შეასრულოს. ამგვარად, შეთანხმების შესრულების პროცესში რუსეთის მიერ მისი ვალდებულების შესრულება, რაც მან შეთანხმების ფარგლებში იკისრა, არის პირობა იმისა, რომ საქართველომ მას დათქმული შეღავათი (ვთქვათ, გაყვანის პროცესის გაგრძელება ტექნიკურად აუცილებელ დროზე ერთი კვირის ვადით) არ გაუუქმოს, ანუ რუსეთს დაუყოვნებლივ გასვლა არ მოსთხოვოს. ვერავითარი სხვა პირობა და ვერავითარი სხვა თემა, გარდა დასახელებულისა, ვერ გახდება რუსეთის ბაზების შესახებ საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმების საგანი.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ის, რაც საქართველოს პარლამენტმა შეთანხმების *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“* ცალმხრივი რატიფიკაციით ქმნა, სახელდობრ, მის მიერ საქართველოდან რუსეთის ბაზების და, საერთოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის, რაც საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილების ერთერთი მთავარი პუნქტია, რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი შეთანხმების საგნად ქცევა – იურიდიულად წარმოადგენს **რუსეთის უფლების აღიარებას, რომ თავისი ბაზების და, საერთოდ, შეიარაღებული ძალების გაყვანისთვის საკმარის დამავალდებულებელ გარემოებად არ ჩათვალოს ის, რომ საქართველომ გადაწყვიტა მათი გაყვანა, არამედ ამისათვის შეთანხმება მოითხოვოს, ანუ თავისი თანხმობა ამ გაყვანის განსახორციელებად საჭიროდ ცნოს. პარლამენტის ეს აქტი ართმევს, ფაქტობრივად და იურიდიულად, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლითა და მსხვერპლით მიღწეულ ძირითად მონაპოვარს – დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს სტატუსს მისი ერთერთი არსებითი ნიშნის – საკუთარ ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ჯარის არდაშვების უფლების – სახით. ეს საპარლამენტო აქტი წარმოადგენს პირდაპირსა და დაუფარავ სახელმწიფო ღალატს აქედან გამომდინარე ყველა მორალური და იურიდიული შედეგებით, მის ჩამდენ დიპლომატთა, დეპუტატთა და პარლამენტართა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ჩათვლით.**

ხსენებული „შეთანხმების“ რატიფიკაციაში მონაწილე პარლამენტარების თავის მართლება, რომელიც ტელეეკრანით გააჟღერა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის დახმარების გარეშე საქართველოს არ შეუძლია რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გაყვანა საქართველოდან, ანუ რუსეთს შეუძლია, წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების ცალსახად გამოთქმული მოთხოვნისა, თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოდან არ გაიყვანოს. ეს თავისმართლება წარმოადგენს ან შეგნებულ სიცრუეს ან შეცდომას. რუსეთს არ შეუძლია თავისი შეიარაღებული ძალების საქართველოდან არგაყვანა საქართველოს მხრიდან მათი გაყვანის ცალსახად მოთხოვნის შემთხვევაში. ქვემორე ხელისმომწერნი ვუგზავნით წინამდებარე წერილს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მოთხოვნით, რომ საჯაროდ დაგვიკონკრეტოს და დაგვისაბუთოს, რომელია ის იურიდიული და პოლიტიკური ან სამხედრო მექანიზმები, რომლითაც რუსეთს ძალუძს თავისი შეიარაღებული ძალების არგაყვანა საქართველოდან ამ უკანასკნელის მიერ თავისი სათანადო ნების გაცხადების მიუხედავად, რათა საზოგადოებრიობისათვის მის მიერ გამოყენებული სიცრუის ან დაშვებული შეცდომის დასაბუთებული მხილება შესაძლებელი გახდეს.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ შეთანხმების *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“* რატიფიკაცია არის საპარლამენტო აქტი, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაშია საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლების სხვა საპარლამენტო აქტთან, სახელდობრ, იგი პირდაპირ წინააღმდეგობაშია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის ზემოხსენებულ დადგენილებასთან საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ. მისი რატიფიკაციის ფაქტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის საწინააღმდეგო ქმედებაა, რამდენადაც პარლამენტის დადგენილების მიღება, რომელიც ეწინააღმდეგება ამავე პარლამენტის სხვა აქტს, მოითხოვს, რომ მას ახლდეს, ან წინ უსწრებდეს იმ აქტის გაუქმება, რომელიც უკანასკნელ აქტს ეწინააღმდეგება. საქართველოს ამჟამინდელ პარლამენტს არ გაუუქმებია არც საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილება, რომელიც ზემოთ იყო ციტირებული, არც საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის საპარლამენტო აქტი, რომელიც საქართველოში მყოფ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს „საოკუპაციო ჯარების“ კვალიფიკაციას აძლევს, რითაც ამ შეიარაღებული ძალების მყოფობას საქართველოში მორალურად და იურიდიულად მიუღებელს ხდის. ამგვარად, პარლამენტის მიერ „შეთანხმების“ *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“* რატიფიკაცია არის კანონის საწინააღმდეგო და პარლამენტის მუშაობის საპროცედურო ნორმებთან შეუთავსებელი ფორმით შესრულებული აქტი.

გარდა საქართველოს იურიდიული და პოლიტიკური ინტერესების დანაშაულებრივი დათმობისა რუსეთის იმპერიული ინტერესების სასარგებლოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ ცალმხრივად რატიფიცირებული შეთანხმება *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“* შეიცავს იმგვარ კონკრეტულ პუნქტებსაც, რომლითაც ილახება საქართველოს კონკრეტული ტაქტიკური და სტრატეგიული ინტერესები და რომლებიც საფუძველსა და საბაბს ქმნიან რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მრავალნაირი პირდაპირი და არაპირდაპირი, ფიზიკური და იურიდიული შემოტევისათვის. სახელდობრ:

1. შეთანხმების სათაური და მუხლი „I“ უშვებს რუსეთის სამხედრო ბაზების *„დროებით ფუნქციონირებას“* საქართველოში. რუსეთის სამხედრო ობიექტებს საქართველოში არასოდეს ჰქონიათ, არა აქვთ და ვერ ექნებათ სხვა ფუნქცია და ვერ მიეწერებათ სხვა ფუნქცია გარდა საქართველოში რუსეთის ნების ძალად განხორციელებისა, სტრატეგიული მუქარისა ახლო აღმოსავლეთის რეგიონებისათვის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

საქართველოს მეზობელი ქვეყნების ჩათვლით, ამ რეგიონის რადიოელექტრონული და სხვა სახის დაზვერვისა, მასში სამოქმედოდ მებრძოლი რაზმების მომზადების ბანაკთა გამართვისა და, 1980-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ სამოქმედოდ სეპარატისტული და სხვა ძალების სტიმულირებისა, შეიარაღებისა, გაწვრთნისა და შეიარაღებული პირდაპირი დახმარებისა მათს საბრძოლო და დივერსიულ ოპერაციებში. არც ერთი ამ ფუნქციათაგანი საქართველოსათვის არც დღეს, არც მომავალში დასაშვები ან მისაღები არ არის.

გამოთქმა *„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ფუნქციონირება გაყვანის რეჟიმში“* განმარტებულია, როგორც შეთანხმების ტექსტის მუხლი „I“ გვეუბნება, როგორც *„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიერ მათ გაყვანასთან, მათ შორის„ ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის მომზადებასთან (სროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მანქანების ტარება) დაკავშირებული ამოცანების შესრულება“*, ანუ მოიცავს ამოცანებს, სროლის სახით, რომლებიც სცილდება ბაზების გაყვანისათვის აუცილებელ ქმედებათა ფარგლებს. *„ყველა სახის (ნიმუშის) შეიარაღების სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების“* გამოყენების უფლება *„რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ცხოველმოქმედებისა და დროებითი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საქართველოს ტერიტორიიდან მათს გაყვანამდე“* არ შედის იმ უფლებათა რიცხვში, რომლებიც რუსეთს სჭირდება საქართველოს ტერიტორიიდან თავისი ბაზების გაყვანის ტექნიკური ამოცანის გადაჭრისათვის.

2. შეთანხმების მუხლი „3“ ავალდებულებს საქართველოს მხარეს, რუსეთისას *„მისცეს შესაძლებლობა“*, *„რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საჰაერო ხომალდებს, გამოიყენონ საქართველოს საჰაერო სივრცე და 'განახორციელონ სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების გადაზიდვები“*, მაგრამ ტექსტში არაა მითითებული, რომ ეს „გადაზიდვები“ დასაშვებია მხოლოდ ერთი მიმართულებით — ბაზიდან და დისლოკაციის სხვა ადგილიდან საქართველო-რუსეთის საზღვრამდე, მაგრამ არა პირიქით.

3. მუხლი „4“ შეთანხმებისა შეიცავს ბუნდოვან ფორმულირებებს, რომლებიც გამოყენებული იქნება საბაბის შესაქმნელად რუსეთის შეიარაღებულ ძალთა საქართველოდან გაყვანის შეფერხებისათვის. აქ ნათქვამია: *„საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ეტაპობრივად გაყვანისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, ასევე რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების ნორმალური ცხოველქმედებისა და გაყვანის რეჟიმში დროებითი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საქართველოს ტერიტორიიდან მათი გაყვანის დასრულებამდე“*. ანალოგიურ ბუნდოვანებას შეიცავს მუხლი „5“, რაც იმავე საშიშროებას ქმნის.

4. იგივე მუხლი „4“ უფლებას აძლევს რუსეთს შემოიყვანოს საქართველოში *„დროებითი მივლინების“* სახით და რაოდენობის დაუკონკრეტებლად (აღუნიშნავად) „სპეციალისტები“ ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების გაყვანის ხელშესაწყობად, აგრეთვე შემოიყვანოს *„ბაზის შემადგენლობაში შემავალი პირების ოჯახის წევრები“*, რომელთა რაოდენობა განუსაზღვრავად არის დატოვებული. არც ერთი ამ უფლებათაგანი რუსეთის მხარეს არ სჭირდება ბაზების გაყვანის ტექნიკური ამოცანის გადასაჭრელად.

5. მუხლი „6“ უშვებს რუსეთის ბაზების პირადი შემადგენლობის როტაციას, რაც არანაირი ზომით არ ემსახურება ბაზების გაყვანის ამოცანის გადაჭრას, არამედ შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ ბაზის ქმედუნარიანობის პროფილთა ვარიირებას რაღაცა სხვა, გაყვანასთან დაუკავშირებელ მიზანთა მისაღწევად.

6. მუხლში „7“ დაფორმულებული პირობა, რომ რუსეთის მხარე *„არ გამოიყენებს რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებს იმ მიზნებისათვის, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და არ დაუშვებს მათ ჩარევას საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ პროცესებში“*, ეწინააღმდეგება დღემდე არსებულ ფაქტობრივ ვითარებას, როცა რუსული სამხედრო ბაზები საყრდენია, იარაღისა და ტყვიაწამლის წყაროა და თავშესაფარია სხვადასხვა სახის ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული (პარამილიტარული) დაჯგუფებებისათვის. ეს პირობა უქმია, ვინაიდან მას არ ახლავს იმ სანქციების განსაზღვრა, რომლებითაც საქართველოს მხარეს უფლება ეძლევა, უპასუხოს პირობის დარღვევას რუსეთის მხრიდან.

7. მუხლის „8“ პუნქტი „2“ საქართველოს სასამართლოს იურისდიქციიდან გამორიცხავს რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, თუ *„მათი შედეგები არ გავრცელდება დისლოკაციის ამ ადგილების ფარგლებს გარეთ“*. ამით ჩნდება შესაძლებლობა რუსეთის ბაზის შიგნით რუსეთის სამხედრო მოსამსახურის მიერ დაუსჯელი დანაშაულის ჩადენისა საქართველოს მოქალაქის მიმართ, მაგალითად, ცეცხლის გახსნისა ამა თუ იმ მიზეზით იქ მყოფი პირისათვის.

8. მუხლის „9“ უკანასკნელი აბზაცი ძალაში ტოვებს 1993 წლის 9 ოქტომბრის თანხმობას საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელიც ეხება რუსეთის სამხედროსაზღვაო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მოძრაობის რეჟიმს და რომელიც არ უპასუხებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ეს შეთანხმება დადებულია საქართველოს იმ დროს უზურპატორი ხელისუფლების (შევარდნაძის) მიერ, როცა ამ უკანასკნელს რუსეთის არაოფიციალური სამხედრო დახმარება ესაჭიროებოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში.

9. მუხლი „2“ არ ადგენს არც კონტროლის გზებს, არც სანქციებს შეუსრულებლობის შემთხვევაში რუსეთის ვალდებულებისათვის, რომ *„არ შეცვალოს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების დისლოცირების ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე“*.

10. მუხლი „13“ საქართველოს ავალდებულებს შეუნარჩუნოს ბინა და საქართველოში ცხოვრების უფლება *„რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს რუსეთის სამხედრო ბაზებზე ან რუსეთის სამხედრო ობიექტებზე და დათხოვნილ იქნენ სამხედრო სამსახურიდან საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების ან რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანის პერიოდში, აგრეთვე მათთან მუდმივად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს, რომლებმაც გამოთქვეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების სურვილი“*, რაც არც ერთ საერთაშორისოდ მიღებული სამართლებრივი ან მორალური ნორმით საქართველოს მოვალეობას არ შეადგენს და რაც ხელს უწყობს რუსეთის მეხუთე კოლონის გაძლიერებას საქართველოში. რამდენადაც ცნობილი არ არის „შეთანხმების“ „დანართები“ და რამდენადაც შეთანხმების მიხედვით ბაზების გაყვანის შემდეგ საქართველოში რჩება სატრანსლაციო, სინამდვილეში კი რადიოელექტრონული დაზვერვის მძლავრი ცენტრი კოჯორში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განზრახულია იმ რუსი პერსონალის უვადოდ დატოვება „ზვეზდაში“, რომელიც ამ სადაზვერვო ცენტრს ემსახურება.

11. მუხლი „14“ II აბზაცი ავალებს საქართველოს მხარეს „ხელი შეუწყოს რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ობიექტების *„უზრუნველყოფას ელექტროენერგიით, წყლითა და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებისათვის დადგენილი ნორმებისა და ფასების შესაბამისად“*, რისი ვერშესრულების ორგანიზებაც და, მაშასადამე, საბაბის პოვნაც ბაზების გაყვანის შეფერხებისათვის რუსეთის მხარეს არ გაუჭირდება. ამავე პუნქტის მესამე აბზაცი აძლევს რუსეთის ბაზებსა და სამხედრო ობიექტების მეთაურებს უფლებას საქართველოს მხარესთან შეთანხმების გარეშე *„დადონ ხელშეკრულებები საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან“*, ანუ დააფინანსონ საქართველოში ის, თავისი აგენტურის ჩათვლთ, ვისაც საჭიროდ ჩათვლიან.

12. მუხლი „20“ შეთანხმებისა შეუთავსებადია საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან პრაქტიკულადაც და პრინციპულადაც. პრაქტიკულად იგი შეუთავსებადია იმიტომ, რომ

ა) ანტიტერორისტული ცენტრი გულისხმობს შეიარაღებული მოქმედების შესაძლებლობას, მაგალითად, ტერორიზმში ეჭვმიტანილის დევნას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მისთვის ცეცხლის გახსნას, რისი უფლებაც, ისევე როგორც ამ ცეცხლის სამიზნეების შერჩევისა, შეთანხმების თანახმად მიეცემათ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს.

ბ) რუსეთის შეიარაღებული ძალა საქართველოში რჩება ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების გასვლის შემდეგაც.

პრინციპულად კი შეთანხმების მუხლი „20“ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან შეუთავსებადია იმიტომ, რომ

ა) „ტერორისტი“ და „ტერორიზმი“ რუსეთის თვალსაზრისით სხვაა, ვიდრე საქართველოს თვალსაზრისით. რუსეთი ტერორისტად რაცხს თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩეჩენს, რომელთანაც საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ ჰსურს კონფლიქტებში შესვლა, და მოსალოდნელია, მოინდომებს მის წინააღმდეგ ოპერაციების ჩატარებას საქართველოს ტერიტორიიდან, საქართველო კი ასეთად თვლის რუსი სპეცსამსახურის თანამშრომელს, რომელიც საქართველოში აწყობს ტერაქტს, მაგალითად, გორის ტერაქტის მსგავსს.

ბ) მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლა მსოფლიოს ამოცანაა და არა მხოლოდ საქართველოსი და რუსეთისა. ამ ამოცანასთან მიმართებაში რუსეთის გამორჩევა ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსაგან, რასაც ქართულ-რუსული ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა გულისხმობს, ნიშნავს იმის აღიარებას, რომ საქართველო რუსეთის სტრეტეგიულსა და პოლიტიკურ სივრცეშია, რაც საქართველოსთვის მიუღებელია როგორც მისი დამოუკიდებლობის პრინციპებთან მიმართების თვალსაზრისით, ისე დასავლეთის დემოკრატიებთან და მთლიანად მსოფლიო საზოგადოებრიობასთან მიმართების თვალსაზრისით.

კონკრეტული ნაკლოვანებები შეთანხმებისა *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“*, რომლებიც შეუთავსებადია საქართველოს უსაფრთხოებასთან, საკმარისია იმისთვის, რომ „შეთანხმება“ საქართველოსთვის მიუღებელი იყოს და მისი დადება და რატიფიკაცია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პირდაპირ სახელმწიფო ღალატად იქნას მიჩნეული. ვინაიდან ამ კონკრეტული პრაქტიკულად საშიში ნაკლოვანებების გარდა „შეთანხმება“ ხასიათდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის სასიცოცხლო ინტერესთა პრინციპული ხელყოფითაც (იხ. ზემოთ), რაც აგრეთვე საკმარისია, ცალკე აღებული, იმისთვის, რომ „შეთანხმების“ ხელმოწერა და რატიფიკაცია სახელმწიფო ღალატად იქნას მიჩნეული, სრული პასუხისმგებლობით საჯაროდ ვაცხადებთ: ქვემორე ხელის მომწერი არ ვცნობთ აღნიშნულ „შეთანხმებას“. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი შეიარაღებული ფორმიანი რუსი სამხედრო მოსამსახურე ჩვენ, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიცემული კვალიფიკაციის შესაბამისად, მიგვაჩნია ოკუპანტად, მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის პირდაპირ შეიარაღებულ მტრად და მისი მყოფობა საქართველოს ტერიტორიაზე 1995 წლის დამთავრების აქეთ ჩვენ, საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს დადგენილების შესაბამისად, მიგვაჩნია საქართველოს კანონისა და საქართველოს სუვერენიტეტის პრინციპის შეიარაღებულ ხელყოფად აქედან გამომდინარე ყველა იურიდიული და პრაქტიკული შედეგებით.

ჩვენ წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია, ქართველ ერსა და საქართველოს საზოგადოებრიობას მივაწოდოთ იმ პოზიტიური ნაბიჯების თანმიმდევრობის სქემა, რომლითაც საქართველოს შეუძლია, თუ ერთგული ხელისუფლება ჰყავს, და ჰმართებს გადაჭრას საქართველოდან რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გაყვანის ისტორიული ამოცანა. ეს თანმიმდევრობაა:

ა) რუსეთისათვის ოფიციალური ნოტით გაცხადება, რომ მისი შეიარაღებული ძალების საქართველოში შემდგომი მყოფობა დაუშვებელია, რომ მათი გაყვანა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს ტექნიკურად აუცილებელ უმოკლეს ვადაში (მაქსიმუმ — ორი-სამი თვე)

ბ) რუსეთის ბაზების არსებობა საქართველოში ამ ვადის მანძილზე გრძელდება მხოლოდ გაყვანის რეჟიმში: არ წარმოებს წვრთნა, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლა, მანევრები, მეზობელი ქვეყნების რადიოდაზვერვა, გადაადგილება ბაზასა და ბაზას შორის. სამხედრო მოსამსახურეებისა და ტექნიკის მოძრაობა წარმოებს ერთადერთი მიმართულებით — ბაზიდან რუსეთ-საქართველოს საზღვრისკენ.

გ) საქართველო მიჰმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, პირველ ყოვლისა — გაეროს, ხოლო რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში — აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო სასამართლოს, თანადგომისათვის საქართველოს ამ უეჭველი უფლების განხორციელებაში.

დ) რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში საქართველო აგრძელებს თავისი მოთხოვნის შესრულებისათვის ბრძოლის პროცესს ყველა იურიდიული და ფიზიკური ბერკეტების გამოყენებით რუსეთის ბაზების ბლოკირებისა და მათთვის წყლისა და ელექტროენერგიის გადაკეტვის ჩათვლით. იგივე ხდება რუსეთის მიერ დადგენილი ვადების ვერდაცვის ან არდაცვის შემთხვევაში და გრძელდება ბაზების გასვლამდე.

ამ კანონიერი ნაბიჯების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა რუსეთს არ შეუძლია. მის მიერ არდათმობის ერთადერთი შესაძლო ფორმაა პირდაპირი სამხედრო დარტყმა („გაშლილი დროშით“), რაც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში შეუძლებელია.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის ყველა წევრი და მთავრობის ყველა თანამშრომელი, რომელმაც შეგნებული მონაწილეობა მიიღო „შეთანხმების“ *„რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“* დადებაში, ექვემდებარება სასამართლო დევნას, როგორც სახელმწიფო დამნაშავე, რასაც, დარწმუნებულნი ვართ, უზრუნველყოფს ჩვენი პოლიტიკური მიმართულების მქონე ნებისმიერი შემადგენლობით დაკომპლექტებული ხელისუფლება ძალაულების აღებისთანავე.

საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით
ნოდარ ნათაძე

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით
თამარ ჯავჯავაძე

საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტიის სახელით
გურამ გოგბაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ღია წერილი

ქალბატონო პარლამენტის თავმჯდომარე,

როგორც მომსწრე და თვითმხილველი იმ მოღალატური ოპერაციისა, რომელსაც ჰქვია საქართველოს ჩათრევა „ესენგეში“ შევარდნაძის ხელმძღვანელობით (1 მარტი 1994) და როგორც გამომცემელი ამ დღის საპარლამენტო სხდომის სტენოგრამისა კომენტარებით („დიდი ღალატის დოკუმენტი“, თბილისი, 2004), ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გაახლოთ ჩემი აზრი იმის თაობაზე, თუ რატომ არის საქართველოსთვის აუცილებელი „ესენგედან“ გამოსვლა დაუყოვნებლივ, რა იურიდიული პროცედურები არის ამისთვის ყველაზე მარტივი და სწრაფი და რატომ არის საქართველოს პარლამენტის მიერ ამ ნაბიჯის არგადადგმა დღეს – თუ, ღმერთმა დაიფაროს, ეს ნაბიჯი არ გადაიდგმება, – კვლავ პირდაპირი სახელმწიფო ღალატი.

პირველი. „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ („ესენგე“) არ არის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს თანამეგობრობა, არამედ მხოლოდ მათი ერთი ნაწილისა, სახელდობრ, იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც რამდენიმე წლით უფრო ადრე ჯერ კიდევ იყვნენ „ხალხთა საყრობილედ“ და „ბოროტების იმპერიად“ წოდებული რუსული იმპერიის – „სსრკ“-ს – შემადგენლობაში. საქართველოს ნებაყოფლობითი ყოფნა ამ „თანამეგობრობის“ შემადგენლობაში ნიშნავს იმის აღიარებას, რომ საქართველოს მეტი აქვს საერთო ამ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან, ყოფილი მპყრობელი ერის – რუსეთის – ჩათვლით, ვიდრე მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანასთან, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ჩვენთვის გეოგრაფიულად ან მენტალურად უფრო ახლოს არიან. ეს არის იდეოლოგიური კაპიტულაცია ყოფილი იმპერიული ქვეყნის – რუსეთის – წინაშე და მისი იმპერიული წარსულის აღდგენისათვის თანაგრძნობის მინიშნება, რაც შეუთავსებელია საქართველოს ღირსებასთანაც და საერთაშორისო პრესტიჟთანაც. ამგვარად, საქართველოს ყოფნა „ესენგეში“ პრინციპულად მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

მეორე. „ესენგეს“, როგორც სტრუქტურის, ფუძემდებელ და შემადგენელ დოკუმენტთა შორის არის მთელი რიგი დარგობრივი შეთანხმებებისა, რომლებშიც წევრი სახელმწიფოები მონაწილეობენ ან არ მონაწილეობენ თავისი სურვილისდა მიხედვით. ამგვარ შეთანხმებათა რიცხვს ეკუთვნის ეკონომიკური შეთანხმებებიც და, სხვათა შორის, სათავდაცვო შეთანხმებებიცა და საინფორმაციო-საპროპაგანდოც. ეს უკანასკნელი გულისხმობს ესენგეს ერთიანი „საინფორმაციო სივრცის“ შექმნას, რაც შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას მრავალგვარად: როგორც უერთმანეთოდ ინფორმაციის არგაცემა, როგორც ერთმანეთის შესახებ სრული ინფორმაციის ურთიერთმიწოდება, როგორც „გარეთ“ და „შიგნით“ პროპაგანდისა და იდეოლოგიის ხაზთა შეთანხმება და ა.შ. დღეს საქართველო არ მონაწილეობს ყველაზე მძიმეებში ამ რიგის შეთანხმებათა შორის, მაგრამ რჩება იმის შესაძლებლობა და საშიშროება, რომ, საქართველოზე რუსეთის ზეწოლის გაძლიერებისდაკვალად, საქართველოს რომელიმე სუსტმა მესვეურმა, მით უმეტეს – არასაკმარისად ერთგულმა მესვეურმა ზეწოლას ვერ გაუძლოს და საქართველო შეიყვანოს ამ კონკრეტულ დარგობრივ შეთანხმებებში, რის შედეგადაც საქართველოსთვის ესენგე „მკვდარი“ ორგანიზაცია კი აღარ იქნება, როგორც დღეს არის (მიუხედავად იმისა, რომ „ესენგეს“ სამშვიდობო მანდატით მხოლოდ გალის რაიონში უკვე 2 ათასი ქართველია მოკლული), არამედ ცოცხალი და ქმედითი, ამდენად – მომაკვდინებლად საშიშიც. სანამ საქართველო „ესენგეს“ შემადგენლობაშია, არსებობს იურიდიული პირობები, რომ მის შემდგომ დაკაბალებას რუსული იმპერიის მიერ ზემოხსენებული სუსტი მესვეურის ერთი ხელის მოწერა ეყოს შემდგომი პროცედურების, მათ შორის საპარლამენტოს გარეშეც. ანალოგიურ საშიშროებას შეიცავს ესენგეს, როგორც კავშირის, ის მხარეც, რომ მასში დაშვებულია მონაწილე ქვეყნების დაინტერესება ერთმანეთის შიგნით სტაბილობისა და უსაფრთხოების მდგომარეობით, ანუ დაშვებულია „პრინციპში“ ზემოქმედება ერთმანეთის შინაგან ვითარებაზე, მაგრამ ამავე დროს არ არის აღკვეთილი ომები – მათ შორის, დაპყრობითი ომები და ტერიტორიული დავებით გამოწვეული ომები წევრ სახელმწიფოთა შორის (ნათელი მაგალითია ყარაბაღის ომი). ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სუსტი ან არასაკმარისად ერთგული მესვეურის მხრიდან დათმობის შემთხვევაში რუსეთი, აგრეთვე ესენგეს სხვა წევრი სახელმწიფოები ჩაერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში, თუნდ ახალ „მეშშვიდობეთა“ სახით, რათა მისი ტერიტორიები ხელყონ ან მისი სახელმწიფოტერიტორიული მოწყობა თავისი არჩევანის მიხედვთ განსაზღვრონ.

ამგვარად, ესენგეში შემდგომი ყოფნა საქართველოსთვის მიუღებელია, რადგან უშუალოდ და სასიკვდილოდ სახიფათოა, **პრაგმატულადაც.**

და ბოლოს, **მესამე.** ესენგეში საქართველოს ყოფნა საქართველოს ინტერესებთან შეუთავსებელი იმთავითვე იყო და არის **პოლიტიკურადაც:** საქართველოს ყოფნა ესენგეში მსოფლიოსთვის იმის მინიშნებაა, რომ საქართველო არ აპირებს სერიოზულად არც დასავლეთის ერთიან სისტემაში ინტეგრაციას, არც დემოკრატიის გზაზე მყარად სვლას, არამედ მას თავისი გზა განსაზღვრული აქვს, როგორც დემოკრატიის პრინციპთა ზეპირი (ე.წ. Lip Service) აღიარება, რეალურად კი დარღვევა, როგორც ამას დღეს რუსეთი და არაერთი სხვა პოსტსაბჭოური სახელმწიფო იქმს. საქართველოს ამგვარი პოლიტიკური იმეჯი, რომელიც მას დღეს უეჭველად აქვს და თანდათანობით უმტკიცდება, განაპირობებს ზეგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნების შესაბამის დამოკიდებულებასაც ჩვენი ქვეყნისადმი: მის მიმართ გატარდება – ისევე, როგორც დღეს ტარდება, ეკონომიკურად, პროფესიულად და მენტალურად სუსტ, არადამოუკიდებელ ქვეყნად მისი ჩამოყალიბების პოლიტიკა, როგორც განკუთვნილია ევენტუალურად მოპირისპირე სახელმწიფოებისთვის, და არა რეალური განვითარების სტიმულირების, ძლიერ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების რეალური ხელშეწყობის პოლიტიკა, როგორიც ტარდება მოკავშირეების, მათ შორის ბალტიისპირეთის სახელმწიფოების, თურქეთის და სხვის მიმართ.

თქმულიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ საქართველოს დაუყოვნებლივ გამოსვლას ესენგედან დღეს, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით, ალტერნატივა არა აქვს. თუ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ერთგულია, – რაშიც როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საზოგადოებრიობის დიდ ნაწილს სერიოზული ეჭვი ეპარება მთელი რიგი ფაქტების გამო, მაშინ ლოგიკურად შეუძლებელია მან ეს ნაბიჯი არ გადადგას. მინდა გაგითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს გამოსვლას ესენგედან არ სჭირდება უსათუოდ ის პროცედურა, რომელსაც ესენგეს წესდება ითვალისწინებს და რომელიც, პროცედურების სხვა სიმრავლესთან ერთად, მოიცავს თორმეტი თვის ვადასაც, ფაქტობრივად, განკუთვნილს მხოლოდ იმისათვის, რომ დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს მოფიქრების დრო მისცეს. საქართველოს შეერთება ესენგეს წესდებასთან, ანუ პარლამენტის სათანადო აქტის მიღება 1994 წლის I მარტს მოხდა კანონდარღვევით: ამ წესდებასთან საქართველოს შეერთება მოითხოვდა იმ დროს მოქმედ ორგანულ კანონში „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ ცვლილებების შეტანას, სახელდობრ, იმ პუნქტების კორექტირებას (ამ წესდებასთან შესაბამისობაში მოყვანას), რომლებითაც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები. ამიტომ პარლამენტის მიერ ხსენებული აქტის მიღებას ესაჭიროებოდა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა და არა მხოლოდ აბსოლუტური, რომლითაც ეს აქტი იქნა მიღებული. ამგვარად, ესენგედან გამოსვლა საქართველოს შეუძლია გამარტივებული პროცედურით – 1994 წლის 1 მარტის დადგენილების უკანონოდ ცნობის აქტის გამოყენებით.

გაახლებთ ზემოხსენებულ წიგნს „დიდი ღალატის დოკუმენტი“

პატივისცემით

ნოდარ ნათაძე,

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე

გულგრილობა, ანტისახელმწიფოებრიობა, ანტიეროვნული თავხედობა

1999 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე საქართველომ დაიკისრა ვალდებულება, შეექმნა სამართლებრივი ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა 1944 წელს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ აჭარიდან და სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა „რეპატრიაციას“. ამ ვალდებულების აღება მოხდა საქართველოს მოქალაქეთა თანხმობის გარეშე – არ ყოფილა არანაირი პლებისციტი ამ საკითხზე.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას არა ერთ ქვეყანაში მოხდა გადასახლებები. მაგალითად, აშშ პრეზიდენტის რუზველტის 1942 წლის 19 თებერვლის დირექტივის საფუძველზე აშშ-ში მცხოვრები ყველა იაპონელი გასახლებული იქნა სპეციალურ ზონებში. 1944-1945 წლებში პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, სლოვენიიდან და დანიიდან გასახლებულ იქნენ გერმანელები და უნგრელები. ჩვენი მეზობელი სომხეთიდანაც გასახლებულ იქნენ თურქები და ქურთები, აგრეთვე ხემშინები (მუსლიმანი სომხები). ევროსაბჭოში განხილვის მონაწილეებმა მესხეთიდან (საქართველო) 1944 წელს საბჭოთა კავშირის მიერ გასახლებულთა და მათ შთამომავალთა დაკმაყოფილება დააკისრეს არა სსრკ-ს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს – რუსეთის ფედერაციას, – არამედ საქართველოს, რომელსაც არანაირი კავშირი არ გააჩნია ამ დანაშაულთან.

სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გ. ხაინდრავა, რომელიც ცნობილია თავისი მოღვაწეობის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი უპრინციპობითაც და უნაყოფობითაც, დღეს თავისი ცნობილი თვისებების – უპრინციპობისა და სახელმწიფოებრივი უპასუხისმგებლობის – გამო ქმნის ამ მძიმე პრობლემის ევოლუციის კიდევ ერთ ახალ ტრაგიკულ ხვეულს, რომლის შედეგადაც მან შეიძლება მიიღოს მადლობა, როგორც „ტოლერანტმა“ და „დემოკრატმა“ (თუმცა არც ერთი ამ ქველობისა მას არაფერი არც სცხია, არც გაუგია), საქართველომ კი – სისხლი და ახალი ტრაგედია.

2006 წლის 27-28 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის განვითარებისა და რეფორმების ფონდის მეშვეობით გ. ხაინდრავამ გამ-

ართა მორიგი ერზაც-საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა – რეპატრიაციის დასაწყისი“. „ერზაც-საერთაშორისო“ იმდენად, რამდენადაც მასზე არ იყო წარმოდგენილი არც ქართველი საზოგადოებრიობა ზოგადად, არც კერძოდ მისი ის ნაწილი, რომელიც სპეციალურად ჩახედულია საკითხში, არამედ საქართველოდან იყვნენ მხოლოდ იმთავითვე ჯიუტად და ბრმად პროთურქული ცნობიერების პირები, ნაირა გელაშვლის მსგავსი, ხოლო დეპორტირებულთა შთამომავლობიდან იყო ერთადერთი ორგანიზაცია – დაუფარავად პროთურქული და ამავე დროს თურქული, ისევე როგორც რუსული სამსახურებისაგან მართული „ვათანი“ (თურქულად – „სამშობლო“). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ აქციაზე არ იყვნენ მიწვეული არც მაჟორიტარი დეპუტატები სამხრეთ საქართველოდან და არც იმ რაიონების წარმომადგენელი დეპუტატები, სადაც გ. ხაინდრავა გეგმავს 1944 წელს გასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა დასახლებას. აქციაზე არ იყვნენ მიწვეული ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებით გააჩნიათ გ. ხაინდრავასაგან განსხვავებული პოზიცია (მთავარ პარტნიორად, როგორც ვთქვით, მიწვეული ჰყავდა „მესხეთელი თურქების“ საზოგადოება „ვათანი“). დსთ-ს ქვეყნებიდან და თურქეთიდან წარმოდგენილმა პირებმა (გასახლებულთა შთამომავლებმა) გააპროტესტეს გ. ხაინდრავას „ძალად მაცხონეს“ პრინციპით მცდელობა, მათთვის „მესხი“ ან „ქართველი“ ეწოდებინა, და აღნიშნეს, რომ ისინი მენტალობით, ენითა და კულტურით არიან თურქები და მათი კომპაქტური დასახლების ადგილი უნდა იყოს სამცხე-ჯავახეთი (მათი ტერმინოლოგიით „ახალციხის საფაშოს ჩრდილოეთ ნაწილი“). აქციის მსვლელობისას არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება და შეკითხვა 1944 წელს მომხდარი გასახლების შეფასების თაობაზე. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე დამსწრეთათვის შემეხსენებინა სსრკ უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის დეკლარაცია „იძულებით გასახლებულ ხალხთა რეპრესიული აქტების უკანონოდ და დანაშაულებრივად ცნობისა და ამ ხალხთა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ“, რითაც პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მიეცა 1944

მე-4 გვერდიდან

წელს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ჩადენილ ქმედებას. შესაბამისად, დავსვი შეკითხვა, თუ რა პოზიცია გააჩნიათ შეკრებილებს 1918-1919 წლებში მესხეთში ქართველი და სხვა ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული რელიგიურ-ეთნიკური წმენდის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების თაობაზე. ამ შეკითხვამ გ. ხაინდრავაზე ტორეადორის ხელში წითელი დროშის აფრიალების ეფექტი გამოიწვია. ყველას კარგად გვახსოვს დედაქალაქში ჩამოყვანილმა ტერორისტმა ს. შამბამ როგორ გამოუცხადა მადლობა შ. ბასაევს აფხაზეთში გაწეულ „ღვაწლზე". მაშინ გ. ხაინდრავას მისთვის სიტყვა არ შეუწყვეტინებია და არც კორიდორში გაუხმია „საქმის გასარჩევად". ქართველების მკვლელების მიმართ ტოლერანტი ხაინდრავა ნულოვან ტოლერანტობას ამჟღავნებს იმათ მიმართ, ვინც მოითხოვს სათანადო შეფასება მიეცეს უდანაშაულოთა სისხლისღვრას. რატომ? ნუთუ გ. ხაინდრავას სახით ჩვენს წინაშეა წარმოსახვითი „ზეკაცი", რომელიც მორალზე მაღლა დგას? არა. მიზეზი ფრიად „პროზაულია". ეს დაღვრილი სისხლი ქართული იყო და აბა, რა ფასი აქვს გ. ხაინდრავას კარიერისათვის ქართულ სისხლს, რომლის გამოქომაგებისათვის არც ვინმე მადლობას ეტყვის, არც დააწინაურებს სამსახურებრივად და არც გრანტს მისცემს?

ხაინდრავას არ გააჩნია რაიმე არგუმენტი, რითაც გააბათილებდა ჩვენს მიერ დასმულ საკითხს. მან ულტიმატურად მოითხოვა დამეტოვებინა დარბაზი და ეს მაშინ, როცა დარბაზში იმყოფებოდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამავე კაპრიზის თანამონაწილე იყო მესხეთელ თურქთა საერთაშორისო საზოგადოება „ვათანის" წევრი ისო მოლიძე. გავითვალისწინე რა ამ „პლურალისტთა" მდიდარი პროვოკატორული რესურსი, აღარ მივეცი მათ საშუალება, მოეწყოთ ექსცესები.

პერმანენტულ პოლიტიკურ მუტაციაში მყოფ გ. ხაინდრავას მორიგმა კაპრიზმა ჩვენი ქვეყანა მესამე დამანგრეველ კონფლიქტში უნდა გახვიოს. ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში კონფლიქტების აფეთქებაში გ. ხაინდრავას როლის შესახებ უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა. დღეს ე. შევარდნაძის განმქიქებელი, თავის დროზე იმავე ე. შევარდნაძის ე.წ. სახელმწიფო მინისტრად დანიშნული გ. ხაინდრავა, ე.წ. „ვარდების რევოლუციით" გარდასახული, აღარ კმაყოფილდება ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში კონფლიქტების „მოგვარებით" და ცდილობს მესამე კონფლიქტშიც ხელის რევას.

განათლების ეროვნული კავშირის პოზიცია 1944 წელს გასახლებულ პირთა რეპატრიაციის თაობაზე ნათელია: ხსენებული ვალდებულება დისკრიმინაციული და უსამართლოა, რადგან ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას დანიას, პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, რუსეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს არ დაკისრებიათ გასახლებული გერმანელების, უნგრელების, თურქებისა და ქურთების რეპატრიაცია. საქართველოს არ ჰყავს საქართველოს მიერ გასახლებული არც ერთი ადამიანი. არსებობენ მხოლოდ საქართველოდან საბჭოთა კავშირის მიერ გასახლებულები, რომლის სამართალმემკვიდრე რუსეთია და არა საქართველო.

საქართველოს უკვე ჰყავს ასეულ ათასობით დევნილი, მისი ტერიტორიის 15% ოკუპირებული აქვთ ტერორისტულ რეჟიმებს, მილიონზე მეტი თანამოქალაქე ემიგრირებულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, დეფორმირებულია და სტაგნაციას განიცდის დასაქმების სტრუქტურა, ქვეყანაში იმყოფება რუსული სამხედრო ძალები სამხედრო ბაზებისა და ე.წ. „სამშვიდობოების" სახით. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ 1949 წლიდან ევროპის საბჭოს წევრმა, 1959 წლის ციურიხ-ლონდონის შეთანხმებით კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ერთ-ერთმა გარანტმა სახელმწიფომ — თურქეთის რესპუბლიკამ 1974 წელს კვიპროსის რესპუბლიკაში არაკომპაქტურად მცხოვრები თურქული უმცირესობის დაცვის საბაბით განახორციელა ინტერვენცია 1961 წლიდან ევროპის საბჭოს წევრ კვიპროსის რესპუბლიკაში, მოახდინა მისი ტერიტორიის 36%-ის ოკუპაცია, სადაც 1983 წელს შექმნა ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელთანაც ევროპის საბჭოს წევრ თურქეთის რესპუბლიკას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, განლაგებული ჰყავს საარმიო კორპუსი, „სამუშაო ძალის გაცვლის შესახებ" ხელშეკრულების შესაბამისად შეყვანილი ჰყავს ათეულ ათასობით თურქული ოჯახი. ევროპის საბჭო კი არაფერს და ვერაფერს აკეთებს კვიპროსის რესპუბლიკის ერთიანობის აღსადგენად. მეტიც, თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ მზადაა უარი თქვას ევროპის კავშირის წევრობაზეც, მაგრამ არ სცნობს კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

ამ ფაქტორების უგულებელყოფით გ.ხაინდრავას კაპრიზის განხორციელება საქართველოს სტრატეგიულ ეროვნულ ინტერესებზე მიტანილი იერიშია.

საქართველოში ხელისუფლებას არ გააჩნია არც კონცეფცია, არც პროგრამა ქვეყანაში ქართველების დასაბრუნებლად, საქართველოს ეკონომიკა არაეფექტურია, რეპატრიაციით დაინტერესებული ევროპული სტრუქტურებიდან არ ჩანს ქვეყნის სოციალური სისტემის მოდერნიზაციისათვის საჭირო ინვესტიციები, საქართველოში არსებულ რუსულ სამხედრო ძალებში — სამხედრო ბაზებსა და ე.წ. სამშვიდობოებში — გამალებული მზადებაა სისხლიანი ექსცესების მოსაწყობად ეთნიკურ ნიადაგზე. აი, რეალობა, რომელიც ყველამ უნდა გავითვალისწინოთ. და ეს რეალობა პირველ რიგში ადეკვატურად უნდა შეფასოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში ხაინდრავამ, — ამისთვის იგი ქვეყნის ბიუჯეტიდან ხელფასს იღებს. ერზაცკონფერენციები, „განდობილთა" შორის დაფარული სერობები მხოლოდ დესტრუქციულ შედეგებს მოგვიტანს. ჩვენ ვთავაზობთ სახელმწიფო მინისტრს საჯარო დებატებს, მათ შორის — პირდაპირ სატელევიზიო დებატებს. ნუ შეეშინდება მათი, თუ იგი გულწრფელია და აქვს ქართველი ერისათვის მისაღები პოზიცია, არგუმენტები ამ პოზიციის დასაცავად. გამოვიდეს განათლების ეროვნულ კავშირთან პირდაპირ დებატებში. თუმცა, პირადად მე ამის ნაკლები იმედი მაქვს, რადგან თავადაც კარგად მოეხსენება, რომ დებატებში მის ხელთ არსებული არგუმენტებით გამოსვლა მისთვის სრული ფიასკოთი დამთავრდება და მაშინ ალბათ მოუწევს კიდეც ასე ძვირფასი კაპრიზის შელევა.

განათლების ეროვნულმა კავშირმა შეიმუშავა პროექტი „საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მესხეთში (საქართველო) 1918-1919 წლებში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ". ეს ტექსტი უკვე გაეგზავნა პარლამენტს. დღეს იგი გაზეთის მკითხველთა სამსჯავროზე გამოგვაქვს და ველით გამოხმაურებას.

დავით არაბიძე
განათლების ეროვნული კავშირის მდივანი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მესხეთში (საქართველო) 1918-1919 წლებში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ"

საქართველოს პარლამენტი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის პრინციპების დაცვის, ქართული სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის უზრუნველყოფის, ქვეყნის წარმატებული მომავლისათვის უახლოესი წარსულისადმი სამართლიანი და სამართლებრივი შეფასების დამკვიდრების, მომავალში ანალოგიური მოვლენების არდაშვებისა და საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლის ხსოვნისადმი ღირსეული პატივმიგების მიზნით აუცილებლად მიიჩნევს მესხეთში (საქართველო) 1918-1919 წლებში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების მიცემას.

მესხეთში (საქართველო) 1918-1919 წლებში ადგილობრივმა სეპარატისტებმა, რომელთა მიზანი იყო სეპარატისტული ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნა, გარეშე იმპერიალისტური ძალების სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით, დახმარებითა და მონაწილეობით განახორციელეს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — ადგილობრივი ქართველებისა და სხვა ქრისტიანი მოსახლეობის ტერორი, დეპორტაციის, რელიგიურ-ეთნიკური წმენდის ინსპირატორთა, ორგანიზატორთა და შემსრულებელთა სამართლებრივი დევნის შესახებ".

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალწარმოება და ყველა სხვა ზომა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებას.

ბ) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული აღნიშნული დანაშაულის შესახებ მასალები გააცნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გენერალურ მდივანსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების გენერალურ პროკურორებს.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტომ შეიმუშავოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს კანონ-პროექტი „მესხეთში/საქართველო 1918-1919 წლებში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის — ადგილობრივი ქართველებისა და სხვა ქრისტიანი მოსახლეობის ტერორის, დეპორტაციის, რელიგიურ-ეთნიკური წმენდის ინსპირატორთა, ორგანიზატორთა და შემსრულებელთა სამართლებრივი დევნის შესახებ".

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალწარმოება და ყველა სხვა ზომა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებას.

ბ) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული აღნიშნული დანაშაულის შესახებ მასალები გააცნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გენერალურ მდივანსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების გენერალურ პროკურორებს.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტომ შეიმუშავოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს კანონ-პროექტი „მესხეთში/საქართველო 1918-1919 წლებში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის — ადგილობრივი ქართველებისა და სხვა ქრისტიანი მოსახლეობის ტერორის, დეპორტაციის, რელიგიურ-ეთნიკური წმენდის ინსპირატორთა, ორგანიზატორთა და შემსრულებელთა სამართლებრივი დევნის შესახებ".

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული აღნიშნული დანაშაულის შესახებ მასალები გააცნოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, რათა ამ მოვლენებს მათი მხრიდან მიეცეს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი შეფასება.

5. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს და საქართველოს პარლამენტს წაუდგინოს დასამტკიცებლად:

ა) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული აღნიშნული დანაშაულით დაზარალებული საქართველოს მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური კომპენსაციის სახელმწიფო პროგრამა.

ბ) აღნიშნული მოვლენების დროს დაღუპული სამოქალაქო მოსახლეობისა და საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში დაცემული ჯარისკაცების, ოფიცრებისა და სახალხო გვარდიელების ხსოვნისადმი ღირსეული პატივისგების სახელმწიფო პროგრამა.

6. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს აღნიშნული დადგენილების შესრულების კოორდინაციის მიზნით შექმნას სათანადო კომისია, საზოგადოებრიობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პარიტეტული მონაწილეობით.

7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
თბილისი, 2005 წ. ივნისი

რედაქციისაგან. პარლამენტის დადგენილების წინამდებარე პროექტს ვაქვეყნებთ იმიტომ, რომ ავტორებს, ისევე, როგორც საქართველოს ყველა სხვა მოქალაქეებს, თავისი აზრის საჯაროდ გამოთქმის საშუალება უნდა ჰქონდეთ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ შემოთავაზებული საპარლამენტო განხილვის თემა შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ უცხო ქვეყნის (თურქეთის) ქმედება ისტორიის ამ ეპიზოდში, მაგრამ არა საქართველოს მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილისა (ეს გაეროსათვის მიმართვის თემა ვერ გახდება). მიგვაჩნია, რომ ამ თემის აღძვრა დაუშვებელია მესხეთიდან 1944 წელს დანაშაულებრივად გასახლებული მუსლიმანი მოსახლეობისადმი და მისი შთამომავლობისადმი დამოკიდებულების განსაზღვრის კონტექსტში; ეს იქნებოდა არაფრით არგამართლებული დათმობა იმ ყოვლად უსაფუძვლო თვალსაზრისისადმი, რომელიც მოხდარზე პასუხისმგებლად თვლის საქართველოს (თუნდაც მარიონეტულ) ხელისუფლებას და არა რუსეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

მოხდება თუ არა კიდევ ერთი გადატრიალება“?

(ინტერვიუ “სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარესთან ნ. ნათაძესთან)

„საქართველო“: ჩვენი გაზეთის ნომრიდან ნომრამდე სიტუაცია იძაბება. ხალხი გადატრიალებაზე ლაპარაკობს ან, როგორც მინიმუმი, ხელისუფლების შეცვლაზე მაინც. ზოგი იმედით ეხება ამ თემას, ზოგი, პირიქით, შიშით და გაღიზიანებით. თქვენ როგორ ფიქრობთ: რა ხდება და რა უნდა ქნას გონიერმა კაცმა საქართველოს გადარჩენისათვის ამ ტრაგიკულ ვითარებაში?

ნ.ნათაძე: ის, თუ რა ხდება, განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა ქნას წესიერმა კაცმა. თქვენი პირველი კითხვის პასუხი განაპირობებს მეორისას. გამოთქმას „ხელისუფლების შეცვლა მაინც“, ჩემი აზრით, დღეს აბსტრაქტული ხასიათი აქვს. რა გზით შეიძლება მოხდეს დღეს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, თუ არა გადატრიალებით? მე მგონი, ასეთი გზა დღეს, 2006 წლის მაისში, პრაქტიკულად არ ჩანს.

„საქ.“: მდგომარეობა რომ ჩიხურია, ყველამ ვიცით. საქართველო ელვისებურად მიექანება სრული კატასტროფისაკენ – ეკონომიკურადაც, სოციალურადაც და პოლიტიკურადაც. ამიტომ მოქმედება აუცილებელია – თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს ერთგული ხართ. დევს თუ არა ჩვენი კატასტროფული მდგომარეობის მიზეზი მთავრობის ნაკლოვანებაში?

ნ.ნ.: ამ კითხვას, მე მგონი, ცალსახა პასუხი აქვს. მაგრამ მის გაცემას ცოტა გრძელი ფორმულირება სჭირდება. პარადოქსულად შეიძლება გეჩვენებოდეთ, მაგრამ რეალობაა: საქართველოს დღეს, ობიექტური პირობების მიხედვით, ანუ რეალური სიტუაციის მიხედვით, ყველა თავისი ძირითადი პრობლემის გადაჭრა შეუძლია მოკლე დროში. ჩვენ, ასე ვთქვათ, შეგვიძლია ყველა მთავარი თამაში ნოლზე მოვიგოთ. ამის ერთადერთი პირობაა ის, რომ დამაკმაყოფილებელი ხელისუფლება გვყავდეს. ანუ: გვყავდეს ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოს ერთგულია, ე.წ. კეთილი ნება აქვს. მოკლედ რომ მოგახსენოთ: უნდა გვყავდეს არამარიონეტი ხელისუფლება. ეს ერთი. მეორე: ეს ხელისუფლება მინიმალურად მაინც ქმედუნარიანი უნდა იყოს თავისი პირადი შემადგენლობით. იგი უნდა უპასუხებდეს ამ მინიმალურ მოთხოვნას ადამიანობის, ღირსების, ენერგიის, ნიჭის თვალსაზრისით. ყველა ამ პარამეტრში სამოსნებისაგან მაინც უნდა შედგებოდეს. დღეს რას ვხედავთ? საქართველოს უკვე მერამდენე პირწმინდად მარიონეტული ხელისუფლება ჰყავს და კიდევ ერთხელ – და, თუ მივუშვით, მრავალჯერაც – იგეგმება მისი ახალი მარიონეტებით შეცვლა. რას ნიშნავს ეს, როგორც სიმპტომი? ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს შემზარავად დიდ ძალებს, რომელნიც საქართველოს უტევენ და ამავე დროს იციან, რომ სამოსან ეროვნულ ხელისუფლებასთან, ერთგულ ხელისუფლებასთან მოგება არ შეუძლიათ, ბრძოლის ფრონტი აქეთ, ჩვენსკენ გადმოაქვთ: ისინი იბრძვიან და მეცადინეობენ პირველ ყოვლისა იმისათვის, რომ საქართველოში ნამდვილი ანუ ეროვნული ხელისუფლება არ შეიქმნას, არამედ მარიონეტული მართვა უსასრულოდ და უსასრულოდ გაგრძელდეს. ასე რომ, გამოდის, მთავრობის შეუფერებლობის პრობლემა და, შესაბამისად, მისი შეცვლის ამოცანაც თავისი წარმოშობით მეორადი ყოფილა. იგი საქართველოს მიერ გარე ძალების გამკლავების ამოცანიდან გამომდინარეობს. მაგრამ ჩვენი სამოქმედო გეგმის მიხედვით იგი პირველია: გარე შემოტევებს ვერ მოვიგერიებთ, თუ არსებულ ხელისუფლებას ეროვნული ხელისუფლებით არ შევცვლით. ხელისუფლების შეცვლის ამოცანის ეს პრიორიტეტი მხოლოდ სადღეისო პრაქტიკული დაგეგმვის (დღევანდელი ალგორიტმის) მახასიათებელია, და არა ეროვნული გრძელვადიანი სტრატეგიისა საერთოდ, რომელსაც უნდა მივდიოთ. ეს უკანასკნელი რომ სწორად განვსაზღვროთ, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, სწორად გავითვალისწინოთ, ვინ გვიტევს, საიდან გვიტევს, რა მიზნით და რა იურიდიული თუ ფიზიკური იარაღებით.

„საქ.“: ბევრნი საუბრობენ „შეთქმულებაზე საქართველოს წინააღმდეგ“, საერთაშორისო შეთქმულებაზე. თქვენც ხომ არ იზიარებთ ასეთის არსებობის კონცეფციას?

ნ.ნ.: „შეთქმულება“ არ მგონია სწორი სიტყვა. ჩვენზე შემომტევ მხარეთა ლიდერები სადმე კილიმანჯაროს მწვერვალზე არ შეკრებილან და ჩურჩულით არ მოლაპარაკებულან, როგორ გაანადგურონ ჩვენი ქვეყანა. უბრალოდ, ყველას თავთავისი ინტერესი აქვს, დიდსაც და პატარასაც. საქართველოს ინტერესს, როგორც დაბალი ღობისას, არავინ მხედველობაში არ იღებს. შეკრიბეთ დიდთა და პატარათა ეს განწყობილებები და ჯაჭში მიიღებთ გაშლილ ერთობლივ შემოტევას ჩვენს ქვეყანაზე. ბუნებრივია, რა თქმა უნდა, რომ დროდადრო – როგორც სიტყვა თუ საქმე მოიტანს, – ამ შემოტევის სხვადასხვა მონაწილენი ერთმანეთსაც შეჰხვდებიან, თუნდაც სხვა საქმეზე, და გზადაგზა თავისი მოქმედების კოორდინაციასაც მოახდენენ.

„საქ.“: ვინ არიან ის შემომტევნი? შეგვიძლია დავასახელოთ?

ნ.ნ.: რა თქმა უნდა! მაგრამ მათს უბრალოდ ჩამოთვლას დიდი ვერაფერი აზრი აქვს, თუ პარალელურად არ გავარკვიეთ, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, უძლურნი ვართ ამ კონკრეტული ძალის შემოტევის პირისპირ თუ წამატებული წინააღმდეგობა შეგვიძლია. პირველი ამათში, რა თქმა უნდა, რუსეთია. პირველია იმიტომაც, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ძლიერი აგენტურა ჰყავს, იმიტომაც, რომ ყველაზე ახლოა – შეიძლება ითქვას, ზედ გვაზის, – და იმიტომაც, რომ თვით რუსებსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც, ასე თუ ისე, ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენი ქვეყნის რუსეთის ამალაში მოაზრების ჩვევა მოსდევს. რუსეთს უნდა ჩვენს ქვეყანაში თავისი პოზიციების აღდგენა, თავისთვის უკეთეს შემთხვევაში – მისი ხელახალი ანექსია, მაგრამ არა ბატონობისათვის, რომელსაც, ისტორიული გამოცდილების თანახმად, ადრე თუ გვიან გაუქმება ელის, არამედ ჩვენი სრული ფიზიკური და კულტურული განადგურებისთვის, როცა საქართველოში ყველა, მაპატიეთ, ოხერი და მამაძაღლი იპარპაშებს და იბატონებს საქართველოს მოქალაქეების, ქართველების გარდა. მისი უშუალო სტრატეგიული მიზანია ჩვენი ტერიტორიის დაკავება (ამა თუ იმ სტატუსით) იმგვარად, რომ შეჩერდეს დასავლეთის სტრატეგიული მოძრაობა შუა აზიისაკენ, შორეულ პერსპექტივაში – ჩვენი ტერიტორიის კვლავ გამოყენება პლაცდარმად, საიდანაც „შაჰის“ ქვეშ ეყოლება ახლო აღმოსავლეთი მისი ნავთობითა და სხვა რესურსებითურთ. მისი მთავარი სტრატეგიული სისუსტე ამ გეგმებთან მიმართებაში ორია: პირველი ისაა, რომ მას ის ძალა აღარა აქვს და არასოდეს აღარ ექნება, რომ მსოფლიოს აზრი და პოზიცია ფეხებზე დაიკიდოს, რაც მას ართმევს საქართველოზე პირდაპირი, დაუფარავი დარტყმის საშუალებას. მეორე ისაა, რომ, დასავლეთთან შედარებით, რუსეთი დღესაც და განჭვრეტად მომავალშიც არაკონკურენტუნარიანია, როგორც ამა თუ იმ პატარა თუ საშუალო ხალხის მფმკ მას დედამიწის დღევანდელსა თუ მომდევნო რუკებზე არსად მოკავშირის ან სატელიტის პოვნის პერსპექტივა აღარ ეხსნება. ამ თავის მინუსებს საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი იმით – და მხოლოდ იმით – აკომპენსირებს, რომ საქართველოში უზარმაზარი პოლიტიკური და იდეოლოგიური აგენტურა ჰყავს, ყველა დონეზე, და ეს უპირატესობა მას კიდევ კარგა ხანს გაჰყვება. რით შეუძლია საქართველოს ამ შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლა? პირველ ყოვლისა, თავისი სტატუსის, როგორც დამოუკიდებელი და გაეროს წევრი სახელმწიფოსი, იურიდიული და პოლიტიკური გამოყენებით საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. რუსეთს არა შეუძლია თქვას, „არ მინდა და არ მივდივარ თქვენი ბაზებიდანო“ ან „მინდა და დაგბომბავ, თუ შენს ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ჩემს მოქალაქეებს აწყენინებო“. ეს მას არ შეუძლია, – თუმცა თავის უშიშროების კონცეფციაში ამის უფლებას იჩემებს, – რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში პასუხისუნარიანი პრეზიდენტი და საგარეო მინისტრი ჰყავს და გაეროში საქართველოს სიტყვისუნარიანი – და არა დღევანდელისებრი – წარმომადგენელი ზის. მეორეც, საქართველოს შეუძლია თავისი შინაგანი რესურსებით ისეთი სამხედრო მანქანის შექმნა, რომელიც გაუმკლავდება

მის შიგნით არსებული სეპარატისტული, პუტჩისტური და სხვა ყველა ჯურის შეიარაღებული ამბოხების მსურველებს. ანუ: საქართველოს შეუძლია თავისი შეიარაღებული ძალების იმგვარი ეფექტიანობის შექმნა, რომ შეუძლებელი იყოს რუსეთის მხრიდან მისი აგენტურული და ყველა სხვა არაფორმალური გზებით დაძლევა, არამედ ეს შეეძლოს მხოლოდ პირდაპირი, ღია, დროშაგაშლილი დარტყმით, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს მიერ აღკვეთილი უნდა იყოს იმთავითვე პოლიტიკური და იურიდიული ძალით. ეს მეორე გზაც საქართველოს მიერ რუსული აგრესიის მოგერიებისა, რა თქმა უნდა, ძალაშია იმ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს რესურსს რაციონალურად იყენებს სახელმწიფო მიზნებისათვის იმის ნაცვლად, რომ საზღვარგარეთის ბანკებში საკუთარი მრავალმილიარდიანი ანგარიშები შექმნას. რუსეთის შემოტევის გარანტირებული მოგერიებადობა საქართველოს მხრიდან, თავის მხრივ, შექმნის (თუ დღეს არა, პერსპექტივაში მაინც) ობიექტურ და ფსიქოლოგიურ პირობებს საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისათვის, მაგალითად, საქართველოსათვის ძალიან ხელსაყრელი, რუსეთისათვის კი სასიცოცხლოდ აუცილებელი სატრანსპორტო ხაზების განვითარებისათვის რუსეთსა და ჩვენგან სამხრეთით მდებარე ქვეყნებს შორის.

თქმულის დასაბუთება მრავალნაირად და აურაცხელი შეუვალი არგუმენტებით შეიძლება. ამიტომ გაკვირვებას იწვევს – არც მეტი, არც ნაკლები, – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადება (მე იგი ეკრანიდან მოვისმინე), თითქოს საქართველოს ნება, რომ რუსეთის ბაზები გავიდნენ, თუნდა დაუყოვნებლივაც კი, შეიძლება ან შესრულდეს, ან არ შესრულდეს რუსეთის მიერ, მაშასადამე, საქართველოდან ამ ბაზების გაყვანას არა ერთმხრივი (საქართველოსი), არამედ ორმხრივი (საქართველოსა და რუსეთის) გადაწყვეტილება სჭიდება. საინტერესოა, შეუძლია თუ არა ამ განცხადების ავტორს გამოსვლა ღია ტელედებატებში და თავისი აზრის დასაბუთება? რა თქმა უნდა, არ შეუძლია. მისი ლიტონი, ყოველგვარი იურიდიული და პოლიტიკური საზრისისაგან დაცლილი სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ ასეთივე ლიტონი, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ აზრსა და პასუხისმგებლობას მოკლებული პარლამენტის ბუნებასა და მიმართულებას ასახავს.

„საქ.“: არ გეკამათებით. მაგრამ ხომ ვიცით, არაოფიციალურად, შემთხვევები, როცა დასავლელი მოკავშირეები ეუბნებიან საქართველოს ხელისუფლებას: მოიცადეთ, ამ ეტაპზე როგორმე საერთო ენა გამონახეთ რუსეთთან. ასე იყო, თუ არ ვცდები, იმ დროსაც, როცა ნატო ფართოვდებოდა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისაკენ და ბალტიისპირეთისაკენ.

ნ.ნ.: ეს ამ შემთხვევაში როლს არ თამაშობს. იმის მზაობა, რომ რუსეთს არ დართოს საქართველოზე პირდაპირი სამხედრო დარტყმის ნება, და იმის საშუალება, რომ არ მისცეს რუსეთს შესაბამისი ქმედება, ძალიან მოკლე დროში აღკვეთოს იგი, დასავლეთს ყოველთვის აქვს.

ახლა მეორე შემომტევი ვნახოთ. თურქული სამყარო ასეთი ტრადიციული ისტორიული შემომტევია საქართველოზე. თურქობაში, ცხადია, ვგულისხმობ აზერბაიჯანის მოსახლეობასაც, რომელსაც დღეს ინტენსიურზე ინტენსიური დემოგრაფიული იერიში მოაქვს, უკანონო იმიგრაციის გზით, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე. თქვენ იცით, რომ ამ მიზნით აზერბაიჯანში მუშაობს სამინისტროს რანგში მყოფი „საზღვარგარეთელ თანამემამულეებთან მუშაობის კომიტეტი“ (თავმჯდომარე – იბრაგიმოვი), რომლის პირველი ოფიციალური ამოცანაა საქართველოზე მუშაობა. არის საშიშროება, რომ ნატომ თავის იმ ნაწილად, რომელსაც ჩვენს რეგიონში მოქმედება უწევს, თურქეთი მიიჩნიოს, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სრულებით მიუღებელია. ერთ მჭევრმეტყველ დეტალს მოგახსენებთ. ამას წინათ თურქეთის საელჩოდან მომივიდა მოსაწვევი მხოლოდ თურქულ ენაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს იდეა ჩვენს რეგიონში საერთო-სახმარ ენად, ე.წ. „ლინგვა-ფრანკად“ თურქულის დამკვიდრებისა, რაც ნიშნავს ამ სახელმწიფოს ჩვენთვის მიუღებელ ჰეგემონიას. ამ შემოტევის წინააღმდეგ – შემოტევისა, რომლის გამჭოლი მიზანი სხვა ვერა იქნება რა თუ არ პირწმინდად თურქული კავკა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

სია — ჩვენ ბრძოლის იგივე საშუალება გვაქვს, რაც რუსეთთან (და იმავე პირობებით), რაც სრულებითაც არ უშლის ხელს ჩვენს რაგინდარა მეგობრულ და მოკავშირეობრივ ურთიერთობას თურქეთის სახელმწიფოსთან, აგრეთვე აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან დღეს

და მომავალში. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი იდეა თურქეთის ექსპანსიისაგან თავის დაცვისა რუსეთის ფაქტორის გამოყენებით, ან თუნდაც შედარებით ახალი იდეა ამ ფაქტორთა ურთიერთდაბალანსებისა საქართველოს ინტერესებში, უიმედოდ მოძველებულია: რუსეთი და თურქეთი დღეს და მსოფლიო ძალთა საპერსპექტივო ბალანსში მოკავშირეები არიან და არა მეტოქეები, რისი პირველი დამახასიათებელი შემთხვევეა და ილუსტრაციაცაა თურქეთის არმიისა და რუსეთის მე-11 არმიის ერთობლივი შეთანხმებული შეტევის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ ერთ დღეს, 1921 წლის თებერვალში.

სამწუხაროდ, მუშაობს ასეთი კანონზომიერება: აზერბაიჯანელები, მათ შორის — უკანონო იმიგრანტებიც დაუბრკოლებლად ყიდულობენ მიწას ქრთამებით აღმოსავლეთ საქართველოს მთელ აღმოსავლეთ ნაწილში. ისინი ფინანსდებიან ისლამური ფონდების ფულით და არა წიწმატისა და ბადრიჯნის ფულით. ქართველებზე მიწა არ იყიდება (თვით ქრთამებითაც კი). მექრთამე ქართველს აზერბაიჯანელი კლიენტი ურჩევნია.

ამ კონტექსტში ფრიად და ფრიად უსიამოვნო განცვიფრებას იწვევს ა.წ. 21 აპრილს პარლამენტის წევრ კ. დავითაშვილის მიერ გაჟღერებული დაბეზღება (ცრუ დაბეზღება) ჩვენი ქვეყნისა, თითქოს საქართველოში ადგილი ჰქონდეს აზერბაიჯანელთა „დისკრიმინაციას“ (ტელეარხი „კავკასია“). რაში ხედავს კ. დავითაშვილი აზერბაიჯანელთა დისკრიმინაციას — იმაში, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობას საქართველოს საუკეთესო მიწები უჭირავს და დღეს უკვე საკურორტებში ფლობს მათ? იმაში, რომ არც ოდესმე უყიდია ისინი, არც დაუპყრია, არამედ საჩუქრად მიიღო, როგორც საქართველოს მოსახლეობის არაქართველმა ელემენტმა, ჯერ მეფის რუსეთის ხელისუფლებისაგან, შემდეგ კი საბჭოთასაგან, რათა საქართველოში ქართველების ეკონომიკური სივრცე შემცირებულიყო? იმაში, რომ აღმოსავლეთ კახეთში ანუ ე.წ. საინგილოში (აზერბაიჯანის ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონები) ქართველი მოსახლეობა ეკონომიკური და პირდაპირი ფიზიკური შევიწროვების, — თითქმის გენოციდის — გზით ბოლო 80 წელიწადში გამესამედდა, იმ დროს, როცა აზერბაიჯანული მოსახლეობა გაათკეცდა, და საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას, დღევანდელის ჩათვლით, ამ ანაქრონისტულ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კრინტი არ დაუძრავს? რომ აზერბაიჯანში ქართული სკოლები თითქმის განადგურებულია უკვე და მუსლიმანი ქართველები იძულებით „აზერბაიჯანელებად“ არიან პასპორტიზებული, საქართველოში კი აზერბაიჯანული თეატრიც და სკოლაც ყვავის, ამასთან — საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანულ მოსახლეობას აზერბაიჯანულად მიჰმართავს? თუ იმაში, რომ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ისეთივე უტყვი სტატისტია ამიერკავკასიის პოლიტიკის შიგნით თავისი აზერბაიჯანელი კოლეგის პირისპირ, როგორიც მისი წინამორბედი იყო იმისი წინამორბედის წინაშე? თუ პარლამეტის თავმჯდომარეს ნ. ბურჯანაძეს ტელედებატების პრაქტიკა არა აქვს (გასაგები მიზეზების გამო), კ. დავითაშვილს ხომ შეჯიბრისა თუ სპორტის ამ ფორმის გამოყენება ხშირად უწევს! ეგებ გამოვიდეს ღია დისკუსიაში და განმარტოს, რამ შეადგინა მისი ესოდენ უსამართლო ცილისწამების საფუძველი.

„საქ.“: საქართველოს აკადემიასთან კარგა ხანია არსებობს ინგილოებზე შეფობის კომისია, რომელიც მათ საქართველოში უმაღლესსა და საშუალო სპეციალურ განათლებას კურირებს. არ ამსუბუქებს იგი ინგილო მოსახლეობის ამ მძიმე ტვირთს?

ნ.ნ.: ამსუბუქებდა. ახლა აღარ ამსუბუქებს. დღეს, როცა განათლების სამინისტრო დივერსანტების ხელშია, აკადემია კი თითქმის უკვე განადგურებულია, ამ საქმეს წარმატების უკვე მცირე პერსპექტივაღა აქვს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლა აუცილებელი არ არის.

„საქ.“: მთავარი შემომტევი ძალები, როგორც ჩანს, უკვე დაასახელეთ.

ნ.ნ.: არა, კიდევ ბევრი სხვაა. ყველაზე მძლავრი რომ ვახსენო, ეს არის ერთის შეხედვით ანონიმური ფაქტორი, რომელსაც გლობალიზაციის გარდუვალი პროცესი ჰქვია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. გლობალიზაცია, ანუ დედამიწის ყოველმხრივი შემჭიდროვება ტრანსპორტის, კომუნიკაციის და სხვა ურთიერთობების ინტენსიფიკაციის შედეგად, არის ობიექტური პროცესი, ისევე, როგორც, მაგალითად, ტექნიკური წინსვლა, და თუ მისგან რაღაცა ზარალი მოგვადგა, ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ მოგებულთა რიცხვში ვიყოთ და არა წაგებულთაში. მაგრამ ჩვენთვის საშიშია ერთა ნიველირების ტენდენცია, რომელიც გლობალიზაციას ახლავს პარაზიტ მცენარესავით და რომელიც ანონიმური სრულებითაც არ არის. ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ფორმის, განვითარება და გაძლიერება ძალიან დიდ ძალებს არ უნდათ. ამ პროცესში მათ მიერ გამოყენებულია ზემოქმედების არაპირდაპირი საშუალებები, და არა ძალა, მათ შორის — ფულიც, დიდი ფული. ფულთან კონკურენცია საქართველოს და, ზოგადად, დედამიწაზე მცხოვრებ ქართველებს, ქართველერს, არ შეუძლია. მაგრამ ფული აქ, საბედნიეროდ, არ არის კონკურენციის ერთადერთი საგანი. მასში მონაწილეობს ქონების, ნიჭის, სიფხიზლის, შემოქმედი და კრიტიკული ანალიტიკური აზროვნების ფაქტორიც. ამ მხრივ ქართველ ხალხს, კერძოდ — მის მოაზროვნე ინტელიგენციას (ფილოსოფოსებს, ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, პოლიტოლოგებს, ლიტერატორებს...) როგორც იტყვიან, დიდთა საქმეთა ქმნა შეუძლიათ. ოღონდ ამისთვისაც საჭიროა ისევ ის პირობა, ზემოთ რომ დავასახელეთ: საქართველოს სათავეში უნდა იყოს ეროვნული ანუ არამარიონეტული ხელისუფლება, რომელსაც ამ თავდაცვისა და, საერთოდ, ბრძოლის, შეტევითის ჩათვლით, სურვილი აქვს. დღეს, როგორც ვიცით, მმართველი გუნდი, მით უმეტეს, — მისი ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტის მიერ გამოზრდილი ნაწილი თვალში საცემად ულიმღამო, გონებრივად უუნარო პირებისაგან შედგება. საკმარისია ითქვას ეკრანიდან მიღებული შთაბეჭდილებით, რომ ამ ადამიანებში დადებითად გამოიჩეკა (თავისი მსჯელობის უნარით) არც მეტი, არც ნაკლები დეპუტატი გ.

ბოკერია, რომელიც თავისი ანთროპოლოგიური მონაცემებით ანტიქართული მანიით შეპყრობილი კომკავშირელისა და „ჰერშენ“-ის (ბატონობის) უსაფუძვლოდ მაძიებელი ჰიტლერიუგენდის ყოვლად შეუსაბამო ჰიბრიდია. პირდაპირ გეტყვით — გაუზვიადებლად: დღეს ქართველი მეცნიერული ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობს, ბევრად უფრო წინაა, ვთქვათ, ადამიანის ადამიანური უფლებების დაცვის ამოცანის თეორიულ გააზრებაში და მისი პრაქტიკის პლუსებისა და მინუსების ანალიტიკური გარჩევის საქმეში, ვიდრე ე.წ. უფლებადაცვითი მოძრაობის ყველა სხვა ცენტრი თუ წარმომადგენელი დანარჩენ მსოფლიოში. ასე რომ, ვთქვათ, საქართველოს ოფიციალური სახე ამ სფეროში — ჰორიზონტით შეზღუდული ომბუდსმენი, რომელიც თავის ფუნქციას დაჩაგრული ინდივიდუალური ადამიანის დაცვაში, როგორც უნდა ხედავდეს, კი არ ხედავს, (იქიდან გამომდინარე, რომ ინდივიდუალურ პიროვნებას თანამედროვე ადამიანის თვალში უსასრულო ღირებულება აქვს), არამედ საქართველოს დაბეზღებაში მსოფლიოს წინაშე, ამა და ამ უწყებამ დემოკრატია დაარღვია და, ვთქვათ, სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდა იმის ნაცვლად, რომ სომხური ეკლესიისათვის მის მიერ მოთხოვნილი ეკლესიები პირდაპირ, უსამართლოდ, ეჩუქებინაო. ეს კადრი, საბედნიეროდ, საქართველოს ინტელექტის რეალურ პოტენციალს არ ასახავს.

„საქ.“: თქვენ მხედველობაში გყავთ ბ-ნი სუბარი?

ნ.ნ.: ისიც და მისი წინამორბედიც. ამ სენს, რომელიც მოგახსენეთ, მე პირადად პირველად დავაკვირდი ქ-ნ ნანა დევდარიანის პრაქტიკაში. სავსებით დასაბუთებადია და დღესავით ნათლად ილუსტრირებადია, რომ დღეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისათვის, მათ შორის — მათი ეროვნული ინტერესებისათვის ზრუნვა შეუდარებლად უფრო წინ არის წასული, ისტორიულადვე, ვიდრე სადმე სხვაგან. რომ ყველა ბრალდება დღევანდელი საქართველოს მიმართ, რომელსაც რუსეთის საპროპაგანდო მანქანა ქმნის, ხოლო გლობალიზაციის პარაზიტი მცენარის — ერთა ნიველირების იდეოლოგიური მოძრაობის — ადეპტები სიამოვნებით ითვისებენ და ფარზე იკრავენ, პირწმინდა ინსინუაციებია. საქართველოს მეცნიერული ინტელექტი, რომელიც, სამწუხაროდ, იძულებულია, ამ საკითხებს დიდი და მძიმე ყურადღება დაუთმოს, მათ გააზრებაშიც — მაგალითად, იმის გააზრებაში, რა არის ადამიანისთვის ერთან დაკავშირებული პოლიტიკური და კულტურული ინტერესი, რა არის თვით ერი, როგორც ადამიანთა ერთობის ფორმა, რაა მისი როლი წარსულსა და მომავალში და რა მორალური საფუძველი აქვს მის ერთგულებას თუ მისგან განდგომას ამა და ამ ისტორიულ ვითარებებში, საქართველოში უკეთესადაა გააზრებული, ვიდრე სადმე სხვაგან და სხვაგან. ამ მხრივ, ე.წ. უფლებადაცვითი მოძრაობა, ადამიანისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო მოძრაობა — რაც უნდა დიდი იყოს არაერთი პოლიტიკური სუბიექტის მისწრაფება, რომ იგი საქართველოს მოუსიოს, — ჩვენი ქვეყნისთვის საშიში არ არის. პირიქით, ეს ის სფეროა, სადაც ქართულ აზრს და ქართულ ისტორიულ თუ დღევანდელ პრაქტიკას ძალუძს, მსოფლიოს არაერთი შესაშურად ბრწყინვალე მაგალითი დაუსახოს.

„საქ.“: თქვენ მხედველობაში გაქვთ არა მარტო თანამედროვეობა, არამედ ტრადიციაც. კერძოდ, ამ თემის გააზრების ტრადიციაც — მიხეილ წერეთელი და სხვანი?

ნ.ნ.: დიახ. შემომტევ ძალთა შორის, სამწუხაროდ, უნდა დავასახელო ებრაული ლობიც. ამ მხრივ მე ვერავინ ვერაფერს დამაბრალებს, რადგან ვარ ავტორი პატარა წიგნისა, რომელიც დაიწერა მაშინ, როცა სიონისტური მოძრაობა, ანუ იერუსალიმის გარშემო ებრაული სახელმწიფოს აღდგენისათვის მებრძოლი მოძრაობა გაეროს რეზოლუციის მიერ დაკვალიფიცირებული იყო როგორც „რასიზმი“. მაგრამ მისი გამოცემა მაშინ ვერ მოხერხდა. როცა იგი გამოვიდა, გაეროს ხსენებული უვარგისი რეზოლუცია უკვე გაუქმებული იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას მრავალი ჩუმი მომხრე არ დარჩენილიყო. ამ რეზოლუციის უსამართლობამ და მისი უმართებულობა დავასაბუთე იმ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ეთიკისა და ისტორიული მასალების იმ ფლობის საფუძველზე, რომელიც გამაჩნდა. (წიგნი რუსულ ენაზეა გასაგები მიზეზების გამო). მაგრამ ჩემი დიდი სიმპათია ისრაელის სახელმწიფოსადმი და ებრაელი

ერისადმი არ მაძლევს უფლებას, დავხუჭო თვალი იმ საშიშროებაზე, რომელიც დღეს ჩემ ქვეყანას ელის. ეს საშიშროება ამ ასპექტში ორგვარია. პირველი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს ებრაულ პოლიტიკურ აზროვნებაში არსებობს იდეა, რომ თუ ისრაელის სახელმწიფო ვერ დამბგრდა ისე, როგორც ჰსურს, თავის დღევანდელ რეგიონში, მისთვის მეორე ტერიტორია ან, თუ გნებავთ, ალტერნატიული ტერიტორია შეიძლება იყოს საქართველო. საქართველოს ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა, რომელიც, მაგალითად, მონდომებულია, რომ გაიტანოს ღია ბაზარზე, სადაც არც ერთი კონკურენტუნარიანი ქართველი არ არსებობს. ხსენებულ გეგმას განსახორციელებადს ხდის. მეორე. ვინაიდან ისრაელის სახელმწიფოსთვის არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს დასავლეთის ფორპოსტს აღმოსავლეთში, და ვინაიდან საქართველოს ანალოგიური როლის თავზე აღების პერსპექტივა აქვს, მყარდება ერთგვარი კონკურენტული მიმართება ამ ორ ერთეულს შორის, რის გამოც ებრაული ლობი არაა დაინტერესებული, რომ საქართველო ფეხზე დადგეს და გაიმართოს. პირადად ჩემთან ამ შესაძლებლობებზე მეტყველ არაერთ (ჩემთვის არცთუ შემოწმებად) ინფომაციას მოუღწევია. მე ვფიქრობ, საქართველოს საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამგვარი შემოტევის არსებობის შესაძლებლობაც და ყოველი შემთხვევისთვის სათანადო დამცველ ზომებს უნდა იღებდეს. ეს ზომები მარტივია და ერთგული, ანუ არამარიონეტული ხელისუფლების ყოლის შემთხვევაში (მაგრამ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში) ადვილად შესრულებადი: ეს არის საქართველოს საარსებოდ საკვანძო ეკონომიკური სიმძლავრეების, მათ შორის მიწის შენახვა საქართველოს ხელში, რაც დაცვას წარმოადგენს არა მხოლოდ ებრაული ლობის შესაძლო ეკონომიკური შემოტევებისაგან, არამედ ნებისმიერი სხვისგანაც, რომელიც ამავე მეთოდით მოქმედებას მოინდომებს. ბადრი პატარკაციშვილის მიერ საქართველოში საკვანძო მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის — მიწის შესყიდვის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მე-7 გვერდიდან

პრაქტიკაც, ისევე როგორც სხვა არაერთი უცხოელი ინვესტორისა, ამ საშიშროების გათვალისწინებას მოითხოვს.

უნდა შევნიშნოთ სხვათა შორის, რომ ამ ლობის ძლიერება შესაძლებელია ზოგ სხვა ფაქტორსაც ხსნიდეს. მისი ძალა დღეს ყველაზე მეტად აშშ-სა და რუსეთში ვრცელდება. თუ ხდება რაღაც უცნაური სწრაფწარმავალი გარიგება ამ ორ ქვეყანას შორის, ეს, სავარაუდოდ, ხშირ შემთხვევაში ამ ლობის ინტერესების დამსახურება იყოს.

უნდა შევნიშნოთ შემდეგიც: ქართული და ებრაული სახელმწიფოს ისტორიულმასშტაბიანი სტრატეგიული ინტერესების ურთიერთიმართების ეს ზემოხსენებული ჰესიმისტური პროგნოზი არ არის ერთადერთი შესაძლებელი. შესაძლებელია ოპტიმისტურიც, რომელსაც რეალობა მიეცემა, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ერთგვარი ერთობლივი მნიშვნელოვანი დაცვის ზღუდე დასავლური ცივილიზაციისთვის, რომლის მარჯვენა ფლანგი იქნება ისრაელი, ხოლო მარცხენა — საქართველო.

დასასრულ, უნდა დავასახელო სომხური ლობი. იგი საქართველოსთან შედარებით განუზომლად ძლიერია ფინანსურად. სამწუხაროდ, მას ტრადიციად მოსდევს საქართველოსადმი არამეგობრული ქმედება იმ გამჭოლი იდეიდან გამომდინარე, რომ სომხეთს ზღვისკენ გასასვლელი უნდა და ეს გასასვლელი მან საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე უნდა მოიპოვოს, რაც ვერ მიიღწევა საქართველოს უმნიშვნელოვანეს ინტერესთა შელახვის, სახელდობრ, საქართველოს სახელმწიფოს განუხრელი დაუძლურების გარეშე. ამ შემოტევის მოგერიება ძნელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებას აქვს სახელმწიფოებრივი ნება. სახელდობრ სომხეთთან და სომხებთან მუდმივი და სტაბილური მეგობრული ურთიერთობების მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჰყოფნის ნებაც და ძალაც, რომ დაიცვას თავისი ტერიტორია მისი სატრანსპორტო გზებითურთ.

ამ ჩამოთვლის მიზანი, რომელსაც წარმოგიდგენთ თქვენი კითხვის პასუხად, ერთადერთია: ვაჩვენოთ მკითხველს, რომ **საქართველოს, თუკი ერთგული ხელისუფლება ეყოლება, შეუძლია ცალსახად გადაჭრას დადებითი მიმართულებით მის წინაშე დღეს მდგარი ყველა პრობლემა. საქართველო ჩიხში არ არის.**

„საქ.“: თქვენ არ გიხსენებიათ საქართველოს ურთიერთობა ამერიკელებთან, რასაც დღეს ჩვენი ქვეყნისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს. ამ თემის გარეშე ალბათ შეუძლებელია მსჯელობა იყოს არსებითი. თქვენც იცით და ჩვენც ვიცით, რომ საქართველოში დღეს ამ ურთიერთობის შესახებ ორი აზრია. უფრო ზუსტად — ამ ურთიერთობას დღეს ორი სხვადასხვა კუთხით უყურებენ. არის აზრი, რომ ამერიკელები ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები არიან. ამავე დროს არის აზრი, რომ ამერიკის ზემოქმედება საქართველოს შინაგან ვითარებაზე, უფრო ზუსტად — საქართველოს შინაგან პოლიტიკაზე მკვეთრად უარყოფითია: რომ ამერიკელები დირიჟორობენ საქართველოს ეკონომიკური ნგრევის მიზანმიმართულ პროგრამას, რომელიც დღეს საქართველოში ტარდება, განათლების ნგრევის პროგრამას, სექტანტების გათამამებისა და გაპარპაშების პროგრამას, რომლებიც საქართველოში, ისევე როგორც ყველგან მსოფლიოში, სახელმწიფოსათვის დესტრუქციულნი არიან. რა აზრის ხართ ამის შესახებ?

ნ.ნ.: ორივე აზრი არსებობს და ორივე, თავთავისთვის აღებული, მართალია. როგორ რიგდება ეს ორი ფაქტი? დასავლეთს ჰქონდა ცივი ომის დროს და დღესაც აქვს კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის, და ამ უკანასკნელის ელემენტთა შორის — ეკონომიკური ბრძოლის პროგრამა. კომუნისტურ იმპერიას თავისი სამართლებრივი მემკვიდრეც ჰყავს რუსეთის სახით და სტრატეგიული მემკვიდრეც, მისივე სახით. რუსეთი ნეიტრალური არ არის დასავლეთის მიმართ (თუ, რა თქმა უნდა, რამდენიმე წამით ხელს იღებთ დიპლომატიურ ეზოპურ ენაზე). რუსეთი ერთერთი — მნიშვნელობითა და წონით მეორე — ელემენტია მესამე მსოფლიო ომისთვის დღეს ქმნადობაში მყოფი „იქითა“ ბანაკისა. შესაბამისად, მისი ეკონომიკური ცხოვრების წარმართვა გარკვეული მიმართებით დასავლეთის ინტერესია. რა მიმართულებით? იმით, რომელიც მინიმალურად უწყობს ხელს რუსეთის მთავარი ობიექტურად აგრესიული ძალის — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის — განვითარებას. ამ კომპლექსში შედის არა მხოლოდ პოლიგონები, არსენალები და სამხედრო ამოცანებისთვის განკუთვნილი კვლევითი ცენტრები, არამედ მრავალი სხვა რამეც. სანამ ჩვენი ქვეყანა რუსეთის „ესენგეშია“ და სანამ მასში რუსეთის ბაზები დგას, საქართველოს მსოფლიოს რეალური პოლიტიკური აზრის თვალში რუსეთის სამხედრო მაჩაჩალის სტატუსი აქვს და მასზე გავლენის პროგრამაც შესაბამისი, სახელდობრ — დაუძლურების მიმართულებით მიდის. მოკავშირეების მიმართ, მაგალითად, ბალტიისპირელების მიმართ სხვა პოლიტიკა ტარდება. ჩვენ, ბუნებრივია, დაინტერესებულნი ვართ, რომ დასავლეთმა ჩვენ მიმართაც იგივე პოლიტიკა გაატაროს, რაც ბალტიისპირეთის მიმართ. ეს მოკავშირეობრივი პოლიტიკა შედგება ორი ელემენტისგან: პირველი ამ ორთაგანი

არის დაცვა რუსეთის პირდაპირი სამხედრო დარტყმისაგან. დასავლეთი, კერძოდ, აშშ ამ ამოცანას „ხუთიანზე“ ასრულებს — რა თქმა უნდა, იმის წყალობით, რომ მისი არა თუ განცხადებების უკან, რომელსაც იგი, როგორც წესი, დროულად და ოპტიმალური ფორმულირებით აკეთებს ხოლმე, არამედ სატელეფონო საუბრების უკანაც, რომელთაც მე და თქვენ ვერ ვისმენთ, მაგრამ ჩვენით, როგორც იტყვიან, ჰაერში ვგრძნობთ, იგივე ძალა დგას. მეორე ელემენტია ზეგავლენა ჩვენ შინაგან ვითარებაზე. აქ ჩვენ ვხედავთ აუარებელ ფაქტორებს, რომლებიც ცუდია, — მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების ნგრევას, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ფრიად და ფრიად არარაციონალურ „წაკარნახებებს“ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე და ა.შ. — და აქ ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო მეტი მრუდე ეჭვები, რომელთაც, სამწუხაროდ, უფრო ხშირად ხელშესახები საფუძველი აქვს ხოლმე, ვიდრე არა აქვთ. მაგალითად, რატომ არ გვეხმარებიან დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები რუსეთის დესტრუქციული გავლენის დაძლევაში გაეროში აფხაზეთის უმართებულოდ „ინტერნაციონალიზებულ“ პრობლემაზე მსჯელობის პროცესში? მხოლოდ იმიტომ, რომ თვით საქართველოს ხელისუფლებანი — ძველიც და ახალიც — რუსეთის ყმები არიან და მათი ინიციატივის გარეშე დასავლეთს ჩვენი დახმარება არ ძალუძს? ან რატომ არ ძრავს დასავლეთი კრინტს იმ აღვირახსნილი აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიმართ წარმოებს ცხინვალის ზონაში, — რატომ არ გვეხმარება შეიარაღებით, რატომ არა მარტო არ გვეხმარება სათავდაცვო წარმოების აწყობაში, არამედ პირდაპირ წინააღმდეგაც მიდის ამისა საქართველოში საერთოდ ყოველგვარი მძიმე მრეწველობის ობიექტური დათრგუნვის გზით. ამ თემის გაგრძელება ძნელი არაა, რადგან მას, სამწუხაროდ, ყველანი ვიცნობთ (თუმცა, — ეს აუცილებლობით უნდა შევნიშნოთ, — მის სამწუხარო „პოპულარობაში“ ხელოვნურობის ელემენტიც ურევია: შევარდნაძის ხელისუფლებაც და „ვარდისფერნიც“ საქართველოს ნგრევის პოლიტიკას, რომელიც პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, რუსეთის შეკვეთილია, პირწმინდად „დასავლეთის“ და „დასავლური ღირებულებების“ სახელით ატარებენ, რათა ხალხს დასავლეთი შეაძულონ). შევაჯამოთ: დასავლეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ დღეს არის მკაფიოდ გამოხატული უარყოფითი ნაწილი (დადებითის გარდა) და ჩვენი კითხვა, არის თუ არა საქართველო ჩიხში, პირველ ყოვლისა, ამ გარემოებასთან დაკავშირებული სირთულის გადალახვის შესაძლებლობას ეხება. კითხვა ასე დგას: რა შეუძლიათ (დასავლელებს), პირველ ყოვლისა — ამერიკელებს, — რომ დაუშავონ დღეს საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ, ვთქვათ, რაღაცა გაუგებრობის შედეგად ან სხვა რამ მიზეზით მათ საქართველო შეიძულეს და გაიმეტეს? პასუხია: მათ შეუძლიათ ხელი აგვაღონ და რუსეთს პირდაპირ შეგვატოვონ. ამავე პასუხის ვარიანტია: მათ შეუძლიათ ულტიმატუმი დაგვიყენონ: ან თქვენი შინაგანი პოლიტიკა გაატარეთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა — ჩაკალითეკონომიკა და განათლება, შექმენით ფედერალური სახელმწიფო, მოახდინეთ იურიდიული კაპიტულაცია აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში, ანუ შექმენით იქ ისეთი სტატუსი, რომელიც სამომავლოდ ამ ტერიტორიათა სეცესიის იუ-

რიდიულ პირობებს ქმნის, და ა.შ. და ა.შ. — ან ხელს აგაღებთ და რუსეთის პირისპირ მიგატოვებთ, მეტიც,მას დიპლომატიურად დავეხმარებით. რა შეუძლია საქართველოს, თუ ასეთი დამოკიდებულება მიიღო დასავლელების (პირველ ყოვლისა — ამერიკელების) მხრიდან? არის ეს შეუქცევადი კატასტროფა? საქართველოს სახელმწიფოს დასასრული? ქართველი ერის ისტორიის დასასრული? ანუ: არის თუ არა საქართველო მოკლებული იმის უნარს და საშუალებას, რომ ასეთი არჩევნებისა და ულტიმატუმის ან მუქარის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაწიოს და თავი გადაირჩინოს? ჩემი აზრია: საქართველო ასეთ შესაძლებლობას მოკლებული არ არის. და, თუ მე რამეში საქართველოს საღი აზრის მიერ ღია დისკუსიის გამართვის მომხრე და მსურველი ვარ, ეს სწორედ ეს საკითხია. საქართველოს ასეთ შემთხვევაშიც — ანუ თავის ერთადერთ რეალურ მოკავშირესთან საერთო ენის ვერ გამონახვის შემთხვევაშიც კი — ალტერნატიული გამოსავალი აქვს: ეს არის დამოუკიდებელი ურთიერთობების დამყარება და განვითარება სხვებთან (სხვებთანაც), ვისკენაც დღეს ჩვენი მიუმხრობილობის ფაქტორი არ გვიშვებს — პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ურთიერთობებისა. ვგულისხმობ, ურთიერთობებს ე.წ. „მესამე“ ქვეყნებთან, ანუ იმათთან, ვინც დღესდღეობით თავის პოლიტიკას მხოლოდ საკუთარი პრაგმატული ინტერესების მიხედვით გეგმავს და არ არის შეკრული ზესახელმწიფოებრივი გეოსტრატეგიული ხელშეკრულებებითა და მიმხრობებით. ამათ რიცხვში შედის ირანი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკურად უზარმაზარი პერსპექტივის შემცველი შესაძლებლობა ირან-ევროპული სატრანსპორტო გზის განვითარებისა, შედის არაბული აღმოსავლეთი მასთან ნაყოფიერი კომერციის მიმართულებით (მაგალითად, „წყალინავთობი“), ეს არის გზების განვითარება ევროპასა და ირანს შორის, ეს არის მონაწილეობა იმავე ევროპა-შუა აზიის დერეფნის განვითარებაში, რომელსაც დღეს ვგეგმავთ და რომლის ელემენტად ყოფნასაც არავინ და არაფერი გვიშლის. ეს საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკის სქემაა. იგი ჩვენთვის ყველაზე კარგი არ არის (დასავლეთთან კავშირის პერსპექტივა უკეთესია). მაგრამ იგი ერთ-ერთი შესაძლებელი და სიცოცხლისუნარიანია. ამგვარად, მისი მიყოლა საქართველოს ერთერთი შესაძლებლობაა, რომელიც, თავისი არაუკეთესობის მიუხედავად, კაპიტულაციას მაინც შეუდარებლად სჯობია. რუსეთთან თავდაცვა ასეთ შემთხვევაში ემყარება სამ ფაქტორს: ერთია საქართველოს მყარი და ძლიერი დიპლომატია რუსეთის აგრესიის ფხიზელი მოგერიებისა იურიდიულ და პოლიტიკურ პლანში, რათა მან ვერ შეძლოს პირდაპირი სამხედრო დარტყმა. მეორეა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდა იმ ზომამდე, რომ მისთვის მოგერიებადი იყოს რუსეთის არაპირდაპირი სამხედრო შემოტევა, ანუ შეიარაღებული ჯგუფების შემოგზავნა, დივერსიები, აგენტურული საქმიანობა და ა.შ. მესამეა აქტიური, შემტევი პოზიცია გაეროში ამ უკანასკნელის ტრიბუნიდან რუსეთის მიმართ რეალური შეტევითი კამპანიის წარმოებისათვის მის კავკასიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით — ასე ვთქვათ, ჩრდილო კავკასიის ხალხების მესიტყვეობა მსოფლიოს წინაშე. ცხადია, ეს უკანასკნელი პოლიტიკაც შესაძლებელია მხოლოდ არამარიონეტული ანუ ერთგული ხელისუფლების, ეროვნული პოტენციალის მობილიზაციის ზნეობრივი უნარისა და ნიჭის მქონე ხელისუფლების პირობებში. ამას მოგახსენებთ ისევ და ისევ წელანდელი საკითხის კონტექსტში — შეუძლია თუ არა საქართველოს არამარიონეტულ ხელისუფლებას საქართველო რადიკალურად სხვა გზით წაიყვანოს, ვიდრე ის კატასტროფის გზაა, რომლითაც იგი დღეს მიდის? პასუხია: შეუძლია. აქედან კი პირდაპირი გზაა თქვენი იმ კითხვის პასუხისკენაც, რომელიც ასეთი ხელისუფლების შექმნის პერსპექტივებს ეხება.

მაინც ნუ დაგვავიწყდება: ეს ყველაზე ბნელი პერსპექტივა, რომელიც ახლა ვახსენე, მხოლოდ თეორიული შესაძლებლობაა, მაგრამ არა პრაქტიკული.

„საქ.“: რატომ?

ნ.ნ.: იმიტომ, რომ კავკასია-შუა აზიის ევენტუალური მაგისტრალი მესამე მსოფლიო ომის გარდაუვალი ორი ფრონტიდან ერთის განუყოფელი ნაწილია. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, რომ მთავარი აღმოჩნდეს წყნარი ოკეანის ფრონტი, რადგან იქ ბრძოლაა წყნარი ოკეანის სტრატეგიული დაუფლებისათვის. თუ ტაივანი ჩინეთის სტრატეგიული ელემენტი გახდა, მეორე დღესვე ეს ომი წყნარი ოკეანის დაუფლებისათვის ფიზიკურ ფორმებს მიიღებს. მაგრამ, ასეც რომ მოხდეს, აქეთა ფრონტი,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მე-8 გვერდიდან

ევრაზიის ფრონტი მაინც თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს. უფრო მეტიც: ეს მნიშვნელობა არ შემცირდება. რადგან შუა აზიაში დამკვიდრებული ჩინეთი თავის ამ პოზიციას იმისთვის გამოიყენებს, რომ მუდმივად „შაჰის“ ქვეშ ჰყავდეს დასავლეთის ევროპული ნაწილი. ამიტომ ძალთა დაბანდება აქ დასავლეთს ისევე მოუხდება, როგორც ღია საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში. ამიტომ დასავლეთი ამერკავკასიას, პრაქტიკულად, ხელს ვერ ააღებს.

„საქ.“: ახლა დავიანგარიშოთ ძველი, ტრადიციული ვარიანტიც, რომელიც რუსების წარმოდგენაში აქტიურად ფიგურირებდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. „ამერიკელებს რუსები ჩინელებისაგან დასაცავად გვჭირდებაო“. ხომ შესაძლებელია, ამერიკელებმა რუსებს უთხრან, „მოდით, ძმებო, შუა აზია თქვენ დაიკავეთ, ოღონდ იქ ჩინეთი არ შევიდეს თავისი ეკონომიკური, სტრატეგიული და დემოგრაფიული წნევითო“?

ნ.ნ.: ეს შეუძლებელია. ამერიკელებმა იციან: თუ ჩინეთი და რუსეთი იმდენად ძლიერნი იქნებიან, რომ გაუჩნდებათ ერთობლივად დასავლეთზე გამარჯვების იმედი, ისინი მაშინათვე დაივიწყებენ ნებისმიერ ურთიერთწინააღმდეგობას და ხელს ჩაიქნევენ ნებისმიერ გასაყოფ საგანზე (თვით შუა აზიაზეც კი), რათა დაუყოვნებლივ შემოუტიონ დასავლეთს. ამერიკელებს, მართალია, სტრატეგიაში შეცდომები მოსდით ზოგჯერ, მაგრამ ასეთ უხეშ შეცდომებს არ დაუშვებენ.

„საქ.“: როგორ ფიქრობთ: მოსდით თუ არა შეცდომები საქართველოსთან ურთიერთობაშიც?

ნ.ნ.: მე მგონი, მოსდით. ის, რომ საქართველოს დღეს განიხილავენ, როგორც უნებო ტერიტორიას, და არა მოკავშირე სახელმწიფოს, რის გამოც მასში ეკონომიკას ახშობენ, ცენტრიდანულ ძალებს ხელს უწყობენ, ფსიქოლოგიურ ნგრევას ახორციელებენ (შეძლებისდაგვარად) და ხელისუფლებაში ყველაზე ულიმღამო, უნიჭო, ეროვნულ გრძნობასა (ცნობიერებასა) და პასუხისმგებლობას მოკლებულ კონტინგენტს ლობირებენ, მათი შეცდომაა და არა ბოროტი განზრახვა. დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ასე ვფიქრობ. ობიექტურად, დასავლეთისთვის ორივე ვარიანტი მისაღებია — საქართველოს განხილვა ისეც,

როგორც ახლა იხილავენ, და ისეც, როგორც მოკავშირისა. ასე რომ, ერთგვარი გაზვიადებით რომ მოგახსენოთ, საქართველოს დღეს ორი ბრძოლა აქვს გადასახდელი: ერთი, დიდი, იმისთვის, რომ რუსები მოიცილოს როგორც აგრესორები, ერთხელ და სამუდამოდ. მეორე, მომცრო, იმისთვის, რომ დასავლეთთან ურთიერთობაში მოიპოვოს მოკავშირის სტატუსი, და არა უნებო საგნისა, რომელიც პოლიტიკაში მხოლოდ ობიექტია, მაგრამ არა სუბიექტი.

„საქ.“: ვინ უნდა მოიგოს ეს ორი ბრძოლა?

— საქართველომ თავისი არამარიონეტული ხელისუფლების მეთაურობით. ამიტომ არის, რომ საქართველოში არამარიონეტული ხელისუფლების არმოშვება თავისთავადი მიზანია, რომლის გარშემო სულ სხვადასხვა ვინაობის, მიმართულებისა და შეფერილობის ძალები დგანან მსოფლიოში. ანუ, თქვენ მიერ გამოყენებული სიტყვები რომ ვიხმაროთ, საქართველოს წინააღმდეგ ობიექტურად (ანუ რეალური მოქმედებით, და არა წინასწარი ურთიერთშეთანხმებებით) შეთქმულება არსებობს. იმან, ვინც გვებრძვის, იცის, რომ საქართველოს დღეს თავისი სახელმწიფო ეროვნული ინტერესების ყველა ძირითად განზომილებაში მოსაგები პოზიციები აქვს. ამიტომ ჩვენს მოპირისპირეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფრონტი აქეთ, ჩვენსკენ გადმოაქვს: მას უნდა, ებრძოლოს — და, საერთოდ, ეურთიერთოს — არა დამოუკიდებელი და ერთგული ხელისუფლების მქონე საქართველოს, ანუ არა საქართველოს ერთგულ ხელისუფლებას, იმისთვის, რომ საქართველოსგან რაღაცა ხეირი თუ დათმობა მიიღოს, არამედ ეურთიერთოს საქართველოს, როგორც უფორმო მასასა და უნებო ტერიტორიას, იმისათვის, რომ მასში ერთგული, ანუ არამარიონეტული ხელისუფლების შექმნა არ დაუშვას. ამოცანის ამ ნეგატიურ ნაწილში — მაგრამ მხოლოდ ამ ნაწილში — შეთანხმება ერთმანეთთან სტრატეგიულად დაპირისპირებულ უცხო ძალებს შორის შესაძლებელია. აქედან წარმოდგება ყველასათვის კარგად ცნობილი ვერსია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ახსნისა: ესა და ეს პრეზიდენტი, პრემიერი თუ პარტია საქართველოს სათავეში ამერიკელებმა მოიყვანეს რუსეთის თანხმობით, ან პირიქით, რუსებმა მოიყვანეს ამერიკელების დასტურითო.

„საქ.“: დღეს ლაპარაკი უკვე სერიოზულად მიდის, შეიძლება ითქვას — საშინლად სერიოზულად მიდის. რუსეთმა თავისი უკანასკნელი და ყველაზე მძიმე კოზირი აამუშავა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ — „მასამ“ უნდა იყვიროს, „დამიბრუნეთ ჩემი რუსეთი თავისი ბაზრით, გამაყიდინეთ ჩემი ღვინო და ვაშლიო“. აბსურდული ვერსიით, გიორგაძე სექტემბერში თბილისში იჯდებაო, სავსეა პოლიტიკური ჭორების სივრცე.

ნ.ნ.: დიახ. ამ ვერსიის გავრცელებაში საკვანძო როლი აქვს ანგაჟირებულ ტელევიზიას, რომელიც ამ რუსულ ფიგურაზე დიდი ხანია ისე ლაპარაკობს, როგორც ქართული პოლიტიკის ელემენტზე. იგი სერიოზული ხიფათია და აი, რატომ. აქამდე გიორგაძე რუსებისთვის მხოლოდ საფრთხობელა იყო და სააკაშვილი-ჟვანიას გუნდის პოლიტიკური „გასუქების“ საშუალება. „თუ ეს არ გინდათ, რუსი გიორგაძე, ამათ აქტიურად დაუჭირეთ მხარიო“. დღეს რუსეთი გათამამებულია იმ ასტრონომიული თაწხის წყალობით (რამდენადაც მე მსმენია — 3 ტრილიონი დოლარის რიგისა), რომელიც მან მოიგო გაზისა და ნავთობის გაძვირების შედეგად. ამიტომ შესაძლებელია — შესაძლებელი, და არა დიდი ალბათობით მოსალოდნელი! — რომ რუსეთმა გიორგაძის ხელით გადატრიალების ავანტურული ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტოს. ეს ავანტურა უსათუოდ ჩავარდება, რადგან დასავლეთი რუსეთს საქართველოსა და ამერკავკასიაში თავისი პოზიციების აღდგენის საშუალებას არ მისცემს. მაგრამ მოსალოდნელია — და არა მხოლოდ შესაძლებელი, — რომ რუსეთმა ამბოხება, თითქოსდა გადატრიალების მიზნით დაიწყოს გამარჯვების ყოველგვარი იმედის გარეშეც. რატომ? იმიტომ, რომ მისთვის მოგებაა თვით ამბოხების დაწყებაც, რათა საქართველო თვეების და შესაძლოა, წლების მანძილზე სისხლიან ქაოსად იქცეს (მაშასადამე — მღვრიე წყალად სპეცსამსახურთა სამოქმედოდ) და გაუვალი გახდეს დასავლეთისთვის, რომელსაც, თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, აქ წესრიგი უნდა — მაგალითად, ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის სახით, — და არა ქაოსი. ეს გეგმა, მე მგონი, არის ძირითადი, რაზეც ამჟამად რუსეთი მუშაობს (საქართველოს სტრატეგიულ-ეკონომიკურ სიმძლავრეთა შესყიდვის სტრატეგიული გეგმის პარალელურად). რამდენადაც ვიცი, გიორგაძეს თავის რუსულ-ოსური რაზმები ჰყავს ამ მიზნისთვის ცხინვალის მახლობლად ოსურ სოფელში, გზააბნეული და „კადრის“ ქართველებისაგან შემდგარი — მოსკოვის ოლქსა და ბელარუსში. მისი ამ პოზიციის დაგეგმვაში ფიგურირებს ისეთი რადიკალური ცნებები, როგორიცაა „пятсот тупоголовых“ და ა.შ., ხოლო „პოლიტმუშაობაში“ თავის ქართველ ზედაპირულ და სიღრმისეულ მომხრეებთან — ისეთი დარიგებები, როგორიცაა „дайте плоду созреть“. იგულისხმება: „მოიცადეთ, ჯერ ხალხის გამწარებამ დღევანდელი „ავთვისებიანი ლაწირაკების“ ხელისუფლების მიმართ სათანადო ნიშნულს მიაღწიოსო“. ამიტომ არის ეჭვი, რომელიც ე.წ. „მეთოდოლოგიურ ეჭვთა“ კატეგორიას ეკუთვნის: ხომ არ მუშაობს საქართველოს დღევანდელი პრორუსული აგენტურული ლისუფლება თავისი პატრონის დავალებით (რომელიც შეიძლება არც ესმოდეს თვითონ) იმისთვის, რომ ხალხის ამ გამწარებას ხელი შეუწყოს თავისი თავხედობით, ისევე, როგორც შევარდნაძე მუშაობდა თავისი ლეკვების პოლიტიკური „გასუქებისთვის“, რათა ვარდისფერი რევოლუციის სახით ხელისუფლება ამ ახაგაზრდა „კადრებისათვის“ გადაებარებინა?

„საქ.“: როგორ ლაგდება, თქვენის აზრით, გიორგაძის ეს „ოპერაცია“ დროში?

ნ.ნ.: მე მგონი, რუსები ირანის ეპოპეის განვითარებას უყურებენ. თუ ამერიკელებმა ირანში თავისი შეტევა დაიწყეს და თუ ამას სახმელეთო ოპერაციები დასჭირდა, რის გამოც ამერიკელები, დიდი ალბათობაა, სერიოზულად „ჩაეფლობიან“ ამ ქვეყანაში, მაშინ გიორგაძეს დაწყების ნიშანს მისცემენ. თუ არა, მაშინ შეიძლება სულაც თავი შეიკავონ გარკვეული ვადით ან საერთოდ. გამარჯვების იმედი, ვიმეორებ, არც ერთ შემთხვევაში რუსებს არ ექნებათ დ ვერ ექნებათ.

„საქ.“: ჩვენ რა უნდა ვქნათ?

ნ.ნ.: ხელისუფლება უნდა შევცვალოთ არამარიონეტული ხელისუფლებით. ამისთვის, მე მგონი, მოქმედების ყველაზე მართებული ალგორიტმი ასეთია: „ქუჩის“ მიწოლით, ანუ მასობრივი და არამასობრივი მოქმედებით „ქვევიდან“ (რადგან სხვა შემთხვევაში ეს ხელისუფლება სასიკეთო ნაბიჯს არ გადადგამს) უნდა მოვიპოვოთ რეალური საარჩევნო კანონი. დღეს არსებული კანონით არჩევნები შეუძლებელია: ხელისუფლებას მათი სრული გაყალბების საშუალება აქვს. ქუჩის ლოზუნგი არ უნდა იყოს: „წადი“ ან „შენ მეისპე“, როგორც შევარდნაძეს გამოუტანეს. იგი უნდა იყოს „მოგვეცით რეალური საარჩევნო კანონი, რათა არჩევნები შესაძლებელი გახდეს“. ამის შემდეგ არჩევნებით მარიონეტების განდევნა და ერთგული, ელემენტარულად პატიოსანი (არაკორუმპირებული) ხელისუფლების მოყვანის პრობლემა რეალურ შესაძლებლობად იქცევა.

„საქ.“: გმადლობთ ინტერვიესათვის.

საქონელი „არასაქონლო კონდიციაში“



საქართველოს მინისტრის კახა ბენდუქიძის გვერდი ინტერნეტში ამ ღირსშესანიშნავი მაკროორგანიზმის ფრიად სიმპათიურ „იმეჯს“ ხატავს: ესთეტიკასა და ზრდილობაზე ხელჩაქნეული, სწრაფად მოლაპარაკე (თითქოს სადღაც ეჩქარება გრაფ სენ-სიმონივით), გაუგებრად მიდრეკილი „ყველაფრის გაყიდვისაკენ სვინდისის გარდა“ (ეს უკანასკნელი საქონელი, ალბათ, დახლის ქვეშ აქვს, რამდენადაც დახლზე იგი არ ჩანს), აფორიზმების ფორმით ბანალობათა მფრქვეველი (რომელთაც, რუსეთის გარდა, ალბათ გასავალი აღარსად აღარ აქვთ) და ჟურნალისტების ჩუმჩუმად, „თავისთვის“ „მაშაყირებელი“, მაგალითად, ცხოველი ინტერესისა და ღრმა ერუდიციის სიმულირებით მოსკოვის რესტორანთა მენიუსადმი, რითაც შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, რომ მისი სულიერი სამშობლო სწორედ იქ არის). ეს ოლიგარქი შარჟული და კომედიური ჟანრებიდან ნაცნობ გულკეთილ ძიად წარმოგვიდგება. ვებსაიტი იმასაც გვიმხელს, რომ, თურმე, საუბრისას თვალები უფრო ხშირად მოხუჭული აქვს, ვიდრე გახელილი. ჯამში, მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება, „სამაგიეროდ, ალბათ, ჭკვიანიაო“, და ეს უპირობო რეფლექსი დიდხანდ მიჰყვება. ასეა მართლაც? ამ კითხვის საპასუხოდ ეს მოვალეობებით გადატვირთული არსება რამდენსამე პარამეტრში უნდა განვიხილოთ.

ბენდუქიძის იდეოლოგია

ბენდუქიძის პრინციპთა პრინციპია ე.წ. მონეტარისტული ორიენტაცია ეკონომიკაში, ანუ იმის რწმენა, რომ ერთადერთი, რაც ძალაშია, არის ფული — წარმატება-წარუმატებლობის გადამწყვეტი განმსაზღვრელი (სანამ არ მოგპარავენ ან კაზინოში არ წააგებთ) იგია და არა ის, თუ რა ტექნოლოგიური დონე გაგაჩნიათ, რა ძირითადი კაპიტალი გაქვთ (მანქანა-დანადგარები, ლაბორატორიები და ა.შ.), რა გეოგრაფიული პოზიციები გიჭირავთ, რა მიწაწყალი გაქვთ, რა მომზადებისა და ერთგულების რა ხარისხის მატარებელი კადრი გყავთ, რა სულისკვეთების შეიარაღებული ძალები გიცავთ და ა.შ.. ამ კონცეფციის, ასე ვთქვათ, გრაფიკული კრიტიკა (თუ არ გინდათ საკითხს უფრო ღრმად ჩასწვდეთ) შეგიძლიათ იხილოთ, მაგალითად, ამერიკული ჟურნალის „EIR“ გარეკანზე, სადაც ერთ მხარეს გამოსახულია საგლინავი დაზგა ზედ მგორავი უნაკერო მილით, მეორე მხარეს კი კოხტად საჯდომგამობზეკილი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მე-9 გვერდიდან

მეძავი ღამის ქუჩაში და ორივე გამოსახულება იდეურად გაერთიანებულია ზემოთ დაბეჭდილი რიტორიკული კითხვით: „ამით გაკეთებული მილიონი და იმით გაკეთებული მილიონი ერთია?“. თვით კახა ბენდუქიძე ამ კითხვას, თავისი შემოთავაზებული „იმეჯიდან“ გამომდინარე, ალბათ, დადებითად უნდა პასუხობდეს. მაგრამ მაშინ მას შეეკითხებიან: თვით თქვენი ბიოგრაფია განა არ მოიცავს მომენტებს (ერთ მომენტს მაინც), საიდანაც ჩანს, რომ სერიოზული ადამიანები და, საერთოდ, სერიოზული სუბიექტები (სახელმწიფოთა ჩათვლით) ეკონომიკაშიც და მის გარეთაც თავისთვის ფიზიკალისტურ ორიენტაციას ადგანან და არა პირწმინდად მონეტარისტულს? თავი დავანებოთ ჭორებს, რომ თქვენ თქვენი პირველადი დაგროვება მოახდინეთ, ანუ თქვენი პირველი კაპიტალი შექმენით მოსკოვში მეტროსთან დგომით და ვაუჩერების ყიდვით ჩალის თუ სატუალეტო ქაღალდის ფასად (ამ გზით სერიოზული თანხა არ იშოვება). თავი დავანებოთ ისევ ჭორებისეულ ვერსიასაც, რომ თქვენ ჩაგასიძეს მეწარმეთა ებრაულ ოჯახში (რუსის ჩასიძება მეტისმეტად „იყვირებდა“) იმიტომ, რომ ეს მეწარმეები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგის – მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის დარგის – მეწარმეები იყვნენ, და არა, ვთქვათ, სატუალეტე ქაღალდით ან თუნდაც წიაღისეულის ექსპორტით გამილიარდერებული პირები. თუ ეს ასე არ არის, ის ხომ ფაქტია, (რამდენადაც თქვენი ვებსაიტი ამას ნათლად უთითებს), რომ თქვენი ქონებისადმი გამორჩეული ინტერესი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან და შესაბამისი პოლიტიკა თქვენი საკუთრების მიმართ სწორედ თქვენი საკუთრების ფიზიკურმა და არა მონეტარულმა მახასიათებლებმა განსაზღვრეს? (და ამიტომაცაა, რომ თქვენი გვარი, იმავე ვებსაიტის ცნობით, თქვენზე ასჯერ უფრო მძიმე ოლიგარქების – ხოდორკოვსკისა და აბრამოვიჩის – გვარებთან ერთად ფიგურირებდა „იმავე სტრიქონში“). ამ კითხვების პასუხი ბენდუქიძეს, ალბათ, არ ექნება. აი, ფაქტებიც:

პირველი. ბენდუქიძემ თავისი რუსული ბიზნესი გაყიდა (**“Максим Котин. Секрет фирмы”**). მეორე. მისი ბიზნესი ღირშესანიშნავი იყო იმით, რომ მძიმე მრეწველობის ყველაზე სტრატეგიულ დარგებს ეკუთვნოდა (იქვე). მესამე. „ლაპარაკობენ“ (იქვე), რომ მისი ძირითადი ობიექტი ОМЗ მას „გააყიდინეს“ და ეს მოხდა „სტრატეგიული ობიექტების მცოცავი ნაციონალიზაციისათვის“ ხელისუფლების ბრძოლის კონტექსტში. (**“Сейчас Ходорковский сидит в Краснокаменске, Абрамович занят британским футболом, а Бендукидзе руководит реформами в Грузии. Люди выстраивают эти события в одну парадигму и говорят, что продать ОМЗ и покинуть Россию олигарха вынудили в рамках равноудаления олигархов и ползучей национализации стратегических объектов”**). ამგვარად, როცა ბენდუქიძე ამბობს, არ ვიცი, „სტრატეგიული ობიექტი“ რას ნიშნავსო, იგი ტყუის. მან ეს იცის, მაგრამ მალავს, რადგან მისი მიზანი – სახელდობრ, დავალებით დასახული მიზანი, – ისაა, რომ საქართველოს სტატეგიული ობიექტები რუსებს გადასცეს.

როგორც ვხედავთ, რუსეთის დიდი ხელისუფლება დაინტერესებულია ბენდუქიძის საქმიანობით – დაინტერესებულია იმ ერთადერთი მიზეზით, რომ იგი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს ეხება, – და ქმედით ზომებს იღებს მათი სახელმწიფო კონტროლის ხელში დასატოვებლად. იმ ცნობილ განცხადებას, რომ მან „არ იცის, რას ნიშნავს სტრატეგიული ობიექტი“, ბენდუქიძეს, რუსეთის სამსახურში რომ მდგარიყო, არავინ შეარჩენდა და რუსეთის ობიექტებს არავინ გაანიავებინებდა ისე, როგორც საქართველოსას ანიავებს. რა მოხდებოდა ანალოგიურ შემთხვევაში დემოკრატიულ ქვეყნებში? არც დემოკრატიულ ქვეყნებში შეარჩენდნენ. აქ, ერთის მხრივ, გვაქვს ინდოეთის მაგალითი, რომელმაც გადაწყვიტა სამხედრო მრეწველობაში კერძო ფირმები შეუშვას (შეუშვას არა სახელმწიფო ქარხნების მათთვის მიყიდვის ან სახელმწიფო სექტორის სულაც განადგურების ფორმით, არამედ მათთვის შეკვეთათა მიცემის და, ამგვარად, სახელმწიფო სექტორის გვერდით ამ სექტორის დაშვებისა და ხელშეწყობის ფორმით). მეორეს მხრივ, გვაქვს აშშ-ს მაგალითი, რომელიც სტრატეგიულ, მაგრამ არასამხედრო სფეროში – ენერგეტიკაში – არავის ანებებს თავისი ნავთობის იმ სადღეისოდ ხელშეუხებელი მარაგის ხელის ხლებას, რომელიც მას ალასკაში აქვს.

ბენდუქიძის მორალი

ამ უკანასკნელისა ჩვენ მხოლოდ ერთი მხარე გვაინტერესებს: მისი გამოვლენა ეკონომიკურ პოლიტიკაში და მისი გავლენა ამ პოლიტიკაზე. თუ ამ პოლიტიკის შედეგები ცუდია და თუ ეს შედეგები განჭვრეტადია, მაშინ მორალიც, რა თქმა უნდა, ცუდი ყოფილა. მშიერი ბავშვები, რომლებიც ქუჩაში წანწალებენ, მასობრივი საექსპორტო პროსტიტუცია, მოდებული ტუბერკულოზი და სასოწარკვეთილება ამ პოლიტიკის შედეგია. ორიენტაცია ყველაფრის გაყიდვაზე, რაც კი გაიყიდება, მხოლოდ სიმულირებს იმას, რომ მის გამტარებელს არ ესმის მისი კატასტროფული შედეგები მოსახლეობისათვისაც და სახელმწიფოსთვისაც. მაგალითად, როცა დგინდება სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის დაშვება უცხოელებზე, მოტივაცია არის ის, რომ უნდა შეიქმნას „ახალი ბაზარი“. (იხ. ვებსაიტში). ამ მოტივაციის „მარცხენა“ მხარე ნათელია: ახალი ბაზარი ნიშნავს ახალ გაყიდვებს, თითოეული მათგანი იბეგრება და მიღებული ფული მიდის „მარჯვნივაც“ და „მარცხნივაც“. მოტივაციის „მარჯვენა“ ანუ ოფიციალური მხარეც ცნობილია: თავისუფალი ბაზარი ნიშნავს იმას, რომ მიწისათვის ბრძოლაში გაიმარჯვებს ფინანსურად ძლიერი და, თუ ასეა, გაუმარჯოს მას! (თუმცა არ არის იმის გარანტია, რომ ფინანსურად ძლიერი დღეს იგივეა, ვინც მიწას ყველაზე კარგად მოუვლის და გამოიყენებს ხვალ და ზეგ). მაგრამ ვინ არის ფინანსურად ყველაზე ძლიერი? დღეს არ არსებობს არც ერთი ქართველი, რომელიც კონკურენტუნარიანი იყოს მიწის თავისუფალ ბაზარზე. მაშასადამე, საქართველოს მთელი მიწა, ანუ ქართველი ერის არსებობის ერთადერთი სადღეისო და სამომავლო საფუძველი, გადავა უცხოელთა ხელში. არა გვგონია, ბენდუქიძის გონება იმდენად მწირი იყოს (მისი კოლეგების გონებისაგან განსხვავებით), რომ ამ მარტივი ლოგიკური სვლის გაკეთება არ შეეძლოს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გამოთქმის „საქართველო“ და „საქართველოს მომავალი“ მნიშვნელობა ბენდუქიძეს ისევე არ ესმის, როგორც, მისი სიტყვით, გამოთქმისა „სტრატეგიული ობიექტი“.

ვებ-საიტი გვიმხელს მის რამდენსამე უშუალო რეაქციას (ჟურნალისტებთან საუბარში), რომელიც გვიხასიათებს მისი ეკონომიკური სტრატეგიის არსსაც და მისი ფსიქიკისასაც.

აი, ისინიც:

“...многих грузин волнует, что все поля и предприятия скупит российский капитал. “Ну, скупит, и что?” - меланхолично спрашивает Бендукидзе.

“Приватизация сельхозземель должна не приносить государству деньги, а сформировать новый рынок. ...каждый арендатор может выкупить всю арендуемую им землю по цене в несколько раз ниже рыночной.

“Если все будет хорошо, через полтора года Бендукидзе сможет выполнить свое обещание, данное при возвращении в Грузию, - сделать так, чтобы министерство экономики было не нужно. К лету 2007 года его можно будет упразднить, так же как, например, министерства энергетики.

რუსებმა ჩვენზე უკეთ იციან, რომ მათი კაცის დამანგრეველი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში ვერ გატარდებოდა მათს ქვეყანაში, რომელმაც იგი გამოკვება, გაამდიდრა და დიდი ბიზნესის ასპარეზზე გამოუშვა. აი, მათი აზრი

“В тяжелой промышленности (России) вряд ли найдется место для ультралиберала Бендукидзе”.

“Быть может, это судьба. Строить в России большой бизнес в стратегической отрасли, продать его государству - и найти небольшой оазис, в котором либеральные ростки дают быстрые и сильные всходы. Но проросли бы они в большом мире”.

“Бывший российский олигарх Бендукидзе говорит, что продает все, кроме совести. Сейчас он, например, продает свою родину”.

გასაყიდი ობიექტების ჩამონათვალში რუს ჟურნალისტებთან ინტერვიუში ბენდუქიძე ასახელებს ყველაფერს, რაც საქართველოს აქვს, ოღონდ ენგურჰესზე (რომელიც, ცხადია, ამავე სიაშია, ნაღვლიანად შენიშნავს „კონფლიქტის ზონაშიაო“). რუს ჟურნალისტებთან საუბარში იმაზეც ოხრავს, „თქვენ“ (ე. ი. რუსები) ჩვენთან (ე.ი. საქართველოში) არ ხართო (ე.ი. კვლავ რუსეთის შემადგენლობაში არ ვართო).

ბენდუქიძის მიმართება სამართალდაცვასთან

მორალი და კანონიერება, მოგეხსენებათ, ერთი და იგივე არ არის. ეტევა თუ არა მორალის ფარგლებში ვერჩატეული რუსი კოლორიტული პლუტოკრატი – საქართველოს ეკონომიკის მმართველი და „სააზროვნო ტანკი“ ერთსა და იმავე დროს –კანონის ფარგლებში მაინც?

სანამ ამ დელიკატურ თემას შევეხებოდეთ, ამ პიროვნების ერთი, – ალბათ, უფრო სიმპათიური, ვიდრე ანტიპათიური – შტრიხი უნდა აღვნიშნოთ. იგი, როგორც ვებსაიტის მასალებიდან ჩანს, სარისკო თამაშის მოყვარული ყოფილა (ლაპარაკია არასპორტულ თამაშებზე, ცხადია) და მისი გემო სცოდნია (შესაძლოა, ეს ამ ვებსაიტში ამ პიროვნების ცოტა არ იყოს გაიდეალებას ჰგავდეს). ამას მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას ორი თანამოსაქმე მოუკლეს – ერთი აუფეთქეს მისი მერსედესითურთ (ისე აუფეთქეს, რომ მერსედესის დეტალები ხუთასი მეტრის რადიუსით მიმოიფანტა), მეორე კი რადიოაქტიური ნივთიერებებით მოწამლეს. ახლა, რაც შეეხება კანონს. ვებსაიტი გვეუბნება, რომ ხელისუფლებამ, სხვათა შორის, მისი ეკონომიკური „ცელქობები“ (Проказы) გამოიყენა, რათა მისთვის გაეყიდვინებინა სტრატეგიული ОМЗ (Объединенные Машиностроительные заводы). მისი „კომპრის“ შემცველი საქაღალდე, ვებსაიტის სიტყვით, ხელთ აქვთ, ვისაც საჭიროა. მაგრამ არის ვებსაიტში კიდევ ერთი მოტივიც, რომელიც ბაკვრით ჩანს, მაგრამ მაინც ჩანს. ისეთი კომპეტენტური ორგანოს შეფის, როგორიცაა იქაური საკონტროლო პალატა, და ისეთი კომპეტენტური (თავისი ქვეყნისათვის) პირის, როგორიცაა თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომისიის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე და ყოფილი ძალოვანი მინისტრი სტეპაშინი, თვლის და აცხადებს, რომ ბენდუქიძისა და ადამოვის (ეს უკანასკნელი ყოფილი მინისტრია, რომელსაც ბირთვული მრეწველობა ებარა. იგი დღეს შვეიცარიის ციხეშია) საქმიანობა „სერიოზული მუშაობის საგანი უნდა იყოს პროკურატურისათვის“. რატომ? იმიტომ, რომ, თურმე, ამათი რაღაცა ბრალით თუ შეცდომით არ შესრულდა დროულად... ბუშერის რეაქტორის მშენებლობა ირანში, რაც მიუცილებელი ელემენტია ირანის ბირთვული პროგრამისა და რაც, რუსეთის სტრატეგიული სურვილებისადმი სრულ შესაბამისობაში, რუსეთს ჰქონდა დავალებული. აი, ვებსაიტის რამდენიმე მონაცემი ამ თემაზე.

“Мы вышли на не очень приятные для нас выводы - заявил на телеканале “Россия” С. Степашин. - Есть такая

ეროვნული ბიბლიოთეკა

организация "Атомстройэкспорт", созданная в 1998 году при Минатоме, которая выполняла посреднические функции. Потом ее приобрел Каха Бендукидзе... У иранской стороны есть очень много вопросов к "Атомстройэкспорту" и к бывшему главе "Минатома" Адамову. По его данным, несколько программ, за которые были заплачены очень большие деньги, миллионы долларов, не были реализованы".

ლაპარაკია ამ კონტექსტში იმაზედაც, რომ გადახდილი თანხების ერთი ნაწილი, მიუხედავად საქმის ნულოვანი წარმატებისა, მიეცა პრემიად კახა ბენდუქიძეს (10 მილიონი **რუბლი**. ხაზი ჩვენია. რედ.). და, დასასრულ, სტეპაშინის დასკვნა:

"Я думаю, что это вопрос для серьезной работы Генеральной Прокуратуры".

გამოდის, რომ ბენდუქიძის საქმიანობა მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებისათვის კი არ ყოფილა საინტერესო (და მართვის ღირსი), არამედ სხვისთვისაც, ვთქვათ, იმისთვის, ვისაც დიდად არ ენატრება რუსულ-ირანული ბირთვული პროექტების დროულად და წარმატებით შესრულება? თუ ასეა (და, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ ვებსაიტის ციტირებული მონაცემებით, ეს სწორედ ასე უნდა იყოს), ანუ ბენდუქიძე თუ მხოლოდ რუსების კაცი კი არაა, არამედ სხვისიც, ვინც დღეს რუსეთის მოპირისპირე ბანაკშია, მაშინ უნდა გაჩნდეს ეჭვი: ბენდუქიძის ძირგამომთხრელი „მუშაობა" საქართველოში, თუმცა რუსული შეკვეთის შესრულებაა (მის მიერ საქართველოს ხელიდან განიავებული ობიექტები, როგორც ვიცით, ძირითადად ან პირწმინდად რუსულ ტომარაში ცვივა. იგი გულმოდგინედ ცდილობს, სხვათა შორის, გაზსადენის რუსეთზე გაყიდვასაც, რაც, როგორც ვიცით, ამერიკელებისათვის აბსოლუტურად მიუღებელია), მისაღები და წასახალისებელი ხომ არ არის სხვისთვისაც და არა მხოლოდ რუსეთისთვის? ეს ჰიპოთეზა ყველაზე პესიმისტურია ბენდუქიძის მოღვაწეობის ამხსნელ ყველა შესაძლო ჰიპოთეზებს შორის. მართლაც, თუ საქართველოს ეკონომიკური დაუძლურება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ აგრეთვე საქართველოს სხვა მტრების თუ მოყვრების გეგმაა, თუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურად დამოუკიდებელ ქვეყნად ვერდადგომა მათი სურვილიცაა, მაშინ საქართველოს მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მხოლოდ რუსეთის შემოტევის შემთხვევაში იქნებოდა. ჩვენს სინამდვილეში არაერთხელ დაწერილა და თქმულა, რომ ამერიკელები და, ზოგადად, დასავლეთი საქართველოს განიხილავენ, როგორც უნებო ტერიტორიას, რომელზეც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქმედებები მხოლოდ დასავლეთის მიერ უნდა განხორციელდეს, მისი პერსონალითა და მისი ძალით, და არა მოკავშირე საქართველოს მიერაც. ეს გეგმა, თუ იგი არსებობს, არარეალისტურია, რადგან იგი არაეფექტიანია იმ მზარდად დაძაბულ ვითარებაში, რომელიც კავკასიასა და მის მიმდგომ რეგიონში იქმნება და მწიფდება. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესია, რომ დასავლეთის ბლოკში (რომლის ორგანული ნაწილი იგი არის) იგი მონაწილეობდეს არა როგორც ტერიტორია, არამედ როგორც მოკავშირე სახელმწიფო. ჩვენ არ ვიცით, ჭყოფნის თუ არა — უკვე დღეს — დასავლელი და, კერძოდ, ამერიკელი პოლიტიკოსების სიბრძნე ამ ჭეშმარიტების განჭვრეტას, მაგრამ ყველა შემთხვევაში ცხადია: კახა ბენდუქიძის დივერსიული საქმიანობა საქართველოს ეკონომიკის წინააღმდეგ ორსავე შემთხვევაში შესაფერ ადგილზეა მოთავსებული მოქმედ სისტემაში — იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მხოლოდ რუსეთის პოლიტიკის კონტექსტში მიმდინარეობს, და იმ შემთხვევაშიც, თუ მას, — იყოსა რა, რომ რუსი პატრონი დროში უფრო ადრე წარმავალია, — ბენდუქიძე ორივე პოლიტიკის ჩარჩოში ჩატევას უპირებს.

მეორე, პესიმისტური დიაგნოზისაგან მაინც ერთი გარემოება გვიცავს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი სახელმწიფოებრივად პირველხარისხოვანი სტრატეგიული ამოცანა, როგორიცაა ირანის ბირთვული დაკვეთის დროულად შესრულება, რუსეთს ჩაჰვარდნოდეს ისეთი შედარებით შემთხვევითი და უმნიშვნელო ფსევდოფიგურის ხელმრუდობის გამო, როგორიც ბენდუქიძეა (მით უმეტეს, რომ სტეპაშინის მიერ ნახსენები „დიდი ფული" — „მილიონები" — სასაცილოა იმ ათობით მილიარდებთან შედარებით, რომელიც რუსეთს უნდა მიეღო და იღებს კიდეც (იხ. იგივე ვებგვერდი) თავისი საზღვარგარე ატომური სამუშაოების შესრულების საფასურად (საკუთრივ პოლიტიკური მოგების გარეშეც). ამიტომ სავარაუდოა, რომ ღიპიანი ხელოვნური ოლიგარქის „ანგარება", მის მიერ ათი მილიონი რუბლის მითვისების ჩათვლით, მხოლოდ კამუფლაჟია უფრო სერიოზული მოტივებისათვის, როგორიცაა, ვთქვათ, რუსეთის მხრიდან მსოფლიოს რიდი ირანის მიმართ გაწეულ ამა თუ იმ ბირთვულ მომსახურებასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა შეკვეთის შესრულების დაგვიანება, როგორც კომპრომისი.

ჩვენს თემას რომ დავუბრუნდეთ, ყველა შემთხვევაში უდავოა, რომ ბენდუქიძე ქრესტომათიული მაგალითია იმისა, როგორი მოხელე არ შეიძლება ჰყავდეს სახელმწიფოს, მით უმეტეს — მინისტრი. იგივე ვებგვერდი გვეუბნება, რომ საქართველოში იგი სააკაშვილის მოწვეულია და არა სხვა ვინმე, აპრიორულად ოდიოზური ფიგურისა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ცნობილსა და ჩვენი ქვეყნის მიერ უკვე რამდენჯერმე მწარედ ნაწვნევ ჭეშმარიტებას: საქართველოში მარიონეტულ ხელისუფლებათა გრძელი ჯაჭვი უნდა დამთავრდეს. საქართველოს სჭირდება მხოლოდ არამარიონეტული, საკუთარი ხელისუფლება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ საქართველომ თავისი ყველა პრობლემის წარმატებით გადაჭრა შეძლოს.

ერთიანი ეროვნული გამოცდები მიმდინარე რეფორმების ჭრილში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მიმდინარე „რეფორმები" რომ წმინდა დივერსიაა — დივერსია, რომელიც ტარდება ნამდვილი აუცილებელი რეფორმების ნაცვლად, — ეს დღეს უკვე ყველამ იცის. ამ დივერსიის მექანიზმთა გაცნობიერება, რაც ფაქტების გულმოდგინე ანალიზს მოითხოვს, ნელა ხდება. მკითხველს ვთავაზობთ ერთ პროფესიულ ანალიტიკურ წერილს ამ თემაზე.

ჩვენს ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების ჩატარების აუცილებლობასა და საჭიროებას არავინ უარყოფს. ისიც ნათელია, რომ ეს რეფორმები მოფიქრებულად, დინჯად და თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს, რადგან მათი არასწორი წარმართვა მძიმე და სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. ყველა მოქალაქეს, ვინც ქვეყნის მომავალზე ფიქრობს, განსაკუთრებით კი განათლებისა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებს, ეს საკითხი ძალიან აღელვებს და, რასაკვირველია, ყველა ჩვენგანი დაინტერესებულია რეფორმების წარმატებული განხორციელებით. მაგრამ მიმდინარე რეფორმებმა, სამწუხაროდ, უკვე ბევრი არასასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა პროფესორ-მასწავლებლებსა და მეცნიერ-მუშაკებს. მთელ რიგ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოხელე-რეფორმატორებმა იგნორირება გაუკეთეს კომპეტენტური სპეციალისტების მოსაზრებებს, შეხედულებებსა და კონცეფციებს და გაურკვეველი წარმოშობის ინსტრუქციებით ან დირექტივებით იხელმძღვანელეს. მათი ქმედების შედეგად მდიდარი ტრადიციების მქონე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება და სამეცნიერო საბჭოები გაუქმდა, მისი ავტონომია მოისპო, მისი სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფების საბაზო დაფინანსება შეწყდა და, ფაქტობრივად, ეს ქვედანაყოფები უნივერსიტეტს ჩამოსცილდა; სასწავლო და კვლევითი პროცესები არსებითად პარალიზებულია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ერთიანი სისტემა, დაინგრა და ა.შ. რეფორმების არათანამიმდევრულმა, ზოგჯერ კი კანონის პირდაპირი დარღვევით წარმართვამ ერთმანეთში „ათქვიფა" კარგი და ცუდი პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები, მთელ რიგ შემთხვევაში გასაქანი დილეტანტებს მისცა, პროფესიონალები კი დაჩაგრა. ყოველივე ამის გამო დამსახურებულ, ავტორიტეტულ პროფესორ-მასწავლებლებსა და აღიარებულ მეცნიერ-მუშაკებში სკეპტიციზმისა და უიმედობის განწყობა უფრო გაღრმავდა.

აღნიშნული ნგრევითი პროცესების პარალელურად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები პრესისა და ტელევიზიის საშუალებების გამოყენებით ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება, რომ რეფორმები წარმატებით მიმდინარეობს, რომ ისინი იმავე მეთოდებით გაგრძელდება და აუცილებლად ბოლომდე იქნება მიყვანილი. ბუნებრივია, პირველ რიგში ეს პროპაგანდა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ხორციელდება და ამ მხრივ მართლაც გარკვეულ შედეგს აღწევს.

კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ბოლო ხანებში განსაკუთრებული ხაზგასმით და არაერთხელ აღინიშნა „არაჩვეულებრივი წარმატება" ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების პროცესში (2005 წლის ივლისი). ამ გამოცდების ხოტბა-დიდების ფონზე 2005 წლის 7 დეკემბერს გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნდა გ. დოლიძისა და ნ. მითაგვარიას საკმაოდ ვრცელი სტატია, რომელშიც აღნიშნული გამოცდების სერიოზული ანალიზი იყო წარმოდგენილი. ამ სტატიაში მოყვანილმა ფაქტებმა მეცნიერ-სპეციალისტთა ინტერესი გამოიწვია და ეს თემა ინტენსიური მსჯელობის საგანი გახდა შემდგომ პუბლიკაციებში. **ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების გამოყენებით შევეცადეთ მეტ-ნაკლებად გაგვერკვია განვლილი ეროვნული გამოცდების ზოგიერთი ნიუანსი, რამაც ქვემოთ მოყვანილ დასკვნებამდე მიგვიყვანა. ვიმედოვნებთ, რომ ეს დასკვნები არ იქნება ინტერესმოკლებული ფართო საზოგადოებისათვის.**

ა) პრესაში უკვე რამდენიმეჯერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ გამოცდების ჩატარების პროცესი არ იყო გამჭვირვალე და ობიექტური (იხ., მაგალითად, ზემოთ მითითებული სტატია, აგრეთვე გაზეთ „ალიაში" 2006 წლის 16-17 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტ მ. დამენიას სტატია). **კერძოდ, ძალიან გართულებული იყო ნაშრომთა აპელაციის პროცედურა.** ეს კი აბიტურიენტში ბუნებრივად აღძრავდა ეჭვს, რომ მისი ნაშრომი ობიექტურად არ შეფასებულა. აპელაციის პროცედურა აბიტურიენტისაგან მოითხოვდა, რომ მას, სააპელაციო განაცხადთან ერთად, თითოეულ საგანში 30 ლარი გადაეხადა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ აბიტურიენტს საკუთარი თვალით ენახა შეფასებული ნამუშევარი და თავადვე დარწმუნებულიყო, თუ სად დაუშვა შეცდომა, რომლის გამოც მას ქულები დააკლდა. ნამუშევრის მოსაპოვებლად დამატებითი საფეხური იყო საჭირო, სახელდობრ, მას უნდა მიემართა სასამართლოსათვის და იქ, ცხადია, ბევრად უფრო დიდი ფულადი თანხა უნდა გადაეხადა. საქმისადმი ასეთი მიდგომა, სულ მცირე, არაპედაგოგიურია. **აღმართული ბიუროკრატიული და ფინანსური ბარიერები შეუძლებელს ხდიდა რეალურ აპელაციას და ალბათ სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა სააპელაციო განაცხადების რიცხვის შედარებითი სიმცირე** (აქ საერთოდ არ ვეხებით საკითხის იურიდიულ მხარეს, თუ რამდენად კანონიერი იყო ასეთი ბარიერების აღმართვა აბიტურიენტების წინაშე).

ბ) აბიტურიენტის საკონკურსო ქულის დათვლა ემყარებოდა გარკვეულ წესს (ანუ მეთოდს), რომლის ზოგადი აღწერა ჯერ ბეჭდური წესით გავრცელდა და შემდგომ, გარკვეული დაზუსტებებით იქნა განთავსებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. ფაქტობრივად საქმე გვაქვს ე.წ. სკალირების მეთოდთან, რომელიც სხვადასხვა ტიპის კონკურსებისა თუ გამოცდების ჩატარებისას გამოიყენება, როცა

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 გვერდიდან

კონკრეტულ საგამოცდო საგანში ბილეთის (ტესტის) რამდენიმე ვარიანტი სრულდება (ამ მეთოდის საჭიროება საერთოდ არ წარმოიშობა, როდესაც თითოეული საგამოცდო საგანი მხოლოდ ერთ ვარიანტს შეიცავს და ეს ვარიანტი ერთდროულად სრულდება ყველა აბიტურიენტის მიერ). ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ვასკვნით, რომ დეკლარირებული მეთოდი წინასწარ ზუსტად არ იყო ჩამოყალიბებული — **აბიტურიენტებმა არ იცოდნენ საკონკურსო ქულის გამოყვანის ფორმულა და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საგამოცდო პროცესის გაუმჭვირვალობაზე.** საკონკურსო ქულის დათვლის ფორმულა ოფიციალურად მხოლოდ მისაღები გამოცდების ჩატარების შემდეგ (პირველად შედეგებთან ერთად) გამოქვეყნდა. **ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ შეირჩა სწორედ სკალირების მეთოდი და აქვს თუ არა მას სინამდვილეში არსებითი უპირატესობა გამოცდების ჩატარების ტრადიციულ ფორმებთან შედარებით? უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდის ზოგიერთი ნაკლოვანება თავიდანვე გვხვდება თვალში. კერძოდ, ცხადია, რომ ვარიანტების სირთულისა და რაოდენობის ცვლილებათა ხარჯზე შეიძლება საბოლოო შეფასებების სხვადასხვა სურათი მივიღოთ.** ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე, რომელსაც გამოცდების ჩატარების დროს ჰქონდა ადგილი.

გ) მათემატიკის ბილეთის ერთი და იგივე ვარიანტი წარმოდგენილი იყო ქართულ და რუსულ ენებზე. ბუნებრივია, რომ ქართულ ენაზე შესრულებული კონკრეტული ნამუშევარი შეფასდა იგივე ქულით, რითაც რუსულ ენაზე იმავე დონით შესრულებული ნამუშევარი. მაშასადამე, მათემატიკის საგნის თვალსაზრისით, ეს ნამუშევრები ტოლფასად იქნა მიჩნეული. **მაგრამ შემდგომი მანიპულაციების შედეგად ისინი საბოლოოდ სხვადასხვა ქულით აღმოჩნდა შეფასებული, ეი. მათემატიკის ერთი და იმავე ვარიანტის ერთნაირად შესრულებულ ნამუშევრებს საბოლოოდ მიენიჭა სხვადასხვა საკონკურსო ქულა, იმის მიხედვით, თუ რა ენაზე იყო თითოეული მათგანი გაფორმებული. ანალოგიურ სურათს ჰქონდა ადგილი უნარ-ჩვევების ერთსა და იმავე ვარიანტში, რომელიც ასევე ქართულ და რუსულ ენებზე იყო შესრულებული.** ეს იმდენად ალოგიკური და არაობიექტურია, რომ რაიმე კომენტარიც კი ზედმეტია.

დ) გამოცდების დამთავრების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე, აგრეთვე პრესაშიც, გამოქვეყნდა აბიტურიენტთა საბოლოო რეიტინგული (ეი. საკონკურსო ქულების მიხედვით დალაგებული) სია. მაგრამ ამ სიამ შემდგომი ცვლილებები და გადაადგილებები განიცადა, რაც არსებითად შეეხო რამდენიმე ათეულ აბიტურიენტს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ახსნა-განმარტების მიხედვით, ამ ცვლილებების მიზეზი იყო კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფაში დაშვებული შეცდომა გამოცდების შედეგების დადგენის ერთ-ერთ საფეხურზე. **დღემდე გაურკვეველია აღნიშნული შეცდომის ნამდვილი არსი და მიზეზი.** საჭიროა ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა (როგორც ცნობილია, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საქმე სასამართლოშია აღძრული).

ე) 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მსვლელობის დროს მექსიკაში ტარდებოდა მოსწავლეთა საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ნაკრებიც მონაწილეობდა. ამდენად, ნაკრების წევრებს ობიექტური და საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდათ საშუალება ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიეღოთ. ადრეულ წლებში ოლიმპიადაში ჩვენი ნაკრების გამარჯვებულ წევრებს უგამოცდოდ ღებულობდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე. **2005 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შესაშური „პრინციპულობა“ გამოიჩინა და საერთაშორისო ოლიმპიადის პრიზიორ ახალგაზრდა მათემატიკოსებს 2005 წელს საქართველოში სტუდენტებად გახდომის შანსი მოუსპო. სამაგიეროდ, ასეთი შანსი ქართველ ახალგაზრდა მათემატიკოსებს რუსეთის წამყვანმა უმაღლეს სასწავლებლებმა შესთავაზეს და ისინი იქ უგამოცდოდ ჩაირიცხნენ.** საინტერესოა, რაღას ემსახურება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთელი ღონისძიებები და მათთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯი, თუკი სკოლიდან გამოსულ უმაღლესი კატეგორიის ეროვნულ პროდუქტს ქარს გაატანს. მით უმეტეს, რომ ცნობილია ფაქტები ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ან გარკვეული შეღავათებით აბიტურიენტების ჩარიცხვისა და მათი გრანტით უზრუნველყოფის შესახებ (იხ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი).

ვ) საგულისხმოა, რომ უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ლექციებს უკითხავენ წლევანდელ პირველკურსელ სტუდენტებს, აშკარა შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მიღებული კონტინგენტი შესამჩნევად სუსტია წინა წლებთან შედარებით. განსაკუთრებით ეს ეხება მეცნიერების ფუნდამენტური დარგების (მაგ., ფიზიკა და მათემატიკა) სპეციალობების სტუდენტებს. აღნიშნული გარემოება მეტად საყურადღებოა და ცალკე მსჯელობის საგანია. თუ ეს ფაქტორი არ არის შემთხვევითი და ასეთი ტენდენცია შემდგომშიც გაგრძელდა, მაშინ სულ მალე აღარ გვეყოლება კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებლები, ინჟინრები, ექიმები და საერთოდ, ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები.

ზ) მოკლედ შევჩერდეთ მათემატიკის საგამოცდო ბილეთის შინაარსზე. ბილეთის 40 საკითხიდან 30 ტესტური იყო და მოუმზადებელ აბიტურიენტსაც კი ეძლეოდა შესაძლებლობა შემთხვევით შემოხაზული პასუხებით დაეგროვებინა ქულების აუცილებელი მინიმუმი (საკმარისი იყო 8 ამოცანის სწორი პასუხის ამოცნობა). **თავად ბილეთის საკითხები მარტივი ალგორითმული ხასიათის იყო და მე-9 კლასის მოსწავლეების დონეს უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე აბიტურიენტის დონეს. სახელდობრ, 9-კლასდამთავრებულ კარგ მოსწავლეს თავისუფლად შეეძლო მაქსიმალური 100 ქულიდან დაეგროვებინა 70 ქულაზე მეტი. მაშასადამე, საკმაოდ მაღალი ქულის მოსაპოვებლად სულაც არ იყო საჭირო მე-10-11 კლასების მათემატიკის მასალის ათვისება. ცხადია, ასეთი მიდგომა ვერ გაზრდის პოტენციური აბიტურიენტის ცოდნას და ხელს ვერ შეუწყობს მასში ანალიზური ტიპის აზროვნების განვითარებას, რაც აუცილებელია ნებისმიერი ინტელექტუალური დარგის მომავალი კვალიფიციური სპეციალისტისათვის.** ამ ტიპის საგამოცდო ბილეთებით მხოლოდ ზედაპირული ცოდნის გამოვლენა და შემოწმება თუ შეიძლება (მაგალითად, გეომეტრიული ნახაზის აგების უნარი შეცვლილია უკვე აგებული ნახაზის წაკითხვის უნარით, ერთი თვისობრივი ამოცანის მაგივრად შემოთავაზებულია მრავალი უფერული, ზეპირად გასაკეთებელი ამოცანა, ზოგიერთი ამოცანის ფორმულირების წაკითხვა და გაგება გაცილებით უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მისი ამოხსნა და ა.შ.). ერთი სიტყვით, აღნიშნული ბილეთების დონე უკან გადადგმული ნაბიჯია, თუნდაც „ავად სახსენებელ საბჭოთა დროინდელ“ საგამოცდო ბილეთებთან შედარებით. ამ კონტექსტში საყურადღებოა პიერ და მარია კიურის სახელობის პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის ვ.ს. დოცენკოს ჯრცელი სტატია (იხ. მომდევნო ნომერში), რომელშიც განხილულია საფრანგეთის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგიერთი ასპექტი. გამოცდების ტესტური ფორმის დაწვრილებითი ანალიზის შედეგად სტატიის ავტორი საკმაოდ სკეპტიკურ დასკვნებამდე მიდის.

თ) საგამოცდო ბილეთებში მოთავსებული მასალის საიმედოდ შენახვისა და კონფიდენციალობის ხარისხს ოდნავადაც ვერ ზრდის ის გარემოება, რომ ბილეთები დაიბეჭდა კემბრიჯში (დიდი ბრიტანეთი). თანამედროვე საკომუნიკაციო პირობებში ინფორმაციის გაჟონვა არც კემბრიჯიდანაა გამორიცხული და, რასაკვირველია, არც ბილეთებით დატვირთული კონტეინერის საქართველოში ჩამოტანის შემდეგ. ისმის რიტორიკული კითხვა: განა კემბრიჯში ის მასალა არ დაიბეჭდა, რაც აქედან იყო გაგზავნილი? ნუთუ იმდენად უსუსურები, ჩამორჩენილები და კორუმპირებულები ვართ, რომ აქვე არ შეგვეძლო აღნიშნული ბილეთების დაბეჭდვა და გამოცდების დაწყებამდე მათი საიმედოდ შენახვა? რა საჭიროა ჩვენი შიდა საქმის მარტივი და წმინდა ტექნიკური პროცედურისათვის სხვა სახელმწიფოს მივმართოთ და ზედმეტი ხარჯები გავიღოთ? საერთოდ კი, მასმედიის მიერ ეს ფართოდ რეკლამირებული „კემბრიჯის ეპოპეა“ გამოდგება როგორც გონებამახვილური სიუჟეტი იუმორისტული მოთხრობისათვის, ან როგორც სცენარი მოკლემეტრაჟიანი კინოკომედიისთვის.

ი) რაც შეეხება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობის მტკიცებით, ამ პროცედურაზე სულ 2 მილიონი ლარი დაიხარჯა. საყურადღებოა, რომ იმავე რიგის თანხა (2,5 მილიონ ლარამდე) წინა წლების განმავლობაში გრანტის სახით ყოველწლიურად ეძლეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელ სისტემას. სხვათა შორის, ეს გრანტი სამინისტროს მიერ უკვე გაუქმდა და აღარ არსებობს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის რიგით თანამშრომელს თვიური ხელფასი დაახლოებით 400 აშშ დოლარი აქვს. ღმერთმა მეტი მისცეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ამჟამად არსებულ საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის (ეი. უმაღლესი კატეგორიის მეცნიერ-მუშაკის) თვიური ხელფასი 60 აშშ დოლარის ფარგლებშია.** ეს იმ დროს, როცა ასეთი თანამშრომელი ეწევა აქტიურ კვლევით მოღვაწეობას, ხელმძღვანელობს სამეცნიერო თემას და ქმნის ახალ ინტელექტუალურ ღირებულებებს. მიმდინარე რეფორმებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ ახლო მომავალშიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ხელფასი საგრძნობლად ვერ მიუახლოვდება აღნიშნული ცენტრის რიგითი თანამშრომლის ხელფასს (მხედველობაში ვიქონიოთ, რომ იმ ცენტრში არ იქმნება თვისობრივად ახალი ღირებულებები და იქ მზა სქემებითა და მეთოდებით ხელმძღვანელობენ). აქვე უჭრიანია განვიხილოთ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ეკვივალენტური თანამდებობა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში □ ე.წ. სრული პროფესორის (ფულლ პროფესსორ) თანამდებობა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში ამ თანამდებობაზე მომუშავეს, რეფორმის შესაბამისი პროექტის თანახმად, თვიური ხელფასი სულ 320 ლარის (ეი. 180 აშშ დოლარის) ოდენობით დაენიშნებოდა. ეს მაშინ, როცა აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად, მძაფრი კონკურენციის პირობებში, მას უნდა გაევლო კონკურსი და ეჩვენებინა მთელი რიგი პარამეტრების (მაგალითად, სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, შრომების რაოდენობა და მათი საერთაშორისო რეიტინგი, ბოლო წლებში პედაგოგიური დატვირთვა და ა.შ.) საკმარისად მაღალი მაჩვენებლები. ძნელია მოიწონო ისეთი რეფორმა, რომელიც ძალიან ბევრს მოითხოვს, მაგრამ მატერიალური თვალსაზრისით ძალიან ცოტას იძლევა. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია იმ ერთობ მაღალ ხელფასებთან შედარებით, რომლებიც აქვთ სამინისტროს სტრუქტურებში მომუშავე მოხელე-რეფორმატორებს, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი პარლამენტის წარმომადგენლებზე, ვინც გულმოდგინედ აკანონებს უზარმაზარ სხვაობებს ხელფასებს შორის: მათი ხელფასი ხომ დაახლოებით 20-ჯერ მეტია მთავარი მეცნიერი თანამშრომლის დღევანდელ ხელფასზე.

ვუბრუნდებით რა ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ჩვენ ვხედავთ, რომ მათი ჩატარების სქემისა და შედეგების ქებადიდებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. გამოცდები ჩატარებულია გაუმჭვირვალედ და, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტით, არაკომპეტენტურად. ამ ნაკლოვანებებს ვერ დაფარავს ვერავითარი რეკლამა, ტელეხიდები, შოუები, ფსევდოდებატები, ნებისმიერი უცხოური გამოცდილების გაფეტიშება, კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგები და ამდაგვარი პროპაგანდისტული მეთოდები (ე.წ. პიარტექნოლოგიები). კარგად არის ცნობილი, რომ ბრჭყვიალა და პომპეზური ფორმის უკან ხშირად ძალზე ღარიბი შინაარსი იმალება (იხ. კვლავ პროფ. ვ.ს. დოცენკოს ზემოთ მითითებული სტატია).

ჩამოთვლილი ფაქტები არის 2005 წელს დანერგილი საგამოცდო სისტემის გარედან დაკვირვების შედეგი. უფრო საფუძვლიანი დასკვნების გასაკეთებლად უნდა შეიქმნას პროფესიონალებისაგან შემდგარი უფლებამოსილი კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებულ ყველა საკითხსა და ასპექტს. სხვათა შორის, იწურება ის ვადა, რომლის შემდეგაც, არსებული დებულების თანახმად, გამოცდების მასალები განადგურებას უნდა დაექვემდებაროს და, შესაბამისად, საბოლოოდ დაიფაროს დაშვებული შეცდომები თუ ნაკლოვანებები.

და ბოლოს, გვინდა გამოვთქვათ ის მოსაზრება, რომ უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის ფუძემდებლური და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპიდან გამომდინარე, სასწავლებლებმა (მათი დონისა და პრესტიჟის გათვალისწინებით) თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რა ფორმით ჩაერთვებიან ისინი ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგად სქემაში. ამასთან დაკავშირებით დასაფიქრებელია, საჭიროა თუ არა ჩვენი გაღატაკებული ქვეყნისათვის კიდევ ერთი (ხელოვნურად შექმნილი და ძვირად ღირებული) დამატებითი სტრუქტურა, რომლის ძირითადი (და, თუ არ ვცდებით, ერთადერთი) ფუნქცია უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩატარებაა. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე პერსონალის შევიწროების, შემცირებისა და დაკნინების ფონზე ამ სტრუქტურის ამაღლება და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება ხომ არ მიგვიყვანს იქამდე, რომ ახლო მომავალში აღარ გვექნება ცნობილი სამეცნიერო სკოლები (რითაც ასე ვამაყობდით ახლო წარსულში), ფუნდამენტურ ცოდნაზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლებლები, აღარ გვეყოლება მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-ტექნიკური კადრები და ყოველივე ამის სანაცვლოდ გვექნება ერთიანი ეროვნული გამოცდების მომწყობი ცენტრი.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ი. ჯავახიშვილის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ალექსანდრე ხარაზიშვილი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი

ვახტანგ კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტირები თავსებადი უნდა იყოს

მრავალგზის თქმულა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან იღებს სათავეს, რაზედაც მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი და არქეოლოგიური გათხრების დროს ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეღვინეობისათვის საჭირო უძველესი საგნებიც მიუთითებს.

საქართველოდან ღვინო ოდითგანვე გაჰქონდათ ევროპის, შუა აზიის და სხვა ქვეყნებში. ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობით (რომელმაც მე-17 საუკუნეში იმოგზაურა საქართველოში), ყველაზე მეტი რაოდენობის და საუკეთესო ღვინოს სწორედ საქართველოში აწარმოებდნენ.

გარდა აღნიშნულისა, ის ფაქტი, რომ საქართველოში ხელოვნური გადარჩევის გზით გამოყვანილია 500-ზე მეტი ენდემური ვაზის ჯიში და იწარმოება რამდენიმე ათეული დასახელების ღვინო (თანაც განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატურ ზონებში წარმოებული ყურძნებისაგან და სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდებით, მათ შორის, კახური, იმერული, ევროპული, მესხური და ა.შ.) უტყუარად ამტკიცებს განუყრელ ისტორიულ კავშირს საქართველოს, ვაზსა და ღვინოს შორის.

ეს მცირე შესავალი დაგვჭირდა იმისათვის, რომ როცა ვაზზე და ღვინოზე ვმსჯელობთ ყველამ კარგად გაიცნობიეროს (მათ შორის — ხელისუფლებამ, მევენახემ და მეღვინემ), რა დარგებთან გვაქვს საქმე, კერძოდ, რას წარმოადგენდა ვაზი და ღვინო ქვეყნისათვის ისტორიულ წარსულში და რას წარმოადგენს დღეს, ანუ როგორი იყო დამოკიდებულება ამ დარგებთან წარსულში, როგორი უნდა იყოს ეს დამოკიდებულება დღეისათვის და რა ამოცანები უნდა დავაკისროთ მას მომავალში.

საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ათვლის წერტილად 1991 წელი დაფიქსირდა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ როცა განვლილ პერიოდში ამა თუ იმ დარგის თუ საქმიანობის სფეროს წარმატებებზე და ჩავარდნებზე ვსაუბრობთ, ქვეცნობიერად ყოველთვის ვაკეთებთ შედარებებს ან ვავლებთ პარალელებს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ამ დარგებში არსებულ მდგომარეობასთან. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1990 წელს ქვეყანაში არსებულ მსხმოიარე ვენახის საერთო ფართობზე (104 ათასი ჰა) წარმოებულ იქნა 691 ათასი ტონა ყურძენი (საშუალოდ ერთ ჰა-ზე 67,6 ცენტნერი), საიდანაც სამრეწველო გადამუშავებაზე მიმართული იქნა 443 ათასი ტონა, ანუ მთელი წარმოებული ყურძნის 64%.

1992-1997 წლებში ამავე დეპარტამენტის მონაცემებით მოსავლიანი ვენახის ფართობი 81,5 ათას ჰა-მდე შემცირდა (2002 წლისათვის იგი 62 ათასი ჰა გახდა). ყურძნის წარმოებამ საშუალოდ წლიურად 336 ათასი ტონა (საშუალოდ ერთ ჰა-ზე 40 ცენტნერი), ხოლო სამრეწველო გადამუშავებამ 67 ათასი ტონა (ანუ 20%) შეადგინა. ამ მიმართულებით მდგომარეობა 1998-2004 წლებში კიდევ უფრო გაუარესდა, საშუალოდ წარმოებული იქნა 343 ათასი ტონა, ერთ ჰექტარზე მოსავლიანობამ 46 ცენტნერი შეადგინა, ხოლო სამრეწველო გადამუშავებას დაექვემდებარა 47 ათასი ტონა ყურძენი (14%).

დარგის განვითარების ზემოაღნიშნული დინამიკა მეტყველებს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ცნობილი მიზეზების გამო, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა მევენახეობა-მეღვინეობის დარგებსაც. ისინი თანდათანობით დეგრადირდებოდნენ და ხელისუფლებას მათთვის მისახედად, უბრალოდ, არ ეცალა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გატარდა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მევენახეობა-მეღვინეობის დარგების განვითარების სახელმწიფო რეგულირებისაკენ იყო მიმართული, კერძოდ, ცნობილი „სამტრესტი“ გარდაიქმნა მევენახეობა-მეღვინეობის მარეგულირებელ სახელმწიფო სამსახურად. მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, რომელსაც ძირითადად ფრანგული კანონმდებლობა დაედო საფუძვლად, დაარსდა სახაზინო საწარმო „ნერგი“ და სხვა. როგორც ფაქტები გვიჩვენებს, აღნიშნულ ღონისძიებებს რაიმე არსებითი შედეგი არ გამოუღია და ეს არცაა გასაკვირი, რამდენადაც რაიმე გადაწყვეტილებისა თუ ნორმატიული აქტის მიღება თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ ის რეალურ ცხოვრებაში არ იქნება რეალიზებული. ასეთთა რიცხვში მოყვა საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, რომლის მოთხოვნები და დაწესებული ნორმები ვენახის ნაკვეთისათვის ადგილისა და ნიადაგის შერჩევის, ვაზის ჯიშების გაადგილების, გაშენების, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ დღემდე არ სრულდება. ვერ შეასრულა დაკისრებული ამოცანა მევენახეობა-მეღვინეობის მარეგულირებელმა „სამტრესტმაც“ სათანადო მარეგულირებელი საშუალებების და ბერკეტების უქონლობის გამო. მევენახეობა-მეღვინეობის დარგები დღესაც თვითდინებაზეა მიშვებული და თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მათი განვითარებისათვის რაიმე არსებითი სახის ღონისძიებები არ ტარდება. პირიქით, კატასტროფულად შემცირდა ვენახის ფართობი (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2004-2005 წლებში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების მიხედვით ვენახის საერთო ფართობი (ახალგაზრდა ნარგაობის ჩათვლით) 2004 წლისათვის შეადგენდა მხოლოდ 37,7 ათას ჰექტარს ნაცვლად 1988 წლის 117,7 ათასი ჰექტრისა), იმძლავრა ფალსიფიცირებული ღვინის წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბებმა როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გარე ბაზრებზე, ჩამოყალიბდა ინტერესთა კონფლიქტი მევენახეებსა და მეღვინეებს შორის და ა.შ.

ვენახების ფართობის, ყურძნის საერთო წარმოებისა და სამრეწველო გადამუშავების მოცულობათა ასეთი მნიშვნელოვანი კლების პირობებში საფუძვლიან ეჭვს ბადებს 1999-2004 წლებში ღვინის ექსპორტის გადიდება როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით გამოსახულებაში. კერძოდ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ღვინის ექსპორტი 1999 წელს 1,9 მლნ დეკალიტრიდან 2003 წლისათვის 2,4 მლნ დეკალიტრამდე გაიზარდა (მ.შ. შუშხუნა ღვინოებისა 66,9 ათასი დეკალიტრიდან 164,3 ათას დეკალიტრამდე), ხოლო ღირებულებით გამოსახულებაში შესაბამისად 14,6 მლნ აშშ დოლარიდან 36,3 მლნ აშშ დოლარამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის მქონე დარგების პოტენციალი დღემდე არა თუ მაქსიმალურად, მინიმალურ დონეზეც არ გამოიყენება, ანუ ნებით თუ უნებლიეთ უარი ვთქვით იმ შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებაზე, რომელიც ამ მიმართულებით საქართველოს გააჩნია რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მხედველობაში გვაქვს ძირითადად ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მოსახლეობის ტრადიციები და უნარ-ჩვევები ვაზის მოვლა-მოყვანის საქმეში. შეფარდებით უპირატესობას განაპირობებს ქვეყნის ტერიტორიაზე განსხვავებული ნიადაგური, კლიმატური და სხვა მახასიათებლებით გამოყოფილი მევენახეობა-მეღვინეობის ზონები (რაც საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს მრავალი სახის, დანიშნულების და ხარისხის ღვინოები), აგრეთვე „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებული 30-მდე ვაზის ჯიშის კულტივირების შესაძლებლობა, რომელთა უმრავლესობა ქართული აბორიგენული ჯიშია და რომელთაც შესწევთ უნარი თანაბარი კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყნების ღვინოებს მსოფლიო ბაზარზე.

გარდა ამისა არის რიგი ფაქტორებისა, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მევენახეობა-მეღვინეობის კომპლექსის განვითარების მძლავრი სტიმულები. კერძოდ, ვენახის ფარობები და ყურძნის გადამუშავებელი ქარხნები (როგორც პირველადი, ისე მეორადი) ძირითადად კერძო საკუთრებაშია, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების ორმხრივად სასარგებლო (მევენახეთა და მეღვინეთა) ინტერესების ჩამოყალიბებისა და რეალიზაციისათვის, სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის საწარმოთა ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის. არსებით სტიმულად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ქართულ ღვინოებს უკვე დამკვიდრებული აქვთ კუთვნილი ადგილი ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო გამოფენებზე, კონკურსებზე, დეგუსტაციებზე და აქვთ შესაბამისი რეპუტაცია (იმეჯი). მოკლედ რომ ვთქვათ, ღვინის მწარმოებელ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც გააჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიშები, ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფლიო ბაზარზე აღიარებისათვის. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის სუსტი წერტილებიც, რომლებიც ხელს უშლის მევენახეობა-მეღვინეობაში არსებული პოტენციალის სრულად გამოყენების საქმეს. ამ მიმართულებით პირველ რიგში აღსანიშნავია საწარმოო ბაზის (მევენახეობის) განვითარების დღევანდელი არახელსაყრელი მდგომარეობა. კერძოდ, რეფორმირების შედეგად მრავალ ნაკვეთებად დანაწევრებულ ფარობთა სიმრავლე, ვენახების არა ოპტიმალური ჯიშობრივი სტრუქტურა და ასაკობრივი შემადგენლობა. ვაზის 80%-ზე მეტი შედარებით მაღალმოსავლიანი თეთრი ყურძნის ჯიშებითაა წარმოდგენილი, რაც ბოლო პერიოდში არსებითი მუხრუჭი გახდა მევენახეობის განვითარების საქმეში. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მსოფლიო ბაზარზე წითელ ღვინოებზე მოთხოვნილების თანდათანობით ზრდის კვალობაზე თეთრი ყურძნის ჯიშების ფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩა წითელი ყურძნის ჯიშების ფასს, რის გამოც თეთრი ჯიშის ყურძნის მწარმოებლები ორმაგი პრობლემის — ყურძნის რეალიზაციის და ყურძნის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ამოგების, ანუ თეთრ ყურძენზე ფასწარმოქმნის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. აღნიშნული პრობლემა თავის მხრივ სხვა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოშობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ წარმოებული ყურძნის უდიდესი ნაწილი გადამუშავებელი ქარხნების მიერ შეთავაზებული მონოპოლურად დაბალი ფასის გამო არ მიეწოდება ღვინის ქარხნებს, ანუ არ გადის სამრეწველო გადამუშავებას (ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში არ აღემატება ყურძნის საერთო მოცულობის 25%-ს), რის გამოც ზარალდება არა მარტო მწარმოებელი (რომელიც იძულებულია თვითონ გადაამუშაოს, გაყიდოს ან მოიხმაროს პროდუქტი), ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიც (დამატებული ღირებულების, მოგების და სხვა გადასახადების ღვინის ქარხნებიდან ამოუღებლობის გამო).

აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ღვინის ქარხნების მონოპოლური მდგომარეობა და ყურძენზე ფასწარმოქმნის ყოველგვარი ბერკეტების (მ.შ. სახელმწიფო, მწარმოებელთა ასოციაციები, კავშირები და ა.შ.) უქონლობაა. მეღვინეთა დიდი ნაწილი არაა დაინტერესებული ყურძნით, როგორც ნედლეულით, რადგან ის არაა ერთადერთი საშუალება „ღვინის“ წარმოებისათვის. დღეს არსებული ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას სხვადასხვა კონცენტრატების, შაქრისა და შაქრის შემცვლელების (საქაროზა) გამოყენებით ფალსიფიცირებული ღვინის უფრო ნაკლები დანახარჯებით და უპრობლემოდ დამზადებისათვის.

რაც შეეხება მევენახეობის მეორე არსებით სუსტ მხარეს — ასაკობრივ სტრუქტურას, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული ვენახების საშუალო ასაკი 30-დან 35 წლამდე მერყეობს, რომელიც თანდათან ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გარდა ამისა, ახალი ვენახის გაშენების ტემპი სულ უფრო და უფრო ჩამორჩება ვენახების ექსპლუატაციიდან გამოსვლის ტემპს, რის გამოც სახეზეა ვენახების გადაბერების და ფართობების საერთოდ შემცირების ტენდენცია.

რაიმე ფორმით სახელმწიფო მხარდაჭერის უქონლობის, კომერციულ კრედიტებზე ხელმიუწვდომლობის, პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების არასრულყოფილი უზრუნველყოფისა და სხვა პრობლემების გამო მევენახეს არ შეუძლია გააშენოს ახალი ვენახი, შეცვალოს ვაზის ჯიშობრივი სტრუქტურა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, დანერგოს ახალი, უფრო პროგრესული ტექნოლოგია (ისიც კი ვერ შევძელით, რომ ახალგაშენებული ვენახის ფართობი, ვაზის სრულმსხმოიარობაში შესვლამდე 3 წლით, გაგვენთავისუფლებინა მიწის გადასახადისაგან). იგი იძულებულია გაახანგრძლივოს ექსპლუატაცია იმ ვენახებისა, რომელთა ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადა უკვე ამოწურულია, რის გამოც მისი მარგინალური შემოსავალიც ყოველწლიურად მცირდება.

დაახლოებით ამავე რანგშია ასაყვანი ვაზის სანერგე მეურნეობის განვითარების პრობლემაც. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ქვეყანაში 1000 ჰექტრამდე ვაზის სანერგე მეურნეობის ფართობი ირიცხებოდა, საიდანაც ყოველწლიურად 15-18 მლნ ცალი ნამყენი ვაზის ნერგი იწარმოებოდა. არსებობდა აგრეთვე ვაზის სხვადასხვა ჯიშების აპრობირებული სადედეები და საძირეები, რომლებიც დღეისათვის მცირე გამონაკლისების გარდა პრაქტიკულად აღარ არსებობს. კერძო სანერგეები, რომელთა უმეტესობა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული უგულებელყოფით საქმიანობენ, ბაზარს ძირითადად არასერტიფიცირებულ ვაზის ნერგს აწვდიან, რაც ქმნის სერიოზულ საშიშროებას და რისკს დაბალხარისხიანი, ვირუსით დაავადებული ნერგებით ახალი ვენახების გაშენებაში. ეს კი შესაძლოა დარგის განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გახდეს მომავალში.

და ბოლოს, განსაკუთრებულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ქართული ღვინოების ფალსიფიცირება, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების, ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უნებართვო გამოყენება, რის გამოც ქვეითდება ქართული ღვინის პრესტიჟი, იკარგება ტრადიციული ბაზრები, ზარალდება ქართული ღვინის მილიონობით მომხმარებელი. ყოველივე აღნიშნული კი საბოლოო ანგარიშით ნეგატიურად აისახება არა მარტო მეღვინეობის, არამედ მისი საფუძვლის — მევენახეობის განვითარებაზეც.

ამის დასტურია ბოლო პერიოდში ღვინის ბაზარზე განვითარებული მოვლენები, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტწილად ქართული მხარის უნებლიე ინიციირებით არის გამოწვეული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქართული ღვინოების უმეტესობა როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე იყიდება ისეთი ეტიკეტებით, რომლებიც რაიონის, რეგიონის, სოფლის დასახელებას გამოხატავენ. ეს ეტიკეტები (დასახელებები) არ წარმოადგენს რომელიმე ცალკე აღებული ღვინის ქარხნის (საწარმოს) ინდივიდუალურ საკუთრე-

გაგრძელება მე-14 გვერდზე

მე-13 გვერდიდან

ბას, რაც თავიდანვე ქმნის ნოყიერ ნიადაგს ეტიკეტების გაყალბებისა და ღვინის ფალსიფიცირებისათვის. სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება და დაცვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებით.

ამის მაგალითს იძლევა ევროკავშირის კანონმდებლობა ღვინის სექტორისათვის, რომლითაც აღიარებულია, რომ ძირითადი კატეგორიის ღვინოების (განსაზღვრული გეოგრაფიული წარმოშობის ხარისხიანი ღვინოები და სუფრის ღვინოები) ხარისხის დაცვა და კონტროლის რეგულირება მთლიანად ეროვნული კანონმდებლობის ფუნქციას წარმოადგენს.

ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობით (გერმანია, ავსტრია, ლუქსემბურგი) ღვინის თითქმის ყველა სახე კლასიფიცირებულია ადგილმდებარეობის დასახელების (გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნის მქონე) მაღალხარისხოვან ღვინოებად, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით ღვინოების კლასიფიცირების კიდევ უფრო მკაცრი კრიტერიუმები არსებობს. აღნიშნულის გამო ევროკავშირის შესაბამისი დადგენილებით განისაზღვრა ზოგიერთი აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი ხარისხის ღვინო. კერძოდ, ევროგაერთიანების ქვეყნებში გამოიყო ხუთი კლიმატური ზონა, სადაც განსხვავებული პირობები დაწესდა ყურძნის წვენში შაქრის დამატებასთან (იმის გამო, რომ ადგილზე ყურძენი ვერ აგროვებს საკმარის შაქარს) და ღვინოში ალკოჰოლის შემცველობასთან დაკავშირებით. ამასთან, ყველა მაღალი ხარისხის ღვინო ექვემდებარება აუცილებელ ანალიტიკურ და ორგანოლეპტიკურ ტესტირებას.

ღვინის საერთო პოლიტიკის კიდევ ერთ ღონისძიებას ასახავს ევროკავშირის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ყურძნის ჯიშების კლასიფიკაციის წესებს. აქ ყურძნის ჯიშები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: რეკომენდებული, დაშვებული და გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით (ანუ ჯიშები, რომელთა წარმოება დაშვებულია მხოლოდ კონკრეტულ ადგილებში). ყურძნის ჯიშები, რომლებიც გამოიყენება მაღალი ხარისხის ღვინოების დასამზადებლად, აუცილებლად უნდა შედიოდეს ჩამოთვლილი ჯგუფებიდან ერთ-ერთში.

შესაბამისი დადგენილებით რეგულირდება ენოლოგიური მეთოდები და პროცედურები, რომლითაც იკრძალება იმპორტირებული ყურძნის წვენის დაღვინება და იმპორტირებული ღვინის შერევა ევროგაერთიანების ქვეყნების ღვინოებთან. სპეციალური დადგენილებით განისაზღვრება ასევე პროდუქტის დახასიათება, ეტიკეტირება, პრეზენტაცია და მითითებათა შესრულების აუცილებლობა მომხმარებელთა და მწარმოებელთა ინტერესების დაცვის, შიდა ბაზარზე შეუფერხებელი ვაჭრობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, განსაზღვრულია იმ წესების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გეოგრაფიული წარმოშობის უმაღლესი ხარისხის ღვინოების წარმოებისას, აგრეთვე ის პროცედურა, რომლის საფუძველზეც კონკრეტულ ღვინოს შეიძლება საერთოდ ჩამოერთვას გეოგრაფიული წარმოშობის უმაღლესი ხარისხის ღვინის აღმნიშვნელი ეტიკეტი.

საყურადღებოა ასევე მესამე ქვეყნებთან ღვინით ვაჭრობის წესებიც, კერძოდ, წევრი ქვეყნებიდან ღვინის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელ იმპორტიორებს და აღნიშნული ლიცენზია მოქმედებს ევროკავშირის ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე.

და ბოლოს, ცნობილია, რომ ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში მეღვინეობა უფრო მაღალ დონეზეა განვითარებული, ვიდრე ევროკავშირში გაერთიანების მსურველ ქვეყნებში. აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ ამ ქვეყნებში ორიენტაცია აღებულია ყურძნის წარმოების გადიდებაზე და არა ყურძნის და ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანი ჩამორჩენა არსებობს აგრეთვე მეღვინეობის ტექნოლოგიური მოდერნიზაციის თვალსაზრისით, არასაკმარისია ინვესტიციები ვაზის ჯიშობრივი სპეციალიზაციის დონის ამაღლებისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ა.შ. აღნიშნულის გამო დღეისათვის უკვე გამოკვეთილია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ევროკავშირში გაერთიანების მსურველი ქვეყნების წინაშე დგება. კერძოდ, ესაა სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია; ვაზის ჯიშობრივი სტრუქტურის მოდერნიზაციისათვის ხელშეწყობა ევროკავშირის მითითებების, მეთოდებისა და მსოფლიო ბაზარზე არსებული ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით; ღვინის საერთო ბაზრის ორგანიზაციის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი კანონმდებლობის გამოყენება; იმპორტის პირდაპირი სუბსიდირების შემცირება და გაუქმება; ღვინის ხარისხზე ევროკავშირის კონტროლის სისტემის დანერგვა და გამოყენება.

ზემოაღნიშნულის დეტალურად გადმოცემა საჭიროდ ვცანით იმისათვის, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენად არ შეესაბამება ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის დარგების განვითარების ნორმატიული ბაზა ევროკავშირის ღვინის სექტორის კანონმდებლობას, რამდენად მიუწვდომელია დღეისათვის ევროპის ბაზარი ქართული ღვინოებისათვის და რამდენად აუცილებელია სახელმწიფოს როლის გააქტიურება ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დარგების რეალურად რეგულირების საქმეში, რაოდენ საჭირო ა ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა და ღვინის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, რაა აუცილებლად გასაკეთებელი ამ მიმართულებით იმ ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია ევროატლანტურ სივრცეში ინტეგრაციის პრეტენზია.

ნათქვამია, ზოგიერთი ჭირი სასარგებლოაო. ეს ანდაზა დღეს რუსეთ-საქართველოს ე.წ. „ღვინის ომთან" ასოციირდება. მან ყველას დაგვანახა (მათ შორის ხელისუფლებასაც), თუ რაოდენ აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება არა მარტო მევენახეობა-მეღვინეობისადმი, არამედ ექსპორტზე ორიენტირებული ყველა დარგისადმი.

ჩვენი აზრით, მევენახეობა-მეღვინეობის დღევანდელ არასახარბიელო მდგომარეობას მრავალი მიზეზი განაპირობებს, მაგრამ თავი და თავი ამ სექტორის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის და მისი განხორციელების მიზანმიმართული პროგრამის უქონლობაა. ქვეყანას არ გააჩნია ექსპორტზე ორიენტირებული არც ერთი დარგის, მათ შორის არც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა არა ერთი რომელიმე სეგმენტის, არამედ მთლიანობაში ყურძნის წარმოების, გადამუშავების, ღვინის რეალიზაციის და მათთან დაკავშირებული პრობლემების (ლიცენზირება, სერტიფიცირება, ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება, დაცვა და ა.შ.) დარეგულირებაზე.

მაკროეკონომიკის ნებისმიერ სახელმძღვანელოში შეიძლება ამოვიკითხოთ, თუ რამდენად იზრდება რისკი, როცა ყველა კვერცხი ერთ კალათაშია მოთავსებული. ამით იმის თქმა გვინდა, რომ როცა ქართული საექსპორტო ღვინის 85-90% რუსეთის ბაზარზეა ორიენტირებული, ეს ბიზნესის ერთ-ერთი ყველზე მარტივი ჭეშმარიტების უგულებელყოფაა (რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც). ვის უნდა გაეთვალა რისკის მოსალოდნელი შედეგები და მიეღო შესაბამისი ზომები ბაზრის დივერსიფიცირებისათვის, თუ არა მთავრობას, სამრეწველო-სავაჭრო პალატას, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „სამტრესტს" და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს? ფაქტია, რომ დასახელებული უწყებები მხოლოდ მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც ომი უკვე წაგებული იყო.

ქვეყანაში რომ ღვინის ფალსიფიკაციამ უკანასკნელ წლებში დიდ მასშტაბებს მიაღწია, ამას დიდი გამოკვლევა არ ესაჭიროებოდა. ის კარგად ჩანდა მეღვინისა და მევენახის ურთიერთობაში, ყურძნისადმი მეღვინის დამოკიდებულებაში. გამოდის, რომ ჯერ ვქმნით პრობლემას და შემდეგ ვიწყებთ ზრუნვას მისი დაძლევისათვის. მხედველობაში გვაქვს წარმოების ლიცენზირების და სერტიფიცირების სამსახურის გაუქმება, შესაბამისი კანონების მოთხოვნებისა და ნორმების უგულებელყოფა, ფიტოსანიტარული სამსახურის გაუქმება და ა.შ., რითაც პრაქტიკულად უარი განვაცხადეთ ევროპისათვის ბუფერის ფუნქციის შესრულებაზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მოსაზღვრე სახელმწიფოები გაამკაცრებენ მოთხოვნებს ჩვენი ქვეყნიდან განხორციელებულ იმპორტზე, რაც იქნება არა მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით მოტივირებული, არამედ საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ტრანზიტული მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის მოტივებითაც.

ის, რომ რუსეთის ღვინის ბაზარი გაჯერებულია თავად რუსეთში და სხვადასხვა ქვეყნებში (უკრაინა, მოლდოვა, ბულგარეთი და ა.შ.) დამზადებული ფალსიფიცირებული ღვინოებით ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული სადაურობის აღნიშვნებით, ძირითადად ჩვენი „წაყრუებით" გამოწვეული პრობლემაა. თუ ქართველი მეღვინეები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი კანონმდებლობითა და გეოგრაფიული წარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ეროვნული სისტემით, მაშინ მათ შეეძლებათ სამართლებრივად დასაჯონ იმავე სახელწოდებით გამოშვებული სხვა ქვეყნის ღვინის მწარმოებლები და მიიღონ სათანადო კომპენსაციაც მიყენებული ზარალისათვის. ამის ტიპური მაგალითია გასული საუკუნის 60-იან წლებში გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელიც ფრანგებმა წამოიწყეს ბრიტანელი იმპორტიორის წინააღმდეგ, რომელიც საკუთარ ნაწარმს უშვებდა „ესპანური შამპანურის" ეტიკეტით. საყურადღებოა, რომ პირველ პროცესზე ბრალდებულს სასჯელი არ შეუფარდეს იმ მოტივით, რომ იმ დროისათვის თავად ფრანგებს არ აღმოაჩნდათ გეოგრაფიული წარმოშობის დასახელების კონტროლირებადი სისტემა. ერთი წლის შემდეგ კი, როცა შამპანურის ფრანგი მწარმოებლების მიერ კვლავ იგივე სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი იგივე იმპორტიორის წინააღმდეგ, სასამართლომ აღიარა, რომ მხოლოდ ფრანგებს ჰქონდათ ექსკლიუზიური უფლება გამოეყენებინათ სახელწოდება „შამპანური", და ბრალდებულს აეკრძალა „შამპანურის" სახელწოდებით რაიმე პროდუქციის წარმოება. ამ პროცესმა კეთილსასურველი გავლენა იქონია ღვინის ბაზარზე და მსგავსი შემთხვევებიც საგრძნობლად შემცირდა.

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ წლებში ღვინის სექტორში ევროკავშირის უპირველეს მიზანს ღვინის ხარისხის განუხრელი ამაღლება წარმოადგენს, რაც განპირობებულია ღვინის მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მზარდი კონკურენციით. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდება მომავალში სუფრის ღვინოების მოხმარების შემცირების აშკარად გამოხატული ტენდენციისა და გეოგრაფიული მდებარეობის დასახელების ღვინოებზე მზარდ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე სასარგებლო დასკვნა. კერძოდ, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გრძელვადიანი ამოცანა ევროკავშირში გაწევრიანებაა (სადღეისოდ და ახლო ხანებისათვის — ე.წ. კეთილმეზობლობის სტატუსი), რისთვისაც საჭიროა არა მარტო „მაასტრიხტის" ცნობილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების შესრულება, არამედ მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგებში მოქმედი „თამაშის წესების" ათვისება და განუხრელი დაცვაც. აქ უპირველესად მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ:

1) წევრი ქვეყნებისათვის უკვე დადგენილია ვენახის ფართობების და ყურძნის წარმოების ქვოტები, რომელთა გაზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი უახლოესი ამოცანა კავშირში გაწევრიანებამდე ქვეყანაში ვენახის ფართობის, ვაზის ჯიშობრივი და ასაკობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიღწევა უნდა იყოს. ამ მიზნით ახალი ვენახების გაშენება ძირითადად უნდა ხდებოდეს უნიკალური და მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების მქონე ყურძნის ჯიშების ხარჯზე.

2) ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების რეგულირებასა და კონტროლის საქმეში ძირითად როლს, როგორც წესი, სახელმწიფო თამაშობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ სექტორის მოდერნიზაციისა და ინსტიტუციონალური მოწყობის დროს საჭიროა ქართულ სპეციფიკაციასთან ერთად გათვალისწინებული იქნეს საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება. აგრეთვე მეღვინეობის ახალი ქვეყნებისა, რომელთაც თავისი ღვინის ხარისხით არათუ გადალახეს, შელეწეს სხვადასხვა ბაზრებზე არსებული ბარიერები: არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია.

3) უდავოა, რომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურების გარეშე ამ სექტორის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება პრაქტიკულად გამორიცხულია. აუცილებელია ვაზისა და ღვინის სახელმწიფო მარეგულირებელი, ჩამრევი სამსახურის ჩამოყალიბება. ჩვენი აზრით, სახელმწიფო მხარდაჭერას მიმართული უნდა იყოს ... ტო თეთრი და წითელი ჯიშის ყურძნის წარმოების გადიდებისათვის, არამედ ყურძნის გადამუშავებელი სიმძლავრეების ტექნოლოგიური გადაიარაღებისაკენ, ღვინის ხარისხის კონტროლის თანამედროვე ლაბორატორიული ქსელის მოწყობისათვის და საექსპორტო მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის. ექსპორტზე დაშვებული უნდა იქნას მხოლოდ ის ღვინოები, რომლებიც პასუხობენ საერთაშორისო სტანდარტებს.

4) ღვინის სექტორისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა მიმართული უნდა იქნეს აგრეთვე ხარისხიანი ღვინის რეალიზაციის გეოგრაფიის გაფართოებისათვის. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას რეკლამა, მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებზე, კონკურსებზე და ა.შ. საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება უნდა დაეფუძნოს ღვინის რეპუტაციის ამაღლებას, რაც მხოლოდ მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოებით და რეალიზაციით არის შესაძლებელი.

5) რეალურად უნდა სრულდებოდეს „ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები სანერგეების, სადედეების მოწყობისა და სერტიფიცირების, ვაზის გაშენების, მოვლა-მოყვანის და აგროტექნიკით გათვალისწინებული სხვა წესების, აგრეთვე ყურძნის გადამუშავების, ღვინის დამუშავების ენოლოგიური მეთოდების და პროცედურების დაცვის შესახებ.

6) ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა უნდა გამოცხადდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ და მის აღსაკვეთად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ გამოყენებული უნდა იქნეს სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-ეკონომიკური მექანიზმები.

7) მოწეული ყურძნისათვის მევენახემ მიიღოს ისეთი შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ოჯახის ცხოვრების მაღალ ხარისხს, მისცემს მას პროდუქციის კვლავწარმოების საშუალებას, დაინტერესებს გაზარდოს ვაზის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ზემოაღნიშნულს მოითხოვს თანამედროვე ევროპის ღვინის ბაზრის „თამაშის წესები", რომელთა დაცვა ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს. ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროატლანტურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ უნდა გამოიხატოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ვექტორითაც, რადგან მარტო პოლიტიკური ერთობით დიდი სურვილის მიუხედავად სრული ინტეგრაცია განუხორციელებელ ილუზიად შეიძლება დარჩეს მხოლოდ.

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მილკო ბლუსჩი — ევროკავშირის სასურსათო პოლიტიკა და კანონმდებლობა. თბ., 2005

2. პაატა კოლუაშვილი — საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. გამომ. „კოლორი", თბ., 2004

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული 2004, თბ., 2005

4. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005

5. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2004, თბ., 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საშიში მეზობელი

ჟურნალი the economist ხშირად აქვეყნებს ვრცელ მიმოხილვებს პრობლემების შესახებაც და ქვეყნების შესახებაც. მკითხველს მოკლედ ვაცნობთ მის მიერ თურქეთის მიმოხილვას, სადაც რედაქცია გვპირდება იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს თურქეთისათვის ევროკავშირში შესვლა (რაც თითქმის უკვე ორმოცი წელია ამა თუ იმ ფორმით დღის წესრიგში დგას) და რას ნიშნავს ევროპისთვის მისი მიღება. პირველი კითხვის პასუხი მოკლედ ჯამდება სიტყვებით: თურქებს უნდათ, ევროპელები იყონ. დანარჩენი, რაც ამ ვრცელი მიმოხილვიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, ეხება თურქეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების ყველა ძირითად მხარეს და ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა, როგორც ჩვენი უახლოესი მეზობლის ახლოდან და თანამედროვე თვალთახედვიდან გაცნობა. მკითხველთან ორი წინასწარი თხოვნა გვაქვს. პირველი. მივაქციოთ ყურადღება იმას, რაც ამ მიმოხილვაში ნათქვამია ევროკავშირის წევრობაზე, სადაც წინასწარ განსაზღვრულია წევრი სახელმწიფოს ცხოვრების აუცილებელი პარამეტრები, ვაშლის სავალდებულო ზომიდან დაწყებული და საწარმოებში ტუალეტების კომფორტული მოწყობით დამთავრებული. მეორე (რაც ამ მიმოხილვაში არ წერია): ევროკავშირის ერთერთი სავალდებულო მახასიათებელი წევრ ქვეყნებს შორის არის არა მხოლოდ თავისუფალი მიმოსვლა, არამედ თავისუფალი მიგრაციაც, მუშახელის მიგრაციის ჩათვლით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქართველო და თურქეთი ერთდროულად იქნებიან ევროკავშირში (დღეს თურქეთი იქ, როგორც ცნობილია, ჯერ არ არის), სულ მოკლე დროში (არა უმეტეს ერთი-ორი ათწლეულისა) საქართველოს მოსახლეობაში მეტი თურქი იქნება, ვიდრე ქართველი.

თურქეთის ევროკავშირში მიღების შესაძლებლობას ევროპელები სხვადასხვაგვარად ჰხვდებიან. ერთის მხრივ, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი გახარებულია „დიდი შესაძლებლობები გვეხსნება თვალწინო“ (იგულისხმება თურქეთის ვრცელი ბაზარი), მეორეს მხრივ, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი და ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის მთავარი ავტორი ჟისკარ დ'ესტენი წინააღმდეგია თურქეთის მიღებისა. მოტივი? მისი ღია ფორმულირება ასეთია: „სხვა კულტურაა, სხვა მიდგომაა, ცხოვრების სხვა წესია“. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კულტურა“ მეტს ნიშნავს, ვიდრე ხელოვნება და ლიტერატურაა (იგია მთელი მენტალიტეტი, მთელი სივრცე ზნე-ჩვეულებებისა, მორალისა და ა.შ.), მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყოფილი პრეზიდენტის ეს ფორმულირება გულისხმობს სწორედ ამ მხარეს — „იმათ ადამიანობა სხვანაირად ესმით, ჩვენ, ევროპელებს კი სხვანაირადო“. მაგრამ თურქეთის შემატკივრებს (მიმოხილვის ავტორი კი სწორედ ამათი პოზიციისად ჩანს) საამისო შემოპასუხებაც აქვთ: ჯერ ერთი, ჩვენ-ჩვენი „კულტურა“ და „ცხოვრების წესი“ ყველას გვაქვს — საფრანგეთსაც, ინგლისსაც, გერმანიასაც (მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს, მაინცდამაინც, არგუმენტი ვერაა). გავიხსენოთ ევროკავშირის ძირითადი პრინციპი: „ერთობა სხვადასხვაობაშიო“. მეორეც, თურქეთი სხვაა, ვიდრე იყო, და სხვისკენ მიდის, ვიდრე დღეს არის. მას ევროპელობა უნდა და გულწრფელად ცდილობს ევროპელი იყოს. ამიტომ იგი აქტიურად ცვლის საკუთარ თავს. სტამბოლის ტაქსისტებმაც კი (რომელთა აზრი საზოგადოების სულისკვეთების საუკეთესო ბარომეტრია) იციან, რომ თუნდაც თურქეთი გააწბილონ და ევროპაში არ მიიღონ, ან ძალიან გვიან მიიღონ, თვით ეს მისწრაფება, რომ ევროპელები იყონ, უკვე დიდი ფაქტორია თურქეთის ევოლუციისა და ამ უკანასკნელის ტემპის განსაზღვრაში. თურქები ამ მიმართულებით უკვე მომხდარი და მომავალში მოსახდენი „უზარმაზარი ცვლილებების“ დიდი ენთუზიასტები არიან და მათით ამაყობენ.

ევროკავშირის წინაპარ ორგანიზაციაში — „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში“ — თურქეთი ასოციირებულ წევრად დაუშვეს ჯერ კიდე 1963 წელს. მაგრამ მისი სწრაფვა ევროპისკენ უფრო ადრეულია. იგი დაწყებულია ჯერ კიდევ ყირიმის ომის დამთავრებისთანავე (1857), როცა თურქეთი ევროპელებმა „ევროპული ანსამბლის“ ნაწილად აღიარეს (ცხადია, იმიტომ, რომ თურქეთი იყო ის სახელმწიფო, რომლის გამოსარჩლების საბაბითაც მათ ჩაატარეს ყირიმის ომი და სასტიკად დაამარცხეს რუსეთი, რითაც მის ექსპანსიას მყარი საზღვარი დაუდეს). ამ აღიარებას მოჰყვა თურქეთში რეფორმირების მოძრაობა (რა თქმა უნდა, რეფორმისა „ზევიდან“) „თანზიმათის“ სახელით. იგი შეეხებოდა საკუთრების უფლებებს, განათლებას და საგადასახადო სისტემას და ძირითადად ფრანგულ თარგზე იყო მოჭრილი. მალე იგი ჩაკვდა. თურქეთს „ევროპის ავადმყოფის“ სახელიღა შერჩა. მაგრამ ევროპეიზაციისა და პროგრესის სურვილი თურქეთში დარჩა. პროგრესისტულ მოძრაობებისა (რომლითაც საბოლოო ჯამში სულთანატი დაემხო) და პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ თურქეთმა ეს ორიენტაცია გააგრძელა და გააცხოველა. ათა-თურქმა („თურქების მამამ“) ქემალ ფაშამ, რომელიც თურქეთის დღევანდელი სახელმწიფოს (რესპუბლიკის) ფუძემდებელია და ეროვნული გმირია, მოახდინა ქვეყნის მკვეთრი სეკულარიზაცია (რელიგია მოაცილა სახელმწიფოს და ეს უკანასკნელი პირწმინდად საერო საფუძვლებზე ააგო) და განახორციელა მოდერნიზაციის, ევროპეიზაციის, ინდუსტრიალიზაციის (სახელმწიფოს მიერ მართული მიზანმიმართული ეკონომიკური მშენებლობის — ეტატიზმის) კურსი. ათა-თურქი მოკვდა 1938 წელს. მისმა მონაცვლემ და მიმდევარმა ისმეთ ინენიუმ ათა-თურქის უმისოდაც მკაცრი რეჟიმი კიდევ უფრო გაამკაცრა. იგი იძულებული იყო ეს ექნა, რადგან მას მართვაში აღარ ეხმარებოდა ის შეუვალი ავტორიტეტი, რომელიც საქმეს უადვილებდა ათა-თურქს.

თურქეთის პოლიტიკური ელიტა. შუაში - ერდოგანი

ომის წინ, ომის დროს და ომის შემდეგ თურქეთის პოლიტიკა შიგნით იყო მიმართული. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, გადაერჩინა ათა-თურქის მონაპოვარი (მისი ყველაზე ძნელად გადასარჩენი ელემენტით — სეკულარობითურთ) და თავი გადაერჩინა უცხო დარტყმისაგან (სახელდობრ, დარტყმისაგან საბჭოთა კავშირის მხრიდან).

თურქეთი დღეს

მიმომხილველის სიტყვით, დღეს თურქეთის ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა თურქეთი არსებობს. ქვეყანა ორი მკვეთრად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. ერთია ანკარა და სტამბოლი — ორი დიდი ქალაქი, რომელიც ყოველგვარი წინსვლისა და განვითარების პიონერია და დანარჩენი თურქეთის მისწრაფებისა და აღიარების საგანია. მეორეა დანარჩენი თურქეთი მისი ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილით — აღმოსავლეთის ვილაიეთებითურთ. ევროპა, მიმომხილველის სიტყვით, ამათში მეორეებს უფრო იცნობს იმიგრანტი უკვალიფიკაციო მუშების სახით, ვიდრე პირველებს. გერმანიაში იმიგრაციის პირველი ტალღით ორი მილიონი თურქი ჩავიდა და დამკვიდრდა. ზოგი ამათგანის შვილმა წინ წაიწია — ისინი ავიდნენ მაღალ სოციალურ მდგომარეობებამდე, გამოჩენილი პარლამენტარებით დაწყებული და ფეხბურთის ვარსკვლავებით დამთავრებული. ჰელმუთ კოლის რძალიც თურქია. ახალი თურქი იმიგრანტების შემოსვლისა გერმანელებს ძალიან ეშიანიათ, თუმცა გერმანია თავისი ამ ტოლერანტობით „ქულებსაც“ იწერს და გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობასაც ნახულობს. ასე რომ, შროდერი თუ თურქეთის ევროკავშირში მიღების მომხრეა, მერკელი პირიქითაა. საფრანგეთი თურქეთის მიღებას კიდევ უფრო ცუდად უყურებს და ერთადერთია, საბერძნეთის გარდა, ევროპაში, ვინც სომხეთის 1915 წლის გენოციდი აღიარა. ამის ერთერთი მიზეზია საფრანგეთში სომხების სიმრავლე. ინგლისი თურქეთის მიღებაში ხელსაყრელ შესაძლებლობას ხედავს ეკონომიკური განვითარებისათვის, ამერიკაც ძალიან მხარს უჭერს ამ საკითხში თურქეთს, — (ამ ჯერჯერობით ერთადერთ მუსლიმანურ და დემოკრატიის გზაზე დამდგარ სახელმწიფოს. თურქეთის მიმართ ევროპელებში თანდაყოლილი „თავდაცვითი“ პოზიცია სუფევს. ამიტომაა, მაგალითად, რომ ჩრდილოევროპელებს ურჩევნიათ ზღვის კურორტებზე წასვლა ესპანეთსა და საბერძნეთში, და არა თურქეთში (მათ მიაჩნიათ, რომ ყველა თურქი დღეში ხუთჯერ ლოცულობს, შარიათის შემოღებას ნატრობს ქურდებისთვის ხელისკვეთითურთ, და ბევრი მათგანი თავის ქალებს აუპატიურებს). მაგრამ ეს დამოკიდებულება მათს გაზვიადებულ წარმოდგენას ემყარება. თურქები ფუნდამენტალისტები, ფანატიკოსები და ორასი წლისწინანდელი მენტალიტეტის მატარებლები ჰგონიათ. სინამდვილეში, თურქებიც ევროპელებივით, თუმცა იმოწმებენ თავის რელიგიურ მცნებებს ყოველდღიურობაში და თავის საღვთო ტექსტებს იცნობენ მეტ-ნაკლებად, მაინც, მასობრივად, მეტ-ნაკლებად ფორმალური დამოკიდებულება აქვთ სარწმუნოებასთან. რამ განაპირობა და განაპირობებს თურქეთის ამ სპეციფიკას? „თურქეთი წარმოადგენს იშვიათობას — დემოკრატიულ მუსლიმურ ქვეყანას — იმიტომ, რომ ასე ინება ათა-თურქმა“. ათა-თურქი არ ენდობოდა სამღვდელოებას და მკაცრად აკონტროლებდა მას. დასვენების დღედ კვირა დღე დაადგინა და არა მუსლიმანური დასვენების დღე — პარასკევი. დღესაც სპეციალური სამთავრობო უწყება წყვეტს, თუ სად დაიდგას მეჩეთი და რა იქადაგონ იქ და რა ასწავლონ სკოლაში რელიგიის მიმართულებით. იმამებსაც თვითონ სახელმწიფო ქირაობს. დაახლოებით 1980-იანი წლებიდან თურქეთში დაიწყო ისლამის აღმავლობა. აშენდა მეჩეთები, მაგრამ, მიმომხილველების აზრით, ეს იგივე მოვლენაა, რაც იყო ევროპაში სარწმუნოების გაძლიერება ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ: მკვეთრი ცვილელებები ცხოვრებაში ადამიანთა მასისთვის მტკივნეულია. იგი დაძაბულობებს და, აქედან გამომდინარე, რელიგიურ მოთხოვნილებას აჩენს.

ათათურქი კვლავ ყველას მამაა

თურქეთისთვის ასეთი დაძაბულობის წყაროა ევროპეიზაციის პროცესი. თქმული აისახება ქალების მდგომარეობაზეც. ეს მდგომარეობა ორჭოფულია და, ამდენად, მძიმე. მასში შერწყმულია, უფრო ზუსტად — შეთავსებულია ძველი და ახალი, რაც ქალებს მძიმე არჩევანის წინაშე აყენებს. ქემალისტური იდეოლოგიის თანახმად, ძველად თურქეთში ქალი და კაცი თანასწორნი იყვნენ, ქალის დამორჩილება კაცისადმი ისლამის შემოტანილია და უნდა მოიხსნას. თურქეთში დღეს, ერთის მხრივ, ბევრნი არიან საკუთრივ გათანამედროვებული ქალები ყველა სფეროში, მაგრამ მასობრივად ოჯახში მაინც კაცისა და ქალის თანასწორობა არ არის. (განსაკუთრებით, თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში). სოფელში, ტრადიციულად, კაცების ადგილი იყო მეჩეთი და ყავახანა, ქალებისა — ერთობლივი სამრეცხაო და აბანო. ურბანიზაციისას ეს ტრადიცია იშლება. გოგოებს კორპუსებში, ჩაკეტილ ბინებში ცხოვრება უჭირთ, მაგრამ მათი თვითმკვლელობა, რომელიც აღმოსავლეთ თურქეთში ხშირია, უფრო ჩახედული სოციოლოგების აზრით, ძირითადად წარმოდგება არა ამ ჩაკეტლობით გამოწვეული სასოწარკვეთის გამო, არამედ ოჯახის წევრისაგან მიყენებული (დანაშაულებრივი) დამცირების დაფარვის საჭიროების გამო.

ისლამისადმი დამოკიდებულების თვალსაჩინო ასახვაა თავსაფარისადმი დამოკიდებულება. თავსაფარი აკრძალულია საჯარო ადგილებში (სკოლა, უნივერსიტეტი, სახელმწიფო დაწესებულება). მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ თავსაფრიანმა ქალიშვილმა საჯაროდ იკოცნაოს თავის ვაუ მეგობართან ისევე, როგორც ეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ხდება.

თურქული ევროპეიზმის სულისკვეთება

თურქეთის დღევანდელ ლიდერ ერდოგანს და მის გუნდს ძირითადად ისლამისტური (რელიგიური სულისკვეთების) ნამყო აქვთ. (ერდოგანს სასამართლო გადაწყვეტლებაც აქვს ზურგს უკან, რომელმაც იგი ამ მიმართულებით დამნაშავედ ცნო) მის მიერ მილიტანტურ-ისლამისტური ლექსის საჯაროდ დეკლამაციის გამო). დღეს მათი პირველი ამოცანაა ევროკავშირში შესვლა. ეს ცვლილება პრაგმატულია. ევროკავშირი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნატვრაა (70%, ქურთებში — 90%). მაგრამ მიმომხილველი ფიქრობს, თუ ამ კავშირში ახალშესული 10 ევროპული ქვეყნის მაგალითით ვიმსჯელებთ, ეს პროცენტი შემცირდება, როცა ხალხი გაიგებს, რომ ევროკავშირის წესების თანახმად, რომლებიც განხილვას აღარ ექვემდებარება და რომლებიც 80 ათას ფურცელს მოიცავს, „ბრიუსელში იქნება გადაწყვეტილი ყველაფერი, დაწყებული იქიდან, რა ზომისა უნდა იყოს ვაშლი მათ ქვეყანაში, და დამთავრებული იმით, როგორი უნდა იყოს ქარხნის საჭირო ოთახები“.

თანმიმდევარი ქემალისტების დამოკიდებულება ერდოგანის მთავრობისადმი ეჭვიანია. ისინი შიშობენ, რომ ერდოგანი და მისი თანაპარტიელნი ადრე თუ გვიან გამოაჩენენ თავის ისლამისტურ სულისკვეთებას. მართალია, ევროკავშირი ასეთ გადახრას კრძალავს, მაგრამ შეიძლება მოხდეს, რომ ევროკავშირში თურქეთი ვერ განევრიანდეს, ერდოგანის პარტია კი ხელისუფლებაში დარჩეს.

თურქეთში არმია ყველასათვის სათაყვანებელია და ყოვლის შემძლეა. იგი ილებს ხოლმე (დროებით) ძალაუფლებას კრიზისული ვითარების დროს და „ასწორებს“ ხოლმე მკვეთრ პოლიტიკას, როცა ამას საჭიროდ დაინახავს.

დედაძალაძი და პროვინცია

სტამბოლში თურქეთის 70 მილიონიანი მოსახლეობის ერთი

გაგრძელება მე-16 გვერდზე

„ორი პრეზიდენტის პმგპვი“

ამ სათაურით The Economist-ს გამოქვეყნებული აქვს ილჰამ ალიევისა და ლუკაშენკოს ერთობლივი სურათი მცირე პოლიტიკური კომენტარითურთ. გთავაზობთ მის ტექსტს.

„აი, ორი გაყალბებული არჩევნები პოლიტიკური დაპატიმრებებითურთ მათი ჩატარების წინ და მოპროტესტეთა გალახვითურთ ჩატარების შემდეგ. აი, ორი ულვაშა პოსტსაბჭოთა ლიდერი. უფრო მელოტი ამ ორში, ლუკაშენკო, ამერიკას ნაგინები ჰყავს ამასწინათ ბელარუსში ჩატარებული უაზრო საპრეზიდენტო არჩევნების წინ და შემდეგ. მეორეა ზერბაიჯანის ლიდერი ილჰამ ალიევი, რომლის მომხრეებმაც პირწმინდად მოაკვარახჭინეს აბსურდული საპრეზიდენტო არჩევნები ერთი წლის წინ. ახლა იგი ისრულებს თავის დიდი ხნის ამბიციას — შეხვდეს ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს. ბ-ნ ბუშის სტუმართმოყვარეობა შეცდომაა ორი რამის გამო.

„პირველი მიზეზი მორალურია. ბატონმა ალიევმა თავისი პრეზიდენტობა მამისგან მემკვიდრეობით მიიღო 2003 წელს. ალიევები აზერბაიჯანს მართავენ თითქმის მთელი პოსტსაბჭოთა დროის მანძილზე, ისევე როგორც ლუკაშენკო — ბელარუსს. უმცროსი ალიევის მმართველობისას ადამიანის უფლებებს განადიდებენ თეორიაში, მაგრამ არღვევენ პრაქტიკაში — ალბათ, იმავე ზომით, როგორც ეს ბელარუსში ხდება. აზერბაიჯანი მსოფლიოს ჩემპიონია კორუფციაში. და მაინც, ორმაგი სტანდარტების გამოყენება საგარეო პოლიტიკაში არ არის სრულებით მოულოდნელი რამ: თვით იმ მთავრობებსაც კი, რომელთაც მიზნად დასახული აქვთ დემოკრატიის გავრცელება, ნებაუნებურად უხდებათ ხანდახან ცხვირზე ხელის მოჭერა. არსებითი კითხვა ალბათ ის კი არ არის, რამდენად შეგვიძლია ალიევის ვიზიტის გამართლება მორალური თვალსაზრისით, არამედ ის, რამდენად აზრიანია იგი პოლიტიკურად. პოლიტიკურად იგი აზრიანი არ არის.

ისახება საშიშროება, რომ ალიევში ვერ დავინახოთ ის, რის გამოც ტყავი გააძრეს ლუკაშენკოს. ბელარუსი ღარიბი, ხმელეთში ჩაკეტილი სლავური ქვეყანაა, აზერბაიჯანი მუსლიმანური პეტრო-სახელმწიფოა (ნავთობის სახელმწიფოა) კასპიის ზღვის ნაპირას. ნავთობი და გაზი საცაა დენას დაიწყებს ორი ტყუპი სადენით, აქედან ხმელთაშუა ზღვისკენ. მისი სამხრეთი მეზობელია ირანი. ამერიკის თავდაცვის მდივანი რამსფელდი აქ უცნაურად ხშირი სტუმარია და ხმები ტრიალებს იმის თაობაზე, თუ როგორი შემწეობა აქვს ამერიკის სამხედრო ოპერაციებს ალიევის მხრიდან. აზერბაიჯანის ჩრდილოელი მეზობელია რუსეთი: ბატონი ალიევი ერთერთი ნაწილია დასავლეთის მეტოქეობისა კრემლთან ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეზე გავლენის მოპოვებისათვის.

„ამ მეტოქეობაში ამერიკელებს შეუძლიათ თავს უფლება მისცენ, რომ ზოგჯერ პრინციპულნი იყვნენ. მაგალითად, მათ უარყვეს ისლამ ქარიმოვი, უზბეკეთის ულმობელი პრეზიდენტი იმის გამო, რომ მისმა ჯარებმა მოპროტესტეები დახოცეს. ამერიკელები ასე მოიქცნენ მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ ავიაბაზის დაკარგვად დაუჯდათ, მაგრამ ნავთობი და გეოგრაფია, როგორც ჩანს, მეტისმეტად მნიშვნელოვანს ხდის აზერბაიჯანის პრეზიდენტს საიმისოდ, რომ იგი გაუცხოეისთვის გამეტებულ იქნას. ყველა შემთხვევაში, განსხვავებით 2004 წლის უკრაინის ვითარებისაგან, აზერბაიჯანში ოპოზიცია მეტისმეტად სუსტი და დანაწევრებულია იმისათვის, რომ ალიევს რეალური ალტერნატივა გაუჩინოს. ამბობენ, რომ როცა ბუში და ალიევი ერთმანეთს შეხვდებიან, ბუში შეეცდება თავის სტუმარს წაუბიძგოს დემოკრატიის ბილიკისკენ. სამწუხაროდ, ბატონმა ალიევმა უკვე ცხადყო, რომ იგი მიდრეკილია დემოკრატიული ინსტინქტენბის სიმულირებისაკენ, დემოკრატიის დარღვევათა რაციონალიზაციისაკენ და ამ დარღვევათა გამოსწორების შეპირებისაკენ. იგი, უეჭველია, იტყვის ვაშინგტონში აზერბაიჯანი გარდამავალ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოაო, მაგრამ ფაქტია, რომ ალიევი მთელი ამ ხნის მანძილზე არატოლერანტულია (არაშემწყნარებელი) ოპოზიციის მიმართ და მეტისმეტად შემწყნარებელია კორუფციის და უთანასწორობის მიმართ. მილიარდები, რომლებიც ნავთობის წყალობით წავა, საცაა, აზერბაიჯანში, განამტკიცებს მის ისედაც საშინლად მყარ პოზიციას მსოფლიოს იმ ნაწილში, რომელსაც იგი ეკუთვნის. მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც ითვლება, რომ პირველი კაცი პასუხისმგებელია ყველაფერზე, ბუშის მიერ მისი ხელის ჩამორთმევა აღქმული იქნება როგორც თუჯუსებრ მყარი დასტური მისი პოლიტიკისათვის, განურჩერვლად იმისა, რას იტყვიან ამ თემაზე ამერიკის უფრო წვრილი მოხელეები. არაა მოსალოდნელი, რომ აზერბაიჯანის ტელევიზიამ, რომელიც სახელმწიფოს ხელშია, აიტაცოს ის თემა, თუ რას მოისმენს ამერიკაში ალიევი პირად საუბარში. ალიევის პოლიტიკის ამგვარი საჯარო დადასტურება ავნებს აზერბაიჯანს და საბოლოო ანგარიშში ამერიკასაც. კიდევ ერთი რამ, რაც ალიევს საერთო აქვს ლუკაშენკოსთან, ის არის, რომ ვერც ერთის მმართველობა ვერ იქნება სამარადისო. თუ ბატონი ალიევი იძულებულ იქნება ცვლილებებზე წავიდეს, მაშინ აზერბაიჯანს აქვს იმის პოტენციალი, რომ გახდეს კეთილდღიანი, დემოკრატიული მუსლიმანური სახელმწიფო. თუ არ წავა, მაშინ შესაძლებელია, რომ ამერიკა ამ ესოდენ მერყევი სიტუაციის მქონე რეგიონში ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება ნავთობით მდიდარი სახელმწიფოს პირისპირ, რომელსაც გული ასცრუებია დემოკრატიასა და დასავლეთზე და ახლა მზადაა, სულ სხვა იდეები შეითვისოს.

დასაწყისი მე-15 გვერდიდან

ჩვენი საუკეთესო მეზობელი

მეხუთედი ცხოვრობს. ქალაქი 40 მილის მანძილზე მისდევს ზღვის ნაპირს. იგი უსაზღვროდ მიმზიდველია მთელი თურქეთისათვის. ვისაც ფული უჩნდება, ცდილობს იგი სტამბოლში დახარჯოს. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებიდან მოსულნი აქ ძირითადად თავთავის უბნებად ცხოვრობენ. ანკარა, რომელიც ათათურქმა ხელოვნურად გააშენა ხრიოკ ცენტრში, ნაკლებ მიმზიდველია, მაგრამ მოსახლეობა იქ ისევე იკრიბება თანდათან, როგორც სტამბოლში.

პროვინციის მზარდი ნაწილი ურბანიზებულია. ცხოვრობენ დაახლოებით შვიდსართულიან კორპუსებში სტანდარტულ ბინებში. ვინც სოფელშია, იქ არის იმიტომ, რომ წასვლა არ შეუძლია (და არა პირიქით, ევროპელებივით: სოფელში ცხოვრობს ის, ვისაც შეუძლია იქ იცხოვროს). პროვინციაში ყოვლისშემძლე ფიგურაა ვალი — ხელისუფლების მიერ დანიშნული მმართველი. ეს, მიმომხილველის აზრით, რაციონალური გადმონაშთია ძველთაძველი სისტემისა, რადგან პროვინციები მთებში მოქცეული ბუნებრივად გამოყოფილი სივრცეებია, ბუნებრივად იზოლირებული და თავის შიგნით ერთიანი. მერი არჩევითია. დღეს დემოკრატიული განვითარების ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ უფლებები ნელ-ნელა ვალის ხელიდან მერისაში გადაინაცვლებს.

პროვინციის ფინანსური კონტროლი ცენტრიდან ძალიან მკაცრია. მას გასაქანი მცირე აქვს. თურქეთის ბიუროკრატია უზარმაზარია: აქ ორი მილიონი სახელმწიფო მოხელეა — მთელი მოსახლეობის ერთი ოცდამეთხუთმეტედი.

უმცირესობები

თურქეთმა უკვე ბევრი დათმო ევროკავშირის მიერ დადგენილი სტანდარტების შესასრულებლად: გააუქმა სიკვდილით დასჯა, გააფართოვა ქალების უფლებები, დაუშვა რადიოგადაცემები ყველა ენაზე ქურთულის ჩათვლით, გააუქმა უმოტივო გაჩხრეკის უფლება, ხელი აიღო მეუღლის ღალატისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკანონებაზე და დააწესა „ნულოვანი შემწყნარებლობის“ პოლიციური კონტროლი დაკითხვისას გამოყენებული წამების წინააღმდეგ. „მაგრამ კანონის ცვლა ერთია, ზნეჩვეულებებისა — მეორე“.

აღმოსავლეთის ვილაიეთელი გლეხი ვერ გაუბედავს პოლიციელს თქმას, ჩხრეკის ორდერი მაჩვენეო. წამებაც არის, რასაც ენერგიულად ებრძვის სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციები. 2004 წელს ევროკავშირის კომისიამ, რომელიც სწავლობს თურქეთის მზაობას ევროკავშირში შესასვლელად, მოითხოვა გაუმჯობესებები ადამიანთა ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის, ქალთა უფლებების დაცვის, პროფკავშირთა უფლებების დაცვის, უმცირესობათა უფლებების დაცვისა და არამუსლიმანურ თემთა რელიგიური ინტერესების დაცვის“ სფეროში.

თურქეთში, მიმომხილველის სიტყვით, „ინსტიტუციონალიზებულია“ შეუწყნარებლობა უმცირესობების მიმართ. ლოზანის ხელშეკრულებით (1923) თურქეთმა იძულებით აღიარა სამი უმცირესობა — სომხები, ებრაელები და ბერძნები. არც ერთი სხვა დღემდე აღიარებული არ ჰყავს. პირველ პარლამენტში ქურთები ერივნენ, მაგრამ ქურთების 1925 და 1937 წლების აჯანყებათა შემდეგ, რომლებიც უმოწყალოდ ჩაახშეს, რესპუბლიკა პირწმინდად გამორიცხავს თავის მრავალგვარობას. ქემალისტების ჩაკეტილმა ნაციონალიზმმა აღკვეთა ქვეყნის ყოველგვარი გაგებისუნარიანობა უმცირესობების მიმართ. ყველაზე უფრო დიდი უმცირესობა არიან ქურთები (15 მილიონი). ბოლო ათწლეულების ომში ქურთებსა და სახელმწიფოს შორის დაიღუპა 35 ათასი სამოქალაქო და ჯარისკაცი (ეს რიცხვი ძალიან შემცირებული ჩანს. რედ.). ქურთები მასობრივად (შესაძლოა მილიონამდეც) გადაასახლეს შორეულ ქვეყნებში (დასავლეთის პროვინციებში). თუმცა, მიმომხილველის თქმით, მათი დაბრუნების ცალყბა ტენდენცია არსებობს. ყველაზე რადიკალ ქურთებს ჰსურთ ქურთისტანის შექმნა ერაყისა და ირანის ქურთული ტერიტორიების მოცვით. სიტყვა „ქურთისტანი“ ანკარაში აღშფოთების კანკალს იწვევს. ყველაზე ზომიერ ქურთებს უნდათ, ისინი ალაპარაკონ ქურთულად, ასწავლონ ამავე ენაზე და გადაცემების უფლება მისცენ. (ყველაფერი ეს, მიმომხილველის სიტყვით, ნელ-ნელა უკვე სრულდება, თუმცა უხალისოდ). ქურთებს გარეთ დიდი მხარდაჭერა აქვთ. ევროპარლამენტს ქურთი წევრი ჰყავს. ქურთების დაჩაგვრის საქმეები სტრასბურგის სასამართლოს აღწევს. ევროპარლამენტის ქურთი წევრი და ოჯალანის და ჩაუშვეს თურქეთში და საშუალება მისცეს აუდიტორიისათვის ქურთულად მიემართათ. ქურთი ქალი ლეილა ზანა ციხიდან გამოშვებისთანავე თურქეთის პარლამენტის წევრი გახდა. ოჯალანის შეურიგებელი ქურთული პარტიის PKK-ს მემკვიდრე პარტიამ ერთი წლის წინ გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის გაუქმება, რაც მას გამოცხადებული ჰქონდა 1999 წელს ოჯალანის სასამართლოს დროს. საბაბი ისაა, რომ მთავრობამ არ შეასრულა პირობა ქურთ მებრძოლთა ამნისტირების მიმართულებით.

თურქეთში არის „შეთქმულების თეორიების“ შექმნისა და დაჯერების ტენდენცია, მაგალითად, თეორიისა, რომ აზის ამასწინანდელი ცუნამი გამოიწვია ამერიკელების მიერ მოწყობილმა ბირთვულმა წყალქვეშა აფეთქებებმა, რაც შეიძლება მეტი მუსლიმანის მოკვლის მიზნით. ერთი ასეთი თეორია ამბობს, ოჯალანი ციხიდან მართავს თავის ტერორისტულ მოძრაობას, რათა სისხლისღვრის კვლავ აგორებით გადაუკეტოს თურქეთს ევროკავშირში შესვლის გზა. ეს, მიმომხილველის სიტყვით, არც ისეთი დიდი აბსურდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს: ერთის მხრივ, თურქეთში არის დიდი იატაკქვეშა პოლიტიკური კრიმინალური აქტივობის ნიშნები, მეორეს მხრივ, „ბნელი ძალები“, რომელთაც მართლაც არ უნდათ თურქეთის ევროკავშირში შესვლა. არის კიდევ ერთი ძალიან დიდი უმცირესობა — ალევები, ანუ მუსულმანურივე განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევრები. მათთვის მთავარი წინასწარმეტყველია არა მუჰამედი, არამედ მისი სიძე — ალი. ისინი რამდენიმე საუკუნეა არსებობენ ანატოლიაში. ამ აღმსარებლობის ყველაზე რადიკალური მიმდევრები ფიქრობენ, რომ მათი სარწმუნოება ისლამი არცაა, არამედ ძველი, სპეციფიკურად ანატოლიური რწმენაა, რომელიც ძველიდანვე ზოროასტრულ (ცეცხლთაყვანისმცემლურ) ელემენტებს შეიცავს. ხელისუფლება მათ ავიწროებს. მაგალითად, სხვადასხვა შარის მოდებით უშლის სალოცავების მშენებლობას. ისინი მოსახლეობის ერთ მეხუთედამდე არიან (თუმცა აღწერები მათ არ აღრიცხავს). ითვლებიან არა უმცირესობად, არამედ „რელიგიურ ჯგუფად“, რის გამოც მათზე არ ვრცელდება კანონი, რომელიც უფლებას აძლევს რელიგიურ უმცირესობებს თავისი სალოცავების დასადგმელად ადგილი მოითხოვონ.

კვიპროსის საკითხი

კვიპროსის გამო თურქულ-ბერძნული კონფლიქტის დეტალებისა და ისტორიის განხილვის შემდეგ მიმომხილველი იმ აზრისკენ იხრება, რომ თურქეთის დღევანდელ ხელისუფლებას (ისევე, როგორც კვიპროსის თურქულ მოსახლეობას) ტენდენცია აქვს, რომ საბოლოო ჯამში, გარკვეული პირობებით და მეტნაკლებად არაპირდაპირი ფორმით, კვიპროსის ერთიანობას დაეთანხმოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.